

ამბროსი გრიშკაშვილი

ნიგნებთან გატარებული სიცოცხლე



თბილისი  
2024

UDC 339.13.

გ-856.

წიგნში მარტივი და გასაგები ენით, სულ რამდენიმე გვერდზე, გადმოცემულია იმ წიგნების მოკლე შინაარსი, რომლებიც ავტორის მიერ არის გამოცემული (ორიგინალური და ნათარგმნი, პოლონური ენიდან, როგორც ეკონომიკური, ისე მხატვრული ლიტერატურა). მათი დახმარებით მკითხველი გარკვეულ წარმოდგენას შეიქმნის, როგორც გარდამავალ ეკონომიკაზე საქართველოში, ისე პოლონურ მხატვრულსა და რეპორტიორულ ლიტერატურაზე.

**რედაქტორი** პროფესორი დიმიტრი შველიძე

**რეცენზენტი** აკადემიკოსი ნიკო ჯავახიშვილი

© ამბროსი გრიშკაშვილი

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN 978-9941-9866-0-4

# სარჩევი

რედაქტორისაგან .....	7
მცირე შესავალი .....	11
<b>თავი 1. ეკონომიკური ხასიათის წიგნები: .....</b>	<b>13</b>
საბაზრო ეკონომიკა .....	15
გარდამავალი ეკონომიის ქვეყნები: პრობლემები, პერსპექტივები .....	16
გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია.....	17
პოლონეთიდან დანახული საქართველო .....	18
სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში .....	18
თავისუფლება და განვითარება.....	20
ჩვენ, ევროპელები .....	21
ნობელიანტი ეკონომისტები .....	23
პოლონეთიდან გამოგზავნილი წერილები.....	24
საქართველო გლობალურ სამყაროში .....	25
გზა ევროკავშირისაკენ .....	26
მსოფლიო ეკონომიკა .....	26
ეკონომისტის Vade Mecum .....	27
მსოფლიო ეკონომიკა .....	28
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები .....	29
ეკონომიკური კალეიდოსკოპი .....	29
<b>თავი 2. ორიგინალური და ქართულად თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა .....</b>	<b>31</b>
ამნე .....	41

კლეოპატრა.....	42
ერთგული მდინარე.....	43
წერილები შეყვარებულს.....	45
ნაპოლეონის ვაჟიშვილი.....	47
ქართველები პოლონეთში.....	49
ქვა- ქვაზე .....	52
იმპერია .....	53
ყირგიზი ჩამოდის ცხენიდან .....	54
თუ ჩემს თვალებს.....	55
პანტერა .....	56
იმპერატორი .....	58
ჟურნალი „ახალი პოლონეთი“ .....	59
პლანეტა კავკასია .....	60
მოგზაურობა ჰეროდოტესთან ერთად .....	61
ნატურმორტი ლაგამით.....	62
ლარას ყველა ომი.....	63
წმინდანი და მეცნიერი.....	66
თხზულებათა კრებული, წიგნი მეორე .....	69
გაუმარჯოს .....	70
ტიტების მწარე სუნი .....	72
უპოვართა მესაიდუმლე.....	73
მანდელა - გზა ციხიდან პრეზიდენტობამდე .....	74
ოქტომბერი ვარშავაში.....	76
წინაპართა სადღეგრძელო.....	78
აფხაზეთი.....	78
ჟურნალი „ისტორიანი“ .....	81
შაჰინშაჰი .....	89
ტრაქტატი ლობიოს დაჩუროჩვის შესახებ .....	92
ბურანი - ყირგიზი ადის ცხენზე.....	93
რეპორტიორის ავტოპორტრეტი .....	104

საფეხბურთო ომი .....	105
ცხოვრების კიდევ ერთი დღე .....	106
აბანოზი .....	107
ლოცვა წვიმისათვის .....	110
მილოში .....	111
კონსტანტინე ილდეფონს გალჩინსკი .....	113
1992-1993 წლების ომი აფხაზეთში .....	117



## რედაქტორისაგან

ბიბლიოგრაფია და არა მხოლოდ...

დიახ, ასე შეიძლება ვუწოდოთ, ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტისა და მთარგმნელის, ამბროსი გრიშკაშვილის წინამდებარე ბიბლიოგრაფიას, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი. ჯერ ერთი, რომ თითოეულ ავტორისეულ წიგნს, ნაშრომსა თუ ნათარგმნ დასახელებას, თან ახლავს - მოკლე შინაარსი, გამოცემის ისტორია, ზოგიერთი სიძნელე ან ხან კურიოზიც, რომლითაც ავტორი მკითხველს აზრს უზიარებს. მეორეც - ავტორ-მთარგმნელის ნაშრომები იმდენად მრავალრიცხოვანი, მრავალფეროვანი და მრავალჟანრულია, რომ ვერ თავსდება მარტოოდენ „ბიბლიოგრაფიის“ ტრაფარეტში.

ზოგიერთ თემას გამოვყოფთ. ა. გრიშკაშვილი თავის ავტორისეულ და წიგნების გამოცემის თავგადასავალს გადმოსცემს და მის შესახებ ებაასება მკითხველს. აბა სხვა რა უნდა ვუწოდოთ, თუ არა თავგადასავალი, რაც დაემართა არა მარტო ჩვენს ავტორს, არამედ ბევრი სფეროს წარმომადგენელ მთელ თაობას, რომელნიც წერდნენ საბჭოთა ეპოქაში - გასული საუკუნის 70-იან და ნაწილობრივ 80-იან წლებში. როგორც ეკონომისტი და ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, იგი წერდა საბჭოთა გეგმიურ ეკონომიკაზე და სადისერტაციო ნაშრომიც ამ თემას მიუძღვნა. მაგრამ სსრკ-მ ჩაიღურის წყალი დალია: „უნდა ვაღიარო: არა მხოლოდ ეს წიგნი, არამედ, ის ყველაფერი, რაც ამ დროს მიკეთებია, ვიდრე საბჭოთა კავშირი არ დაინგრა, წყალში გადაყრილი აღმოჩნდა... გეგმურმა სისტემამ კრახი განიცადა და ქვეყნის ეკონომიკა საბაზრო რელსებზე გადავიდა (გადადის)?! ამიტომ შემზიზღდა ის სისტემა და მისი მესვეურნი: მათ განუხორციელებელსა და უმომავლო ექსპერიმენტს შეენირა ჩემი ახალგაზრდული წლები და ენერგია“.

ან რა უნდა დაერქვას იმ ეკონომიკური ნგრევის პირობებში, რაც საქართველოში იყო გამეფებული 90-იან წლებში, თუ არა - თავგადასავალი და გნებავთ - თავგანწირვა, რა გარემოებებშიც გამოქვეყნდა ა. გრიშკაშვილის მიერ თარგმნილი სტ. ჟერომსკის „ერთგული მდინარე“?! სწორედ წიგნის გამოცემის იმ გაუსაძლისი პროცესის შესახებაც მოუთხრობს ავტორი მკითხველს. ბოლოს იუმორითაც დაასკვნის ბ-ნი ამბროსი - წიგნი 10 000-იანი ტირაჟით

გამოქვეყნდა და ნეტავი რა საჭირო იყო ამდენიო. მართალია, მაგრამ არც არის მართალი - მაშინ წიგნის ტირაჟები მრავალრიცხოვანი იყო და წიგნებს კითხულობდნენ კიდეც. ახლა 300-ტირაჟიანი წიგნები აღარ იყიდება - მკითხველი გახდა „მცირერიცხოვანტირაჟიანი“...

თუ შევეცდებით, რომ ამბროსი გრიშკაშვილი მრავალწლიანი შემოქმედებითი მუშაობა ორ ძირითად თემამდე დავიყვანოთ, ესენია - ეკონომიკური მეცნიერება და მთარგმნელობითი ლიტერატურა (ან: ლიტერატურული თარგმანი). მრავალი წიგნი, რომელნიც ავტორმა გამოსცა, უპირველეს ყოვლისა, აქტუალობით გამოირჩეოდა. ეკონომიკური ნგრევის სტიქიაში ჩავარდნილი ქვეყნისთვის უაღრესად საჭირო იყო ა. გრიშკაშვილის ნაშრომები, რომელთა სათაურებიც კი საკმარისია, რათა მათი სარგებლიანობა წარმოვიდგინოთ: „გარდამავალი ეკონომიის ქვეყნები: პრობლემები, პერსპექტივები“, „გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია“, ან განსაკუთრებით პოპულარული: „ეკონომიკური კალეიდოსკოპი“ და სხვ.

წიგნში განსაკუთრებით აღსანიშნავია წერის მანერა და სტილი, და ასევე მისი დაწერის მიზანი, რომლის შესახებაც თავად გვამცნობს ავტორი: „შევეცადე ასევე გადმომეცა თითოეული გამოქვეყნებული წიგნის ძალზე მოკლე შინაარსი და ანალიტიკური გააზრება, დანიშნულება, მიზანდასახულობა და ზოგ შემთხვევაში, ისტორიაც. შეიძლება ითქვას, რომ მასში თავი მოუყარე ყველაფერ იმას“, რაც კი წიგნის. ბროშურის თუ ზოგიერთი სტატიისა და წერილის სახით დამინერია და გამომიქვეყნებია დღემდე (2023 წლის ბოლო). ამასთან, წიგნში სიყვარულით ვიხსენებ იმ ადამიანებსაც, - თანაავტორებს, გამომცემლობის დირექტორებს, რედაქტორებს და რეცენზენტებს, რომლებმაც კეთილი როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში“.

გარდა ამისა, ა. გრიშკაშვილის ბიბლიოგრაფიულ მონაგარში საპატიო ადგილი უკავია ნაშრომებს, რომელთა თარგმნას მას თხოვდნენ პოლონელი თუ ქართველი სპეციალისტები. მან თარგმნა არაერთი მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკური ავტორიტეტი, რომელთაგან, მაგალითად, საქართველოში კარგად ახსოვთ ცნობილი პოლონელი ეკონომისტი, რეფორმატორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ლეშეკ ბალცეროვიჩი.



მისი არაერთი უაღრესად საინტერესო ნაშრომი, წიგნი თუ სტატია თარგმნა ა. გრიშჩიკაშვილმა; კერძოდ, „სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში“; „თავისუფლება და განვითარება და სხვ. მეორე თემატური ჟანრი, რომელსაც ბიბლიოგრაფიის ალბათ, უმეტესი ნაწილი უკავია - მხატვრული ლიტერატურა, ლიტერატურული თარგმანებია პოლონურიდან ქართულად. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას და ეს კარგად იცის ჩვენმა საზოგადოებამ - ბ-მა ამბროსიმ შექმნა მთელი პოლონური ლიტერატურული სამყარო ქართულ ენაზე. არც ვიცი, რომელი ერთი დავაფიქსირო, გავიხსენო - აქ არიან დიდი ან გამორჩეული პოლონელი პროზაიკოსები; პოეტები, მეცნიერების წარმომადგენლები. თარგმნილ ნაწარმოებთა ჟანრები და პერსონაჟებიც მრავალფეროვანია: მხედართმთავრები, სახელმწიფო მოღვაწეები, იმპერატორები, რიგითი ადამიანები; თემებიც: სიყვარული, პოლიტიკური ბატალიები... აქაც იგივე სურათი იყო, როგორც ეკონომიკურ სფეროში: ერთის მხრივ, რასაც სათარგმნელად ავტორი აირჩევდა და რასაც უკვე დამსახურებული მთარგმნელი - სხვათა თხოვნას, შეთავაზებას, გნებავთ - შეკვეთას ასრულებდა, ვითარცა აქტუალურს. და მაინც, რა იყო ამჯერად მთარგმნელის, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა: „ქვეშეცნეული გეზი“, სათარგმნის შერჩევისას? ალბათ, არ შეეცდები თუ ვიტყვი - უსაზღვრო სიყვარული - საქართველოსი და პოლონეთისა, ქართველი და პოლონელი ხალხების მეგობრობისა, ურთიერთთანადგომისა. უცნაურია, მაგრამ უნდა ენგელსის სიტყვები გავიხსენო: პოლონელები ევროპის ცელქი ბავშვები არიან, ხოლო ქართველები - კავკასიის პოლონელებიო, ასე უთქვამს ჩასვენებული მარქსიზმის მამამთავარს. ამ სიტყვების სამართლიანობას ნუ ჩავუღრმავდებით. აქ მთავარია მენტალური მსგავსების ხაზგასმა. - დიახ, ჩვენ - ქართველები და პოლონელები, ისტორიულმა ბედმა თუ უბედობამ დაგვამსგავსა ერთმანეთს - ბ-ნი ამბროსი გრიშჩიკაშვილი ჩვენი ხალხების ურთიერთმეგობრობის იდეის დიდი თაყვანისმცემელია და ეს მან თავისი შემოქმედებითი დიდი ღვაწლით დაამტკიცა, რისი დადასტურებაც წინამდებარე ბიბლიოგრაფიაა. თან ესეც ხაზგასამელია: მან ეს გააკეთა შესანიშნავი, მიმზიდველი, ცოცხალი და ნათელი სტილით, მანერით, ოდნავი ფილოსოფიური იუმორითაც, რაც ასე უყვარს მკითხველს. კარგ საქმეს გაართვა თავი ბ-ნმა ამბროსიმ. მიხარია რომ ჩემი მცირეოდენი წვლილიცაა წინამდებარე

შემაჯამებელ წიგნში. მან დიდი კომფორტი შეუქმნა პოლონურ-ქართული მეგობრობის მოსურნე მკითხველს, რომ ან მერამდენედ ან პირველად, ბიბლიოგრაფიის დახმარებით, თავისთვის სასურველი არჩევანი გააკეთოს და თანმიმდევრობით შეიჩიოს წასაკითხი წიგნები. ჩვენ კი ამ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს გზას დავულოცავთ მკითხველი საზოგადოებისკენ.

**დიმიტრი შველიძე**  
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

## მცირე შესავალი

„დაჯდა წერად ანდერძისად, საბრალოსა საუბრისად“  
**რუსთაველი**

2023 წლის ბოლოს, ერთ-ერთი შეხვედრისას, ჩემმა მეგობარმა, ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა დიმიტრი შველიძემ თავისი წიგნი „ნაშრომების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (2018 წ.) მაჩუქა. თავიდან ვიფიქრე, მის მიერ გამოცემული წიგნების ერთი ჩვეულებრივი ბიბლიოგრაფია იქნებოდა, რომელსაც თვალს გადავაავლებდი და მეტი არაფერი. მაგრამ ერთი-ორი გვერდის წაკითხვის შემდეგ, დავრწმუნდი, რომ ეს წიგნი უნდა წამეკითხა და წამეკითხა დიდი ყურადღებით. ეს არის ნაშრომი, რომელშიც ავტორი საშუალოდ ერთ-ორ გვერდზე მიმოიხილავს მის მიერ დაწერილ საგაზეთო წერილებს, საჟურნალო სტატიებს, წიგნებს და ა.შ. მოკლედ, მთელ თავის შემოქმედებას. ადამიანისათვის, ვისაც დრო და სურვილი არა აქვს საქართველოს ისტორიას საფუძვლიანად ჩაუღრმავდეს და გაეცნოს მას „ქართლის ცხოვრების“, ვახუშტის, ივ. ჯავახიშვილის და სხვა ისტორიკოსების წიგნებიდან, ამ წიგნის ყურადღებით წაკითხვა საკმარისია, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე წარმოდგენა შეიქმნას.

ვიდრე წიგნს კალმით ხელში ბოლომდე წავიკითხავდი (ასეთი ჩვევა მაქვს: წიგნის, თუნდაც მხატვრული ნაწარმოები იყოს, კითხვისას, კალამი ან ფანქარი უნდა მეჭიროს ხელში. ძალზე საინტერესო ადგილების მოსანიშნად), ბატონ დიმიტრის დავურეკე და წიგნი შევეუქე. მადლობა გადამიხადა და მითხრა: შენც დაწერე მსგავსი რამ, შენც ხომ ბევრი წიგნი გაქვს გამოცემულიო.

ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა და ამ წიგნის წერას შევეუდექი. მე, დიმიტრისაგან განსხვავებით, ორიოდ საგაზეთო და საჟურნალო წერილის მეტს არ შევეხები, რადგან თითქმის მთელი სიცოცხლე ჟურნალ-გაზეთებში ვმუშაობდი ან მათთან ვთანამშრომლობდი და ეს ძალიან შორს წავიყვანდა. მხოლოდ წიგნებით და ერთი-ორი ჟურნალითა თუ გაზეთით შემოვიფარგლები.

ვფიქრობ, წინამდებარე ნაშრომი საინტერესო წასაკითხი იქნება, რადგან მასში მხოლოდ იმაზე კი არაა საუბარი, თუ როგორ

გამოვეცი ესა თუ ის წიგნი, არამედ სტრიქონებს შორის შეიძლება იმის ამოკითხვაც, თუ ქვეყანაში რა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იყო თითოეული მათგანის წერისა თუ გამოცემისას, ხოლო შემდეგ მათი რეალიზაციისას. შევეცადე ასევე გადმომეცა თითოეული მათგანის ძალზე მოკლე შინაარსი და ანალიტიკური გააზრება, დანიშნულება, მიზანდასახულობა და ზოგ შემთხვევაში, ისტორიაც. შეიძლება ითქვას, რომ მასში თავი მოვუყარე, რაც კი წიგნის, ბროშურის თუ ზოგიერთი სტატიისა თუ წერილის სახით დამიწერია და გამომიქვეყნები დღემდე (2023 წლის ბოლო). ამასთან, მასში სიყვარულით გავიხსენებ იმ ადამიანებსაც, - თანაავტორებს, გამომცემლობის დირექტორებს, რედაქტორებს და რეცენზენტებს, რომლებმაც კეთილი როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში.

## თავი 1. ეკონომიკური ხასიათის ნიგნები:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში;

2. საქართველოს სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსში.


თბილისში, ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინსტიტუტში კონკურსის წესით, ჩავირიცხე (მანამდე სახბანკის მცხეთის განყოფილებაში და თელავის რაიფინგანში ვმუშაობდი) და დავიწყე მუშაობა; სადისერტაციო ნაშრომიც აქ დავწერე. შემდგომ ეს ნაშრომი დაედო საფუძვლად ნიგნს „საქართველოს სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში“, რომელიც „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა 1997 წელს.

უნდა ვაღიარო: არა მხოლოდ ეს ნიგნი, არამედ, ის ყველაფერი, რაც ამ დროს მიკეთებია, ვიდრე საბჭოთა კავშირი არ დაინგრა, წყალში გადაყრილი აღმოჩნდა; აბა, ვის სჭირდება მსგავსი ნიგნები და დისერტაციები, როდესაც გეგმურმა სისტემამ კრაზი განცადა და ქვეყნის ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა (გადადის)?! ამიტომ შემზიზღდა ის სისტემა და მისი მესვეურნი: მათ განუხორციელებელსა და უმომავლო ექსპერიმენტს შეენირა ჩემი ახალგაზრდული ენერჯია და წლები. მსგავსი ნიგნები და შესაბამისად, მათზე დახარჯული დროც წყალში გადაყრილად შეიძლება ჩაითვალოს.

ანალოგიურ თემაზეა დაწერილი შემდეგი ნიგნიც: „საქართველოს სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსში“. ის „ცოდნის“ გამომცემლობამ დაბეჭდა. ცნობიბისათვის: საზოგადოება „ცოდნა“ იყო კომუნისტური აგიტაცია-პროპაგანდის გამავრცელებელი ორგანიზაცია.

ზევით დისერტაციის დაცვა ვახსენე და ამასთან დაკავშირებით, მსურს გავიხსენო შემდეგიც: საბჭოთა კავშირში დისერტაციის დაცვა ხდებოდა შემდეგნაირად: ის ჯერ უნდა დაგენერა, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჰუმანიტარული დარგის თითქმის ყველა სახის სადისერტაციო ნაშრომში შენი მოსაზრების დასამტკიცებლად და გასამყარებლად აუცილებლად მოხმობილი უნდა ყოფილიყო არამხოლოდ მარქსიზმის კლასიკოსთა (მარქსი, ენგელსი, ლენინი სტალინი) შრომები, არამედ თვით ლეონიდ ბრეჟნევის შრომებიც

კი („ყამირი“ და სხვ.). შემდეგ ნაშრომი უნდა თარგმნილიყო რუსულად და გავზავნილიყო „ვაკში“ ანუ უმაღლეს საატესტაციო კომისიაში (რუს. ვისშაია ატესტაციონნაია კომისია). მეც ასე მოვიქეცი: რუსულად ვათარგმნინე (არსებობდა სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც ამ საქმეს ჰკიდებდა ხელს, რა თქმა უნდა, სათანადო თანხის გადასახადის შემდეგ) და გავავზავნე „ვაკში“.



გადის თვეები. ვნერვეულობ, რას იზამენ, მომანიჭებენ თუ არა საძიებო ხარისხს. ბოლოს მეგობრებმა მირჩიეს, ჩადი მოსკოვში და გაიგე, რა ხდებაო. მეც ჩავედი, მივედი „ვაკში“ და ვესტიბიულიდან ვურეკავ შესაბამის განყოფილებას. ჩემი დისერტაციის ბედი მაინტერესებს მეთქი. თან ვუყურებ, დიდი ურიკებით როგორ მიახრიგინებენ სხვადასხვა რესპუბლიკიდან გამოგზავნილ სადისერტაციო ნაშრომებს აქეთ-იქით. ქალმა, ვისაც ტელეფონზე დავურეკე, მიპასუხე, ალბათ, კაი ხანს დააგვიანდება პასუხს, რადგან თქვენ დისერტაციაზე „შავი წერილი“ შემოსულიო. უცებ ვერ მივხვდი, ეს „შავი წერილი“ რას ნიშნავდა. „პისმო“, „პისმო“ - გაიცინა მან. ჩანს, ქალბატონი გაამხიარულა ჩემმა გულუბრყვილობამ. როგორც შემდეგ გაირკვა, საქართველოდან მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ყველაზე მეტი მსგავსი წერილი შედიოდა ამ ორგანიზაციაში და ჩემი სადისერტაციო ნაშრომის დამტკიცებაც ამგვარი წერილი (თუ წერილების) გამო ყოვნდებოდა.

ორიოდე თვეში დადებითი პასუხი მივიღე - სადისერტაციო ნაშრომი დამიმტკიცეს.



## რობერტ ლუკასი საბაზრო ეკონომიკა

1997 წელს გამოვეცი ნობელის პრემიის ლაურეატის, ამერიკელი მეცნიერის (ჩიკაგოს უნივერსიტეტი), რობერტ ლუკასის პოლონურად დაწერილი წიგნი „საბაზრო ეკონომიკა“. მეცნიერმა, რომელიც პოლონეთში პრეზიდენტის ეკონომიკურ მრჩეველად მუშაობდა, ეს წიგნის სპეციალურად ამ ქვეყნისათვის დაწერა. წიგნის თარგმანი საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ბატონი დავით იაკობიძის გადანიშნულებით, სამინისტროს სტამბამ დაბეჭდა, რისთვისაც ბ-ნ დავითის დიდი მადლიერი ვარ. წიგნს რედაქტორობა გაუწია მეცნიერმა-ეკონომისტმა, ამჟამად პარლამენტარმა რომან გოცირიძემ.

როგორც ცნობილი ეკონომისტი, ვილნიუსის უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორი იონას ჩიჩინაკი წერს, რომ ეს არის ყველაზე კარგი წიგნი იმ წიგნებს შორის, რომელიც ამ თემაზე დაწერილა. წიგნმა მოწონება დაიმსახურა აგრეთვე ქართული გაზეთების: „ბანკი+“, „ფინანსები“, „სარანგის“ და „თბილისის უწყებანის“ მკითხველებშიც, სადაც მისი ნაწყვეტები იბეჭდებოდა...

ახლა ორიოდე სიტყვა ავტორის, როგორც ადამიანის შესახებ, რ. ლუკასის ცხოვრების ერთი დეტალი, რომელიც სწორედ ნობელის პრემიის მიღებას უკავშირდება, ნათლად გვიჩვენებს, რომ რ. ლუკასი არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ ნამდვილი ჯენტლმენიცაა. პრემიის მიღებამდე ზუსტად 7 წლის წინ, ქ. ჩიკაგოს მოქალაქემ, ვინმე რიტა ლუკასმა გადანიშნა ცოლ-ქმრული კავშირი გაენწყობა ამავე ქალაქის მკვიდრთან, ეკონომისტ რობერტ ლუკასთან. გაფორმდა შესაბამისი დოკუმენტიც ოჯახის ქონების გაყოფაზე...

ეს დოკუმენტი არ გამოიჩინოდა სხვა ანალოგიური დოკუმენტებისგან, გარდა ერთი პუნქტისა, რომელიც თავად ქალბატონმა რიტამ შეიტანა. პუნქტი არაჩვეულებრივად, ექსტრავაგანტურადაც კი გამოიყურებოდა. ამის თანახმად, „ცოლი იღებს 50 პროცენტს ნებისმიერი პრემიისგან, რომელიც მიეკუთვნება მის მეუღ-

ლეს”. ამ უჩვეულო პუნქტის მოქმედების ვადა გრძელდებოდა 1995 წლის 31 დეკემბრამდე. განქორწინების დღეს ვერავინ ვერ იტყოდა დაბეჯითებით, თუ რატომ შეიტანა ასეთი პუნქტი ამ დოკუმენტში ქ-მა რიტა, უნდოდა დაეცინა ყოფილი ქმრისათვის, თუ ნამდვილად სწამდა მისი გენიალურობისა. რა თქმა უნდა, უკანასკნელი ვარაუდი უფრო ტკბილად ესალბუნებოდა რობერტის თავმოყვარეობას. იგი დათანხმდა ხელი მოეწერა ამ ექსტრავაგანტურ აქტზე.

1995 წლის დეკემბერს, ამ პუნქტის მოქმედების ვადის გასვლამდე სულ რაღაც რამდენიმე დღით ადრე, უკვე არა ვინმე რობერტი, არამედ გამოჩენილი ეკონომისტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, დაჯილდოვდა ნობელის პრემიით ეკონომიკის დარგში. პრემიის ფულადი გამოხატულება მილიონი დოლარი იყო. მაგრამ შეთანხმება - ფულზე ძვირფასია. ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ ლუკასი არ დამცირებულა იქამდე, რომ სასამართლო პროცესი დაენწყოთ და - დაუყოვნებლივ მიუთვალა ნახევარი მილიონი შორსმჭვრეტელ ყოფილ მეუღლეს. რაც შეეხება თავად რიტას, მის წინდახედულობას საკმაოდ სოლიდური სტატისტიკური საფუძველი ჰქონდა, რადგან ჩიკაგოს უნივერსიტეტის 8 პროფესორია დაჯილდოვებული ამ დიდი, პრესტიჟული პრემიით ეკონომიკის სფეროში.



## ამბროსი გრიშკაშვილი გარდამავალი ეკონომიის ქვეყნები: პრობლემები, პერსპექტივები

1998 წელს, როდესაც საქართველო სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, ის-ის იყო იწყებდა თავისი გაუბედავი ნაბიჯების გადადგმას საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიისაკენ, გამოვეცი წიგნი: „გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები: პრობლემები, პერსპექტივები“.

ვფიქრობ, წიგნი დანიშნულება ყველაზე კარგად პროფ. ნოდარ ჭითანავამ (ყოფილმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ) განსაზღვრა: „ავტორმა მეტად სასარგებლო საქმე გააკეთა: მწვავე პრობლემები დააჯგუფა, მათი გადაწყვეტის გზებიც განსაზღვრა.“



ნიგნი კარგ სამსახურს გაუნევს ეკონომისტებს, სოციოლოგებს, იურისტებს, პოლიტოლოგებს“.

ნიგნის რედაქტორი იყო პროფ. დავით იაკობიძე, ფინანსთა მინისტრი ედ. შვევარდნაძის მთავრობაში;

რეცენზენტები პროფესორები: თამაზ ჩიკვაძე და ომარ ვაშაკიძე (ამ უკანასკნელის განსაკუთრებით მადლიერი ვარ: მისი დიდი დახმარებით დავიწყე თბილისში, ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობა, ასევე დიდი დახმარება გამიწია დისერტაციაზე მუშაობისას).



## ამბროსი გრიშკაშვილი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია

მრავალი წლის განმავლობაში ოფიციალური სამსახურის პარალელურად ლექციები მქონდა ხოლმე თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. ერთ-ერთ მათგანში, კერძოდ კი, თბილისის უნივერსიტეტში (რექტორი პროფ. შოთა ვეშაპიძე) ლექტორად მუშაობისას მოვამზადე და გამოვეცი (2005 წელს) დამხმარე სახელმძღვანელო: „გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია“. ვფიქრობ, კარგი საქმე გავაკეთე. ზემოთ აღნიშნულ უნივერსიტეტში ამ ნიგნის საფუძველზე ცალკე სასწავლო დისციპლინაც შემოიღეს.

ამ რამდენიმე წლის წინ ბათუმის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ნათია ნიკლაშვილმა მითხრა: თქვენი ნიგნები ჩვენს უნივერსიტეტში ერთგვარი შემონათება იყო. ეს, ცხადია, გადაჭარბებული ნათქვამია, ქ-ნი ნათია ჩემი ჯგუფის, ან გარდაცვლილი ქეთევანის დაა, მაგრამ ნიგნის მომზადებაზე ნამდვილად ბევრი ვიშრომე. მისი პრეზენტაცია ეროვნულ ბანკში ჩატარდა რომან გოცირიძის პრეზიდენტობის დროს. ნიგნის რედაქტორი იყო პროფ. თემურ ბერიძე, ყოფილი სტატსამმართველოს ხელმძღვანელი.

ნიგნში სტატისტიკური მასალების საფუძველზე გაანალიზებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ინფლაცია, როგორც

გარდამავალი პერიოდის გარდუვალობა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები, საგარეო და საშინაო ვალი, საგადასახადო სისტემა, მცირე ბიზნესის მდგომარეობა, უმუშევრობა და სხვ. გასახულია გზები მათი დაძლევის მიმართულებით.



## ამბროსი გრიშკაშვილი პოლონეთიდან დანახული საქართველო

როგორც მთარგმნელსა და პოლონური კულტურის პოპულიზატორს, პოლონეთის ნიგნის ინსტიტუტის (კრაკოვში) მიწვევით ხშირად ვსტუმრობდი კრაკოვს - ზოგჯერ ერთი, ზოგჯერაც სამი თვით. ეს ნიგნი ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას დავწერე. მასში მოთავსებულია ისეთი ავტორების წერილები და სტატიები საქართველოს შესახებ, როგორებიც არიან პოლონეთის ყოფილი ელჩი თბილისში პეტრე ბორავსკი („აჭარა - რეგიონალიზმი თუ სეპარატიზმი“; „საქართველო 1917-1921 წლები“, „შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში“ და სხვ.), ეჟი მარეკ ნოვაკოვსკი („ვლადიმერი - პეტრეს შვილიშვილი“), ვოიცეხ იაგიელსკი („აფხაზური ნამცხვარი“) და სხვ



## ლემუკ ბალცეროვიჩი სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში

ვფიქრობ, ცნობილი პოლონელი ეკონომისტის, ეგრ. ნოდებულის „შოკური თერაპიის“ ავტორის, წლების განმავლობაში ამ ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტის, ფინანსთა მინისტრისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, პროფ. ლემუკ ბალცეროვიჩის „სახელმწიფო გარდამა-

ვალ პერიოდში“ 2002 წელს ჩემს მიერ ნათარგმნმა და გამოცემულმა წიგნმა დიდი დაინტერესება გამოიწვია ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებულ ქართველ მკითხველში. წინამდებარე წიგნი ეხება პოლონეთში განვითარების პრობლემებს. მასში კონკრეტული ფაქტების კარგად ცოდნით არის გაანალიზებული ის პროცესები, რომლებიც ქვეყანამ გაიარა 1989 წლის შემდგომ და რომლებიც მეტ-ნაკლებად ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვისაც არის დამახასიათებელი.

წიგნის მეცნიერული რედაქტორი იყო პროფ. ავთანდილ სილაგაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

წიგნისათვის ბოლოსიტყვაობა დაწერა პროფესორმა, ვლადიმერ პაპავამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრმა.

როგორც ბატონმა ავთანდილ სილაგაძემ აღნიშნა თავის სარედაქციო წერილში, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკის ტრანსფორმაცია-გარდაქმნის პროცესების ანალიზი და თავისებურებების შესწავლა უმნიშვნელოვანესია საერთოდ და კერძოდ, საქართველოსათვის. ამ მხრივ, ფრიად საყურადღებოა პოლონეთის გამოცდილების გათვალისწინება, რომელსაც ეძღვნება პროფ. ლ. ბალცეროვიჩის წინამდებარე ნაშრომი. ეს გამოცდილება საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც პოლონეთმა უკვე განვლო ეკონომიკური რეფორმების ის ფაზა, რომელსაც საქართველო სსრ კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ადგას.

წიგნისმიერ საქმიანობაში პროფესიონალთა როლი გადამწყვეტია, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში. ეს რა თქმა უნდა, კარგად ესმის პროფესორ ლ. ბალშეროვიჩს; „ცუდი სამეურნეო პოლიტიკა ორი ძლიერი ტყუპი ძმის ზურგზე დგას, მათგან ერთია ცალკეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების ზეწოლა, მეორე კი - უცოდინრობა, უფრო სწორად, ეკონომიკური მეცნიერების ცუდად ცოდნა”


წინამდებარე ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საკუთრების მართვის და სახელმწიფო ქონების პრივატიზებას. ამასთან, საკმაოდ ღრმადაა გაანალიზებული განათლებისა და ჯანდაცვის სფეროს რეფორმირების, ამ პროცესში მასშედიის, პოლიტიკური პარტიების მონაწილეობისა და სხვ. აქტუალური საკითხები. ასე მაგალითად, ავტორი ხმას უჭერს განათლების სფეროს დაფინან-

სების მიზნობრივ ზრდას, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მი-  
აჩნია განათლების დაფინანსების პროპორციულობისა და ეფექტი-  
ანობის საკითხი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, დაინტერესებულ მკი-  
თხველს წიგნში კიდევ სხვა მრავალი საინტერესო მოსაზრების  
გაცნობის შესაძლებლობა მიეცემა,

თითქოს აკად. ავთ, სილაგაძის აზრს აგრძელებსო, აკად, ლადო  
პაპავამ თავის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნა:


„ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ, სამწუხაროდ საქართვე-  
ლოს ცუდი ეკონომიკური პოლიტიკა ბარცელოვიჩისეურ „ტყუპ  
ძმებზე“ - საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების ზენოლასა  
და უცოდინრობაზეა დამყარებული: თანაც ეს ტყუპისცალები უე-  
რთმანეთოდ როდი მოქმედებენ: ისინი ერთმანეთს აძლიერებენ.  
პროფესორ ბალცეროვიჩის, საქართველოს პრეზიდენტის მრჩე-  
ვლის რანგში მოღვაწეობამ დაადასტურა, რომ საქართველოში  
„უცხოელ მღვდელსაც არა აქვს შენდობა“. ეს კი, სამწუხაროდ არ  
უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც, თუ კი ერთი ღვანლმოსილი ქა-  
რთველი ეკონომისტის სიტყვებს დაუფუჯერებთ - „საქართველოში  
ყველაზე დიდი ჭკუის გამომყენებელი ჭკუის დეფიციტია“.



## ლემუკ ბალცეროვიჩი თავისუფლება და განვითარება

გავითვალისწინე მკითხველის დაინტერე-  
სება ლ. ბალცეროვიჩის აღნიშნული წიგნით  
და მალევე, 2004 წელს მისი მეორე წიგნი: „თა-  
ვისუფლება და განვითარება - თავისუფალი  
ბაზრის ეკონომიკა“ გამოვეცი. წიგნის მეცნი-  
ერ-რედაქტორი იყო ან გარდაცვლილი ნიკო  
ორველაშვილი - საქართველოს ეკონომიკური  
განვითარების ინსტიტუტის მთავარი ექსპერტი, ეკონომიკური გა-  
ნათლებისა და განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე.

ავტორს ესაამოვნა მისი მეორე ნაშრომის ქართულ ენაზე გამო-  
ცემა და მოგვწერა: „ამ წიგნზე მუშაობისას ვფიქრობდი არა მხო-  
ლოდ პოლონეთზე, არამედ ყველა იმ ქვეყნის შესახებაც, რომელ-



თაც წარსულში კომუნისტური სისტემა მათ განვითარებას ფრიად აფერხებდა.

წინამდებარე წიგნში ვცდილობდი მკითხველისათვის მიმეთითებინა იმ ბერკეტებსა და საშუალებებზე, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ეროვნული მეურნეობის განვითარებაზე და ქვეყანას, თუნდაც ღარიბს, განვითარების საშუალებას აძლევენ“.

წიგნის რედაქტორმა. ან გარდაცვლილმა პროფესორმა ნიკო ორველაშვილმა სარედაქციო სტატიაში დაწერა: „ძალიან ძნელია რამე დაუმატო ამ დიდებულ წიგნში კრიალოსანივით აკინძულ ნათელ აზრებს, მაგრამ სათქმელი მაინც ჩნდება. ჩნდება იმიტომ, რომ ასეთი სისტემური ნაშრომებით ქართველი მკითხველი განებივრებული ნამდვილად არ არის და ამიტომ უფრო მეტად ვთვლი თავს მოვალედ, საჯაროდ გადავუხადო მადლობა მის მთარგმნელს განუელი ღვანლისათვის“.

მალე, ამ წიგნების წარმატებული რეალიზაციით გათამამებულიმა, ისინი ერთად შეეკონე და ქვემოთ ფოტოზე აღბეჭდილი, ახალი წიგნი გამოვეცი.



## ამბროსი გრიშკაშვილი ჩვენ, ევროპელები

ეს წიგნი 2007 წელს გამოვეცი. მასში მოტანილი წერილები (სტატიები) მკითხველს, მათ, ვისაც ჩვენი სამშობლოს მომავალი აინტერესებს, წამოადგენას შეუქმნის ევროკავშირის შესახებ. აქ იგი გაეცნობა ამ გაერთიანების ფორმირებისა და განვითარების ისტორიას, და ასევე იმას, თუ „ბებერი კონტინენტის“ სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი ადამიანები (მწერლები, ჟურნალისტები, პოლიტოლოგები და სხვ.), როგორ აფასებენ თავიანთ სამშობლოს და ასევე, ახალი ქვეყნების მასში გაერთიანებას.

ამის გასაგებად პოპულარულმა პოლონურმა ჟურნალმა „პოლიტიკამ“ რუბრიკით „გავიცნოთ ერთმანეთი“, ერთი, ჩვენი აზ-

რით, საინტერესო კამპანია წამოიწყო: კერძოდ, ევროკავშირის წევრი ქვეყნის (2004 წლის 1 მაისიდან 25 ქვეყანა) წარმომადგენლებს თხოვა შეეფასებინათ კავშირის გაფართოების პროცესი.

ვფიქრობ, ამ პროცესს ყველაზე ნათლად წამოგვიდგენენ ამ ნიგწში შეტანილი ფრანგი და გერმანელი, ანუ იმ ქვეყნების შვილი მწერლების წერილები, რომლებიც წარმოადგენენ ამ კავშირის ხერხემალს.

კერძოდ, ფრანგი მწერალი ქრისტინა ო“კრენტი წერს:

„ახლა ეს ევროპა ჩვენი და თქვენი საერთო საქმეა. და რათა საქმე ერთად ვაკეთოთ, აუცილებელია ერთმანეთს უფრო ახლოს ვიცნობდეთ; აი, ნახეთ, საფრანგეთში შეგვიძლია ერთმანეთს დავცინოთ, საკუთარ თავსაც კი დავცინოთ, განა ჩემი წერილიც ამის დასტური არაა?! შეგვიძლია ასევე ვიყო მომხიბლავები, მეგობრულები, საინტერესონი, მენარმეობის ჟინით აღსავსენი, ოპტიმისტები და მხიარულები“.

გერმანელი მწერალი ქრისტოფერ ჰეინი წერს: ამ ბოლო დროს გერმანიაში წარმოიშვა პარტია, რომელიც ვერ იტანს უცხოელებს. მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი თურქია, იგი ამომრჩეველთა გულის მოგებას შემდეგი მოწოდებით ცდილობს: დროა ავკრძალოთ გერმანიაში ემიგრანტთა შემოსვლა, მისი განცხადებების თანახმად, ყველა თურქი, რომლებიც გერმანიაში უკვე ცხოვრობს, უნდა დარჩეს, მაგრამ სხვების აქ შემოსვლა აიკრძალოს, თუ გვინდა, რომ ქვეყანა უცხოელებმა არ წააღწიონ და არ გალატაკდეს.

ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ეკლესია კი ამბობს: ყველას მივიღებთ. თუმცა ბოლოდროინდელი ფინანსური მონაცემებით ცხადია ხდება, ყველას შესანახად ფული არ იკმარებს!

Welcome Polonia! And God bless you!



## ამბროსი გრიშკაშვილი (თანაავტორობით) ნობელიანტი ეკონომისტები

2003 წელს გამომცემლობა „ინტელექტის“ პრეზიდენტმა კახმეგ კუდავამ შემომთავაზა მუშაობა დამეწყო წიგნზე „ნობელიანტი ეკონომისტები“. ეს ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ ბ-ნმა კახამ უწყოდა ამ თემით ჩემი დაინტერესება: მანამდე მე ჟურნალ-გაზეთებში რამდენიმე წერილი

მქონდა დაბეჭდილი ცალკეულ ნობელიატზე. კერძოდ:

1. „ნობელის პრემია - რჩეულთა ხვედრი (რობერტ ლუკასი). გაზ. „სარანგი“ (რომელსაც მე ვრედაქტორობდი), 1995 წლის ნოემბერ-დეკემბრის ნუმერი.

2. „ნობელის პრემია ეკონომიკაში - წელს ის „ევროს მამად“ ნოდებულ რობერტ მანდელს მიაკუთვნეს“, ჟურ. „ბანკი“, 1999 წ. №4,

3. „ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში - ამარტია სენი - სამუშაო სანახევროდ არის შესრულებული“ ჟურ. „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“, 2002წ. №12,;

4. „ნობელი მოსახლეობის პრობლემებისათვის“, ჟურ. „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“, 2003 წ. №7-8;

5. „ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში - რობერტ ფოგელი“, ჟურ. „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“, 2003 წ. №12,;

6. „ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში - ფრანკო მოდელიანი“, ჟურ. „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“, 2003 წ. №11;

7. „ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში - ბერტილ ულინი“ ჟურ. „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“, 2003 წ. №5;

8. „ნობელის პრემიის 100 წლისთავი“ ჟურ. „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“, 2003 წ. №10;

9. „ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში - რიჩარდ სტოუნი“ ჟურ. „მიკრო-მაკრო ეკონომიკა“, 2003 წ. №3;

10. „ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში - რობერტ მინდელი“ გაზ. „24 საათი“, ბიზნეს-დამატება, 2003 წლის 30 მაისი.



## ამბროსი გრიშაკაშვილი პოლონეთიდან გამოგზავნილი წერილები


2007 წლის სექტემბერში პოლონეთის კულტურის სამინისტრო წიგნის ინსტიტუტის მიწვევით, როგორც პოლონურიდან მთარგმნელი და საქართველოში პოლონური კულტურის პოპულარიზატორი, 3 თვით კრაკოვში (სადაც ინსტიტუტი მდებარეობს) ვიმყოფებოდი.

ეს წერილებიც მაშინ იქ ყოფნის დროს დაიწერა. მას გაზეთ „24 საათს“ ვუგზავნიდი დასაბეჭდათ. წიგნის სათაურიც ამის მიხედვით შევარჩიე.

მათ საფუძვლად პოლონურ პრესაში დაბეჭდილი, იქ ნახული და გაგონილი ამბები დაედო. წიგნში შესული წერილების ნაწილი ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკაში“ დაიბეჭდა.

წიგნში განთავსებულია ევროკომისიის პრეზიდენტის ხოზე ბაროზუს წერილი „საქართველოს ევროკავშირში ვიხილავთ“, „ნობელის პრემია ლარიბთა ბანკირისათვის (წერილი ეხება მუჰამედ იუნუსს“, რომელმაც ლარიბთათვის ბანკები დაარსა და ამ გზით შეეცადა თავისი სამშობლოს, ბანგლადეშისათვის დახმარება გაენიხა), „პოლონეთის ვალების ხაფანგში ებმება“ და სხვ. აღნიშნულ წერილებს გაზეთ „24 საათსა“ და სხვა ბეჭდვით ორგანოებს ვუგზავნიდი დასაბეჭდად, შემდეგ, ვანხე რა, რომ მკითხველი მათ ინტერესით ეცნობოდა, ავკინძე და წიგნად გამოვეცი.





## ამბროსი გრიშკაშვილი საქართველო გლობალურ სამყაროში

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების გავლენით, საქართველო თანდათან ინტენსიურ კავშირ-ურთიერთობას ამყარებს დანარჩენ სამყაროსთან. ეს მის დანარჩენ მსოფლიოსთან სავაჭრო ბრუნვაში (ექსპორტ-იმპორტის ზრდაში), ტურისტული თუ სატრანსპორტო სფეროს განვითარებაში და ა.შ. გამოიხატება.

სწორედ ამ პროცესებს გვაჩვენებს დინამიკაში წინამდებარე წიგნში მოტანილი და გაანალიზებული მონაცემები. მათი ანალიზი საშუალება გვაძლევს დავასკვნათ: მრავალი ფაქტორის - ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის, შრომითი, ბუნებრივ-კლიმატური პირობების, შედარებით დაბალი გადასახადების, ჯერ-ჯერობით ასევე იაფი ძირითადი ფონდების და ა.შ. გონივრული გამოყენებით. საქართველოს შეუძლია უახლოეს ხანებში არა თუ მხოლოდ შემოიტანოს, არამედ თავადაც გაიტანოს ექსპორტზე მრავალი სახის საქონელი, იქონიოს დადებითი სავაჭრო ბალანსი.

წიგნი გამომცემლობა „**ცის ნამმა**“ დაბეჭდა 2010 წელს.

**რედაქტორი ივანე ჩხაიძე**, ეკონომისტ-მათემატიკოსი, კომპანია „ვანო და კომპანის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

**რეცენზენტი: დავით ჯანგულაშვილი**, პროფესორი, შპს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი

## ამბროსი გრიშკაშვილი გზა ევროკავშირისაკენ



2023 წლის ბოლოს (15 დეკემბერს) საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მოენიჭა. გამიხარდა. ვიფიქრე, ჩემი მოკრძალებული წვლილიც ხომ არის მეთქი ამაში და მცირე სიამაყეც ვიგრძენი; თბილისში ევროკავშირის წარმოადგენლობის ხელშეწყობით (დაფინანსებით; დახმარებისათვის ვმადლობ ამ ორგანიზაციის პრესმდივანს ქ-ნ თამარ მიქაძეს) წლების წინ, კერძოდ, 2007 წელს მოვამზადე და გამოვეცი წიგნი: „გზა ევროკავშირისაკენ“.

ამ წიგნთან დაკავშირებით გულწრფელად უნდა ვთქვა: ძალიან მესიამოვნა ჩემთვის უცნობი ქალბატონის ეს ფეისბუქზე ჩანაწერი, რომელიც მან ჩემი დაბადების დღესთან დაკავშირებით მომწერა:

Nona Gelitashvili

ბატონო ამბროსი, პირადად არ გიცნობთ, მაგრამ დიდი პატივისცემით გილოცავთ იუბილეს! ღმერთმა კიდევ მრავალი ბედნიერი წელი მოგივლინოთ! 🎉👏💖 მე თქვენი წიგნებით გაგიცანით, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართულ ენაზე არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა ევროკავშირის შესახებ. დისერტაციის წერას რომ შევუდექი, გვერდით მხოლოდ გერმანული წიგნები და თქვენი წიგნი მქონდა. ახლაც შენახული მაქვს 😊 შემდეგ, დისერტაციის დაცვამდე გრძელი გზა გავიარე, მაგრამ თქვენი წიგნი არასდროს დამავიწყდება...



## შოთა ვეშაბიძე, ეკა ლეკაშვილი, ამბროსი გრიშკაშვილი, ნანა ასლამაზიშვილი მსოფლიო ეკონომიკა

მთავარი რედაქტორი - პროფ. ნათია თურნავა  
რედაქტორები: პროფ. ა. ლონდარიძე, პროფ.  
გ. კიპაროიძე, პროფ. ნ. პაპაჩაშვილი

წიგნს ეპიგრამად უძღვის დიდი ილიას სიტყვები: „ხალხებს შორის კარგი ურთიერთობის გარეშე საქართველოს ხსნის გზა არ არსებობს“.

წიგნი საკმაოდ პოპულარული გახდა, განსაკუთრებით სტუდენტებში. ის ეკონომიკური დისციპლინის ძირითად თემებს მოიცავს. მისი წონადი ნაწილი წიგნის შემდგენლების სამეცნიერო-კვლევით შრომას წარმოადგენს, დანარჩენი კი თარგმნილი და შედგენილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომებზე დაყრდნობით; მათგან განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ისეთი თვალსაჩინო ავტორები, როგორებიც არიან რობერტ ლუკასი, ლეშეკ ბალცეროვიჩი, ალექსანდრე მოვსესიანი, პიტერ დიქენი, ალექსანდრე ბულატოვი, პოლ ჰერსტი, რუსლან ხაზბულატოვი, ალექსანდრე პოგორლეცკი, გრემ ტომპსონი და სხვები.

წიგნი 2008 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „ვერჟემ“.



**ამბროსი გრიშკაშვილი**  
**(პროფ. ლია პიტიურიშვილთან ერთად)**  
**ეკონომისტის Vade Mecum**

**რედაქტორი - პროფ. ნანა ასლამაზიშვილი**

წიგნი ძირითადად ლექსიკონს ჰგავს, მისი ხასიათი აქვს. ამიტომ მის სახელწოდებად ლათინური ტერმინი „Vade Mecum“ (ანუ ერთგვარი ჯიბის, თან სატარებელ წიგნი), შემთხვევით არ შეგვირჩევია.

შესაბამისად, შევეცადეთ წიგნში ის ტერმინები, ეკონომიკური მოვლენები და სიახლეები გაგვეცნო და გაგვემარტა მკითხველისთვის (განსაკუთრებით კი ეკონომისტებისთვის), რომლებიც მათ აუცილებლად უნდა იცოდნენ. თუმცა, კარგად ვაცნობიერებთ, რომ აქ მოტანილი მასალა ზღვაში წვეთია იმისა, რაც თანამედროვე სპეციალისტმა, მით უფრო, თუ მას მაღალი დონის პროფესიონალობაზე აქვს პრეტენზია, უნდა იცოდეს. დარწმუნებული ვართ, რომ წიგნის წაკითხვა და მით უმეტეს, მისი ყურადღებით შესწავლა, სარგებლობას მოუტანს სტუდენტებს, ბანკირებს და საერთოდ, ქართულ საზოგადოებრიობას.

წიგნი დაბეჭდა გამომცემლობა „ცის ნამმა“, 2018 წელს, გამომცემლობის დირექტორი. პროფ. ნასყიდა დარბუაშვილი



## ირინა გუროვა მსოფლიო ეკონომიკა სახელმძღვანელო

ბელორუსი მეცნიერი-ეკონომისტი ირინა გუროვას ამ ნიგნზე, რომელიც ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, პროფ. შოთა ვეშაპიძემ თარგმნა, დიდი შრომა მაქვს მეც ჩადებული, როგორც სარედაქციო კუთხით, ასევე მისი ზოგიერთი ადგილის თარგმნით. ვფიქრობ, მეტად საინტერესო და სასარგებლო წიგნია სპეციალისტების, განსაკუთრებით, სტუდენტებისათვის.

წიგნს წამძღვანებული აქვს ავტორის მეტად საინტერესო მიმართვა ქართველი მკითხველისადმი:

ძვირფასო ქართველო მკითხველო!

მე დავიბადე ბელორუსში, გავიზარდე უკრაინაში, უმაღლესი განათლება რუსეთში იმ დროს მივიღე, როდესაც პოლიტიკურ რუკაზე არსებობდა სახელმწიფო, რომელიც მრავალ ერს აერთიანებდა. მას შემდეგ პოლიტიკასა და ეკონომიკაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ჩემთვის მარად ძვირფასად რჩება შოთა რუსთაველის ბრძნული პოეზია, მზიური ქალაქი თბილისი და ქართული სიმღერის მრავალხმიანობა, ვიმედოვნებ, რომ რუსეთში დაწერილი „მსოფლიო ეკონომიკის“ სახელმძღვანელო საქართველოში თავის მკითხველს იპოვის. გამოვხატავ ჩემს ღრმა პატივისცემასა და მადლიერებას პროფესორ შოთა ვეშაპიძისადმი სახელმძღვანელოს რუსულიდან ქართულად გადასათარგმნად გაწეული შრომისათვის“.



## საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

ავტორთა ჯგუფი: შ. ვეშაპიძე, ნ. ასლამაშვილი, ა. გრიშკაშვილი, ნ. კაკაშვილი, ე. ლეკაშვილი, ა. ლონდარიძე, ნ. პაპაჩაშვილი, ე. სეფაშვილი  
დამხმარე სახელმძღვანელო

წიგნმა დიდი დაინტერესება გამოიწვია სტუდენტებში. მასში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორებიცაა: მსოფლიო მეურნეობის ზოგადი დახასიათება, საერთაშორისო საქონელგაცვლა და წარმოების ფაქტორთა მოძრაობა, კაპიტალის ბაზარი და საერთაშორისო საკრედიტო და სავალუტო ურთიერთობანი, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია და სხვ.

ამ წიგნის მეორედ გამოცემაც გახდა საჭირო.



## ამბროსი გრიშკაშვილი ეკონომიკური კალენდოსკოპი

ეს ეკონომიკური ხასიათის ნაშრომი მოვამზადე და გამოვეცი 2007 წელს. მისი რედაქტორია პროფესორი მიხეილ თოქმაჯიშვილი, რეცენზენტი არჩილ მესტიერიშვილი, სეზ-ის მაკროეკონომიკური და სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

წინამდებარე წიგნი არ წარმოადგენს ტიპიური ეკონომიკური ხასიათის ლექსიკონს, როგორებიც ამ ბოლო დროს ქართული წიგნის ბაზარზე საკმაო რაოდენობით გამოვიდა (როზეტა ასათიანი, „ეკონომიქსი“, განმარტებითი ლექსიკონი, პირველი გამოცემა 1996 წელს, მეორე - 2003 წელს; „ეკონომიკის ლექსიკონი“, რედაქტორები - ავთანდილ სილაგაძე და სხვ. 2001 წელი; გიორგი შიხაშვილი „მენეჯმენტის ლექსიკონი“, 2005 წელი; „ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, რედაქტორი რამინ მითაიშვილი, 1991

წელი; გერა დავარაშვილის „საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი“ 1991 წელი და სხვ.).

ამ წიგნში უფრო არააკადემიურ, თავისუფალ სტილში შესრულებული წერილებია (მათი დაწერისას ვსარგებლობდი როგორც ინტერნეტში განთავსებული წყაროებით, ისე სხვადასხვა სახის ლიტერატურით, ქართულ და უცხოურ ენებზე), მაქსიმალურად ვცდილობდი მათში, როგორც სტუდენტების, ისე თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებით დაინტერესებული მკითხველისათვის, გასაგები ენით გადმომეცა ტერმინების, ცნებების, კატეგორიების ხასიათი, რათა მათთვის ადვილი გამხდარიყო ეკონომიკურ ლაბირინთებში გზის გაგნება.

მსგავსი წიგნების სარგებლობაში განსაკუთრებით დავრწმუნდი ბოლო წლებში სასწავლო დაწესებულებაში მუშაობისა და სტუდენტებთან ურთიერთობის შედეგად. გარდა ამისა, ასეთი წიგნებისადმი სტუდენტების მხრიდან გამოჩენილი გარკვეული დაინტერესება გვაგრძობინა შემდეგმა გარემოებამაც: 2005 წელს თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის ავტორთა კოლექტივმა (პროფ. შოთა ვეშაპიძე, პროფ. ნანა ასლამიზიშვილი და სხვ.), რომელთა შორისაც მეც გახლდით, მოვამზადეთ და გამოვეცით ლექსიკონის ტიპის ნაშრომი „საერთაშორისო ეკონომიკა“, როგორც პროფესორ-მასწავლებლებმა, ისე სტუდენტებმა, აღნიშნული წიგნი დიდი ენთუზიაზმით მიიღეს, ეს ჩემთვის კიდევ ერთი სტიმული გახდა წინამდებარე წიგნის მომზადების საქმეში.

## თავი 2. ორიგინალური და ქართულად თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა

*სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე პუშკინმა  
წიგნების თაროს მიაპყრო ყურადღება და წიგნებს  
მიმართა: „მშვიდობით, მეგობრებო!“.*

### მცირე შესავალი

#### სევდის ბაღს შეველ

კი ვთქვი, გაზეთსა თუ ჟურნალში დაბეჭდილ სტატიებს გვერდს ავუვლი მეთქი, მაგრამ ვხედავ, ზოგი საგაზეთო თუ საჟურნალო წერილიც ჩემთვის ძალზე ძვირფასია; ალბათ, არა მხოლოდ ჩემთვის - მკითხველისათვისაც საინტერესო იქნება. ერთ-ერთი ასეთია ჩემი პირველი წერილი, რომელიც „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა, სათაურით „სამეფო ყვავილებისა“ 1979 წელს, წერილი ეხება მცხეთაში მამულაშვილის ბაღს,

პატარა წინა ისტორია: 1973 წელს უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დასრულების შემდეგ განაწილებით (იყო მაშინ ასეთი პრაქტიკა: სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს სხვადასხვა სამსახურში ანაწილებდნენ სამუშაოდ; არც ერთი სტუდენტი უმუშევარი არ რჩებოდა) მუშაობა დავინყე სახბანკის მცხეთის განყოფილებაში. ჩემთვის ბანკი ციხედ იქცა: დღის პირველ ნახევარში კლიენტთა ბალანსები თუ სხვა დოკუმენტები უნდა მიგელო, მეორე ნახევარში კი ბანკი იკეტებოდა, იშვიათად რომ ვინმე შემოეშვათ და ჩვენ ამ დოკუმენტებზე უნდა გვემუშავა. სულიერად ამ ჩახუთულ გარემოდან თავის დასაღწევად, როცა მოვახერხებდი, ერთადერთი სვეტიცხოველში გასეირნება ან მამულაშვილის ბაღში შევლა მრჩებოდა. ჩემი მცხეთაში ჩასვლისას ბაღის დამფუძნებელი მიხეილ მამულაშვილი უკვე გარდაცვლილი იყო (მან 99 წელიწადი და 6 თვე იცოცხლა) და ბაღს მისი ქალიშვილი პელაგია პატრონობდა. მალე დავმეგობრდით. პელაგია მაშინ უკვე ასაკოვანი იყო. დიდად განათლებული ქალბატონი ბრძანდებოდა.

უმალლესი განათლება მაშინდელ ლენინგრადში (რევოლუციამდე და ახლაც - პეტერბურგში) ჰქონდა მიღებული. ლენინგრადის ბლოკადის დროს ის ქალაქში ჩარჩა. მეტად საინტერესო ცხოვრება ჰქონდა. მახსენდება: ერთხელ ვკითხე, ქალბატონო პელაგია, რა არის, რომ ერთი ქართველი არა გყავთ დამხმარედ მეთქი. რამდენიმე ქართველიც მოვიყვანე, მაგრამ ყველამ რალაც მომპარაო...

თუმცა, ამ თემაზე წერას აღარ გავაგრძელებ. ვფიქრობ, მკითხველს დაინტერესებს კიდევ ერთი წერილი, რომლის დაბეჭდვაც მინდოდა რომელიმე გაზეთსა თუ ჟურნალში, მაგრამ ვერ მოვახერხე და აქ გთავაზობთ:

### **პელაგია მამულაშვილი - ყველა ქართველის ერთადერთი სადარდებელი - საქართველოა...**

*მცხეთის ულამაზესი ბაღის შემქმნელისა და მოამაგის, მიხეილ მამულაშვილის ქალიშვილის, პელაგია მამულაშვილის, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა მამის საპატიო საქმე - გასახსენებელი*

უნივერსიტეტის დასრულებისას მცხეთაში, ბანკში გამანაწილეს სამუშაოდ და მაშინ დავუახლოვედი პელაგია მამულაშვილს; მამამისი, ბატონი მიხეილი რამდენიმე თვის გარდაცვლილი იყო (თითქმის 100 წელს მიღწეული). იქ მუშაობისასაც და შემდგომაც, როდესაც თელავში ან თბილისში ვმუშაობდი, წერილებს ვუგზავნიდით ერთმანეთს, ხშირად მასთან სტუმრადაც ჩავდიოდი...

აღბათ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ თელავში ან თბილისში მიღებულ ქალბატონი პელაგიას წერილებს რა დიდი სიხარული მოჰქონდათ ჩემთვის... მით უმეტეს, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი ბარათები, ამაში მკითხველი თავად დარწმუნდება.

მცხეთაში ერთ-ერთი ბოლო ჩასვლისას, ქალბატონი პელაგია საგრძნობლად მობერებული მეჩვენა, თვალთაც დაჰკლებოდა. ჩემი მისვლისას ყვავილების გვირგვინს წნავდა.

- ლხინში უნდა წავიდეს ეგ გვირგვინი, თუ ჭირში მეთქი - ვკითხე.

- ახლა ლხინში ვილა დადოს, მთელი საქართველო დაკრძალვების, ორმოცების, წლისრიგების გადახდით არის დაკავებული - ნაღვლიანად მითხრა.

(მაშინ, 1977 წლის ოქტომბერი იყო. ზოგი ჭირი მარგებელიაო, იქნებ გაუმართლა კიდევ ქალბატონ პელაგიას, რომ ოთხმოცდაა-



თიანი და შემდგომი ხანის საქართველოში არ მოუწია ცხოვრება, მაშინ მიმდინარე მოვლენები ხომ მისთვის ნამდვილად დიდი ტრაგედია იქნებოდა. ჭეშმარიტი და გულწრფელი პატრიოტი იყო).

- მამა, როგორც ქრისტი, ისე მიცავდაო - მითხრა. - გამიჭირდა ახლა ადამიანებთან ურთიერთობა, ყველას ვენდობი, ყველა კარგი მგონია და მატყუებენო - შემომჩივლა.


ქვემოთ მისი წერილები გვინდა მკითხველს იმ სახით გავაცნოთ, რა სახითაც ვიღებდი. ვფიქრობ, საინტერესოა.



აქვე გვინდა გავაკეთოთ ზოგიერთი განმარტება: როგორც ჩანს, გარკვეული დროით მე მისთვის წერილი არ მიმიწერია. ჩანს, მეტად გულისხმიერი ქალბატონი დააფიქრა ამ ამბავმა და დედარჩემს მისწერა ამის შესახებ.

სხვა წერილში ქალბატონი პელაგია ახსენებს პოლონელ მეგობარს. საქმე იმაშია, რომ ამ დროს დაქორწილებული ვიყავი პოლონელ ქალბატონზე, რომელიც ხელის მოწერის შემდეგ თავის სამშობლოში დაბრუნდა და საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლა გადაიფიქრა. მე ადრე აზრად ვერ გავივლებდი იმას, რომ ეს საქმე ასე შეიძლებოდა შეტრიალებულიყო, ამიტომ განვქორწინდი.

რაც შეეხება ბოლო წერილში ნათქვამს, იმ პოლონელს სულ ტყუილები დაუწერიაო, ახლა ვერ ვიხსენებ, რომელ პოლონელზე და რა ტყუილებზეა მასში ლაპარაკი.

აი, ქალბატონი პელაგიას ზოგიერთი წერილიც:







Չորից լսել առ անհետև շարունակ շարունակ  
գալագալ. 3 Երևի մեր սկզբում Երևան և մեր շրջ-  
այսինքն ժողովուրդը շարունակաբար. սեբ ևս յնձիկ  
Դուրսուրս Երևանի և Կիստուրյանի մոտ Կր. Չորից  
ուրիշ. առիցիսի կոն քայքայի սյուրե յնքա կերպ  
ընթացի կերպի յնքա յնքա յնքա յնքա յնքա յնքա  
բոլոր ևս կարգով. կո շարունակ. յնքա յնքա յնքա յնքա  
առիցիսի յնքա յնքա յնքա յնքա յնքա յնքա յնքա  
ուրիշ կերպ յնքա յնքա յնքա յնքա յնքա յնքա յնքա.

Չորից յնքա յնքա յնքա յնքա  
յնքա յնքա յնքա յնքա յնքա յնքա յնքա  
յնքա յնքա յնքա յնքա յնքա յնքա յնքա.

Կը ձու ճշտ ճիւղն զճիւղն! յարմար  
 շնորհակալ, ճիւղն ճիւղն յետեւ  
 Լոխազի մասն ճիւղն քս ճիւղն ճիւղն  
 ճիւղն ճիւղն Լոխազի մասն ճիւղն  
 ճիւղն ճիւղն Լոխազի մասն ճիւղն  
 ճիւղն ճիւղն Լոխազի մասն ճիւղն  
 ճիւղն ճիւղն Լոխազի մասն ճիւղն  
 ճիւղն ճիւղն Լոխազի մասն ճիւղն  
 ճիւղն ճիւղն Լոխազի մասն ճիւղն  
 ճիւղն ճիւղն Լոխազի մասն ճիւղն

Երկր ճիւղն

ճիւղն ճիւղն



դրա՞ք յերա՞ն նարսիզեղբունս ԿՅՐԽՈ ՎԻՏԱՅԻ-  
 լունն և վիճարկող իմն. եւ թաղութեան կոյժն յՁՑ-  
 եունս?

„ԿՅՐԽՈՑ ԵՆՈՒՆՅՐԽՈՆ ԵՆՑԵ ԿՆՆ


ԻՎԻՄԻՆ ԻՆՏԵՆՆԵ ՅՈՒՅԻՆ  
 ԵՆՆԱ ՉՅՆԵՐԱ ԻՄԸՈՐ ԿԵՆՈՐ ՁՅԻՆՆ  
 ԸՆՆԵՐԿՐՈՒՄԵՆ ԻՄՅՅԸՄԵՆՆ:”

Դժն յտրուտեղուն զշունչն և նայլուսն և նունդն  
 իմիկուսն. ի՞նչ ձեռուտն թաղութեանդն. յուննա  
 իմունս ԿԿՅՐԽՈՑ ԵՆՑԵՆ ԵՆՑԵՆՆՈՒՄ:

Եկիս ԿՅՐԽՈՑ, զի նունն լինի թաղութեանդն  
 յնքն իմունս, յնքն յմարն տնայ իմունս և նուն-  
 իմունս:

Դժն չի կարճ իմունս.

14-XI-83 ԸՆՆԱ ԻՄՆԱ ԸՆՆԱԻՆՆՈՒՄ 110 ԵՐԱՆՆԱ.  
 ՁԿՐԱՆ.



හදිම ග්‍රහණ වර්තමාන වර්ෂයේදී  
අපගේ හදිමේ වන වර්තමාන ව-  
ර්ෂයේදී අපා වර්ෂයේදී.  
අපා වර්ෂයේදී හදිමේ වර්ෂයේදී හදිමේ  
වන වර්ෂයේදී.  
අපගේ වර්ෂයේදී වර්ෂයේදී වර්ෂයේදී  
අප වර්ෂයේදී.

අ වර්ෂයේදී වර්ෂයේදී වර්ෂයේදී වර්ෂයේදී



අප වර්ෂයේදී වර්ෂයේදී වර්ෂයේදී  
වර්ෂයේදී



ჩემი ამბროსი იშუა ახალი 84 ნომერი  
ჯი ხსიათვე რაგყენებ. ძალიან კარგ ანქებ  
აუ ამოხვამი ჩემთან. შინა შინი ნახვა. და-  
ლიან რაგბედი რა მყოფი შირი ახივნა ნუ  
გაბეჩაყებ. იმ შოთონ, რს სულო ცყაიღვი რაყ  
ჩხია მხაჟოს ვეცვი ხოლა ენახვ. რას ჩხია  
შეხია.  
აჟვი სულო ვაჟია.

სულო მამულომეო

7-1-84

მცხეთაში სამუშაოდ დიდხანს ვერ გავჩერდი, თუმცა, ჩემთვის განკუთვნილი ბინის მშენებლობა დაწყებული იყო, კურდღელაურში, მშობლიურ სახლში დავბრუნდი. ახლა წერილობით მქონდა

კავშირი ქალბატონ პელაგიასთან. წერილს ისე არ გამომიგზავნიდა, გამხმარი ლამაზი ყვავილი რომ არ ჰქონოდა მას დაწებებული. მახსოვს, ერთხელ აღ. ბლოკის ლექსების ტომიც გამომიგზავნა.

აი, ამ ბალს ეხებოდა ჩემი პირველი წერილი. მისმა დაბეჭდვამ ძალზე დიდი სიხარული მომგვარა, რადგან, ჯერ ერთი, ჩემს მიერ გაზეთში („ახალგაზრდა კომუნისტი“) დაბეჭდილი პირველი წერილი იყო და მეორეც, ჩემს საყვარელ ბალს ეხებოდა. წერილს ეპიგრამად წამძღვანებული ჰქონდა ამონარიდი ბესიკის ლექსიდან: „სევდის ბალს შეველ შენალონები: მოკრეფად მსურდა ვარდის კონები“.

ცხოვრებისეული პერიპეტიების გამო პოლონეთში პირველად 1988 წელს მოვხვდი (რამხელა დრო გასულა, საუკუნის მესამედზე მეტი...) და 2 თვე ვიცხოვრე იქ. სილეზიაში ამ ხნის განმავლობაში ცხოვრებისას ისე შევისწავლე ენა, რომ საუბარს ვერა, მაგრამ კითხვასა და შინაარსის გაგებას ვახერხებდი. საქართველოში დაბრუნებული ვყიდულობდი ხოლმე პოლონურ ლიტერატურას, ძირითადად პრესას და ვეცნობოდი იქაურ ამბებს. 1988 წლის ოქტომბრის ერთ დღესაც შევიძინე ამ ქვეყნის მთავარი გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ და ვხედავ, მშვენიერი რეცენზიაა რუსთაველის თეატრის მიერ ვარშავაში დადგმული სპექტაკლის „კავკასიური ცარცის წრე“-ს შესახებ, სათაურით „ეს განსაკუთრებული ქართველები“; ვთარგმნე და პოპულარულ გაზეთ „კომუნისტში“ (მას ახლა „საქართველოს რესპუბლიკა“ ეწოდება) მივიტანე. წერილის მიტანიდან მეორე დღესვე დამიბეჭდეს, ხელმოწერით ა. გრიშკაშვილი. მაშინ ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინსტიტუტში ვმუშაობდი. ცხადია, თანამშრომლებმა წაიკითხეს, მაგრამ რადგან სახელი სრულად არ ეწერა, იფიქრეს, რომელიმე ჩემი მოგვარის მიერ იყო ნათარგმნი.

ორიოდე დღის შემდეგ „რუსთაველებმა“ ახალი სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“ დადგეს. კვლავ არანაკლებ ზეალმატებული რეცენზია დაიბეჭდა იმავე პოლონურ გაზეთში. ახლა ჩემს მიერ ნათარგმნი წერილს სახელი და გვარი სრულად მივანერე. ახლა კი მიხვდნენ თანამშრომლები, რომ ეს მთარგმნელი მე ვიყავი და








გაოცებას ვერ მალავდნენ, როდის ისწავლე პოლონური ენაო...

ამ წერილებთან დაკავშირებით მახსენდება: მაშინ გაზეთები ჰონორარს იძლეოდნენ. წავედი მეც ჰონორარის ასაღებად (იმდროინდელი გაზეთების უმრალესობა ახლანდელ ჭოველიძის ქუჩაზე არსებულ მრავალსართულიან შენობაში იყო მოთავსებული. ახლა იქ მგონი რესტორანი, სასტუმრო და სხვა მსგავსი დაწესებულებებია). ვდგავარ რიგში. ჩემს

წინ ახლა ცნობილმა პოეტმა მანანა ჩიტიშვილმა აიღო ჰონორარი. მგონი, 10 მანეთი მისცეს და ჩემთვის ჩავილაპარაკე: ასეთ კაი პოეტს ეს კაპიკები მეთქი...

შემდეგ მე მომცეს ჰონორარი... 3 მანეთი. ამაზე მეტი მბეჭდავისთვის მქონდა გადახდილი ტექსტის აწყობისათვის... მაგრამ მაინც გახარებული ვიყავი, მხატვრული ლიტერატურის სფეროში პირველი ჰონორარი იყო... .

## ბოგდან დროზდოვსკი ამნე



1986 წელს ცნობილმა პოეტმა მზია ხეთაგურმა, რომელიც მაშინ გამომცემლობა „მერანში“ მუშაობდა, პოლონელი მწერლის ბოგდან დროზდოვსკის ორი ნაწარმოების: „ამნე“-ისა და „არმინ ლასკოვიჩის ვნება“-ის თარგმნა შემომთავაზა.

ეს წიგნები ვარშავაში ჩასული

პოეტი ნუგზარ წერეთლისათვის ავტორს, ბოგდან დროზდოვსკის უჩუქებია. ბ-ნ ნუგზარს კი წიგნი გამომცემლობა „მერანში“ მიუტანია, იქნებ ვინმე დაინტერესებულიყო მისი თარგმნით და გამოეცათ. წინადადებას დავეთანხმე და ვთარგმნე; მალევე დაიბეჭდა. ის პოეტ ჯემალ ჭელიძესთან ერთად ვთარგმნე, რომელიც ამოდიოდა ჩემს ნაქირავებ ბინაში, მთაწმინდაზე და იქ ვმუშაობდით.

ეს ორი რომანი, თავისი ლიტერატურული სტილით, ფსიქოლოგიური ტიპის მხატვრულ ნაწარმოებებს განეკუთვნება.

კერძოდ, რომანში „არმინ ლასკოვიჩის ვნებანი“, გადმოცემულია მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ე.წ. „დაკარგული თაობის“ ვნებანი, მათი ფიზიკური და სულიერი განცდები.

რაც შეეხება მეორე რომან „ამნეს“, მასში მოთხრობილია სოციალისტური საზოგადოების მანკიერებანი. მათი აღმოფხვრის უიმედო ცდები.

## ალექსანდრე კრაფჩუკი კლეოპატრა

1996 წელს ჟურნალ „საუნჯეში“ (რედაქტორი პოეტი შოთა ნიშნიანიძე) დაიბეჭდა ცნობილი პოლონელი მწერლის, ამ ქვეყნის კულტურის მინისტრის ალექსანდრე კრაფჩუკის ჩემს მიერ თარგმნილი ისტორიული რომანი „კლეოპატრა“. ავტორი თავისი წიგნის არსს შემდეგნაირად ახასიათებს: „ეს წიგნი მარტოოდენ ეგვიპტის უკანასკნელი დედოფლის ამბავი როდია, - მასზე საკმაოდ ბევრია დაწერილი, - ჩვენ შევეცადეთ ზუსტად და თანმიმდევრულად გადმოგვეცა იმდროინდელი ეპოქა, რამდენადაც ამის საშუალებებს იძლევიან ისტორიული წყაროები. კლეოპატრას, როგორც ქალის შესახებ, ეს წყაროები ბევრს არაფერს გვაუწყებენ. სამაგიეროდ, მშვენივრად ახასიათებენ ეპოქას და იმდროინდელი გამოჩენილი ადამიანების მთელ პლევადას, ვისაც დედოფალი ფრიად დრამატულ სიტუაციაში შეახვედრა ბედმა. თუმცა, ავტორი ერიდებოდა ამბის შელამაზებას, კლეოპატრას ტრაგიკული ბედი - მისი უდიდესი პატივმოყვარეობა და უმნიშვნელო პოლიტიკური ძალაუფლება - მაინც მთელი სიმკვეთრით აისახა. ნათლად გამოჩნდა, რომ ეგვიპტის სახელმწიფოს დაცემა უკანასკნელი მეფეების, განსაკუთრებით, კლეოპატრას მამის სუსტი მმართველობის შედეგი იყო. პირველად ეგვიპტის საშინაო საქმეში სწორედ ამ ხელმწიფის სიცოცხლეში ჩაერივნენ ადამიანები, რომლებმაც შემდგომში გადამწყვეტი როლი შეასრულეს სახელმწიფოს ცხოვრებაში. ესენი იყვნენ ცეზარი და ანტონიუსი.

ზევით ცნობილი პოეტი შოთა ნიშნიანიძე ვახსენე და ბარემ ამასაც გავიხსენებ. ამ რომანის მის ჟურნალში დაბეჭდვის შემდეგ,

აღარ მახსოვს რომელი წელი იყო, რუსთაველის პროსპექტზე, და-ახლოებით იქ, სადაც ადრე ოფიცერთა სახლი იყო, ხოლო შემდეგ რომელიღაც კულტურულ დაწესებულებად გადაკეთდა, შევხვდი მას. მცირედ წავისაუბრეთ. სიტყვამ მოიტანა და იმდროინდელი ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნ. ჯავახიშვილი ვახსენეთ (იქ ვმუშაობდი იმჟამად). პატიოსანი კაცია მეთქი, ვუთხარი. მე მაშინ მართლა ასე მჯეროდა. მკლავში ხელი წამავლო და მოშორებით მჯდარი მათხოვარისაკენ გამახედა: აი, ვინაა პატიოსანიო...



## სტეფან ჟერომსკი ერთგული მდინარე

### როგორ ვბეჭდავდი

ერთ-ერთი წიგნი, რომლის დაბეჭდვასაც საინტერესო ისტორია აქვს და რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, არის პოლონური ლიტერატურის კლასიკოსის, სტეფან ჟერომსკის წიგნი: „ერთგული მდინარე“.

### რატომ ვთარგმნე ეს წიგნი?

თუმცა, მოდი ჯერ იმას გავიხსენებ, თუ ვიდრე სტამბაში, უფრო სწორედ, გამომცემლობაში მივიტანდი, რაზე ავკრიფე-დავბეჭდე ნაწარმოები. იმ ხანებში ტალინში ვიყავი, თუ სწორედ მახსოვს, მივლინებით. საკომისიო მალაზიაში ვიყიდე საბეჭდი მანქანა. რკინიგზის სადგურზე ტაქსით მივედი, აბა იმ საბეჭდ მანქანას უცხო, ტრანსპორტით გადატვირთულ ქალაქში ავტობუსით ხომ ვერ ვატარებდი?! ტაქსის მძღოლი მეუბნება: რა ხართ ეს ქართველები, ჩვენ, ადგილობრივებს ვერაფერი გვიყიდა, თქვენ კიდეც სულ დატვირთული ბრუნდებით სახლშიო. აფუხენი, რაც მომქონდა...

ხოდა, ვიჯექი მთანმინდაზე, ჭავჭავაძის შესახვევში დაქირავებულ ბინაში (ის პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირი ინგრევა) და დღე და ღამე ამ მანქანას ვუკაკუნებდი. იქაური მეზობლები, რომლებთანაც აქამდე კავშირი მაქვს და ერთი ოჯახის უფროსი, გია ქევშივილი, რომელმაც ჩემი ნაბოლარა ქალიშვილი, თეკლაც

მონათლა, გაიხსენებს ხოლმე ამ ამბავს. ჩემი ბიჭებსათვის ხშირად მითქვამს: აგერ კაცი, როგორ სულ მუშაობს, თუ წარმატების მიღწევა გინდათ, თქვენ ასეთი მუყაითები უნდა გახდეთო.



დავბეჭდე ამ მანქანაზე ჟერომსკის ეს ნაწარმოები და ახლა მისი წიგნად გამოცემა იყო საჭირო. წიგნის თარგნაში აქტიურად მენმარებოდა ლიტერატორი, პოეტი, პოლონურიდან მთარგმნელი ჯემალ ჭელიძე. ამ უკანასკნელმა მითხრა: მე ფული არა მაქვს, თუ შეგიძლია ქალაქი იყიდო, მე გამომცემლობას მოვძებნი და წიგნი დავბეჭდოთო. მიქონდა ფული, დაახლოებით იმდენი, რომ ახალ „ფიგულს“ ვიყიდდი. დავეთანხმე. ვიყიდეთ ქალაქი, რამდენიმე რულონი, წონა აღარ მახსოვს, შესაძლოა 1-2 ტონა. ასევე საყდოდ მაღალი ხარისხის ქალაქი.

გამომცემლობამ წიგნი დასაბეჭდად კი მოამზადა, მაგრამ საბჭოთა კავშირში, მათ შორის, საქართველოშიც, დაინყო არეულობა, მოიშალა ეკონომიკა, ფასები ყოველდღიურად მატულობდა და წლიური ინფლაცია ათასი პროცენტითაც კი გაიზარდა და ვილას ჰქონდა წიგნის გამოცემის სურვილი და საშუალება?! გაუქმდა გამომცემლობა „ქართული თეატრიც“.

ქალაქი უკვე შეძენილი მაქვს. ამ დროს, აღარ მახსოვს, სად და როგორ, შევხვდი ჩემს იმდროინდელ მეგობარ კაკო კუკუნაშვილს, რომელიც თელავის სტამბის უფროსი იყო. მან მითხრა, ჩამომიტანე ქალაქი თელავში და დაგიბეჭდავო. ჩავიტანე. ჯემალი ამ საქმეში ნაკლებ ერეოდა. ის მხოლოდ ბოლოს დაინტერესდა, რადგან ტირაჟის ნაწილს მოელოდა.

გაინელა წიგნის ბეჭდვა, მაშინ ხომ ელექტროენერგია სანატრელი იყო. ხან დღეები ისე გადიოდა, შუქი არა გვქონდა. ხოლო თუ იყო, სტამბა ძირითადად იმას ბეჭდავდა, რასაც ყოველ დღიური პურის ფული შეჰქონდა. ძირითადად, რეკლამებს, ზოგჯერ მეც ვიჯექი და ვკინძავდი ფურცლებს.


წიგნს. როგორც იქნა, დაადგა საშველი ტირაჟის ნაწილის დაბეჭდვას. ის 10 ათასი ტირაჟით უნდა დაბეჭდილიყო (ნეტა ვის უნდოდა ამდენი, მაგრამ ამ საქმეში გამოუცდელი ვიყავი და ყველა მე მატყუებდა). დაბეჭდილი წიგნები დავარიგე მაღაზიაში:

თბილისში, ახმეტაში, ყვარელში და სხვ. მაგრამ როგორც ზევი-  
თაც დავწერე, ისეთი საშინელი ინფლაცია ბობოქრობდა ქვეყა-  
ნაში (ამას ეკონომისტები „გაჭენებულ ინფლაციას“ უწოდებენ),  
რომ თუნდაც რომ გაყიდულიყო ის წიგნები, რაიონში ჩასვლას  
უფრო მეტი ფული სჭირდებოდა, ვიდრე იმ წიგნების რეალიზაცი-  
იდან ამინაგები იყო ( სად იყო მაშინ ფულის ბარათზე გადაგზა-  
ვნა-გადმოგზავნა?!).

არც ჩავსულვარ...

რაც შეეხება ქალაქს. რადგან ტირაჟის ნაწილი დავბეჭდეთ,  
ქალაქის მთელი მარაგი არ გაიხარჯა. საყდო ქალაქს მორჩე-  
ნილი ნაწილი გამომცემლობა „არტანუჯის“ დირექტორმა კახმეგ  
კუდავამ შეიძინა, ხოლო ძირითადი ნაწილი დარჩა სტამბაში. რო-  
დესაც აკაკის, სტამბის დირექტორს, ვუთხარი, დარჩენილი ქალა-  
ქის წაღება მინდა მეთქი, თავგებმა შეჭამესო, მიპასუხა...

წიგნის ძალზე საინტერესო და პატრიოტულია. იგი ორი პოლო-  
ნელი ახალგაზრდის სიყვარულის ამბავს ეხება, რომელიც რუსე-  
თის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებული პოლონელების ბრძოლის  
ფონზეა გაშლილი. აი, მაგალითად ერთი ამონარიდი; ამ აზრს აჯა-  
წყების მონაწილე წარმოთქვამს: „პოლონეთის ორი წისქვილის  
ქვის - გერმანიასა და რუსეთს შორის აღმოჩნდა. თუ ჩვენი სამშო-  
ბლო თავადაც წისქვილის ქვა არ გახდა, ხორბალივით დაიფქვება  
ამ ორ დიდ ერს შორის. სხვა გამოსავალი არ არის“.



## სტანისლავ რეიმონტი წერილები შეყვარებულს

შემდეგი წიგნი, რომელიც 1998 წელს გა-  
მოვეცი, იყო პოლონელი მწერლის, ნობელის  
პრემიის ლაურეატის, ვლადისლავ სტ. რეიმო-  
ნტის (1867-1925) სასიყვარულო ბარათების  
კრებული. დღემდე არ თარგმნილა ქართულ  
ენაზე. ამ წიგნში თავმოყრილია მწერლის სასი-  
ყვარულო წერილები ვანდა ტოჩილოვსკასადმი.  
წერილები გამოირჩევა ფილოსოფიური სიღრ-  
მითა და უნაზესი ლირიზმით.

ვფიქრობ, რომანტიული ბუნების ქართველმა მკითხველმა გატაცებით წაიკითხა ნობელიანტი მწერლის ის ეს წერილები.

აქვე საინტერესო ოქნება მწერლის ბიოგრაფიასაც გავეცნოთ.

ვლადისლავ რეიმონტი (1867-1925) მე-19 საუკუნის დასასრულის და მე-20 საუკუნის დასაწყისის პოლონელი მწერალია. მის კალამს ეკუთვნის რომანები - „გლეხები“, „კომედიანტები“, „ფერმენტები“, „ალთქმული ქვეყანა“ და სხვ. რეიმონტის შემოქმედების მწერვალს, მის გედის სიმღერას, რომანი „გლეხები“ წარმოადგენს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს რომანი არა მხოლოდ პოლონური, არამედ მსოფლიო ლიტერატურის შედეგია; სახელდებრ, ამ რომანისათვის დააჯილდოვეს მწერალი 1924 წელს, ნობელის პრემიით.

აღნიშნული წერილების გარდა ვ. რეიმონტს დანერვილი აქვს შესანიშნავი ლირიკულ-ფილოსოფიური ხასიათის წერილები, რომელთა ნაწილის ადრესატია მწერლის უკანასკნელი სიყვარული - ვანდა ტოჩილოვსკა. ამ წერილებს ავტორი თავის შეყვარებულს 1907-1912 წლებში უგზავნიდა. რეიმონტის სიყვარული ვანდასადმი ისე ძლიერი იყო, რომ მწერალს სურდა გაჰყროდა ცოლს. ემუდარებოდა ვანდასაც, რომ განშორებოდა ქმარს და მას გაყოლოდა ცოლად, საკუთრად მიეჩნია მისი შვილები... მაგრამ ამ განზრახვას, ისევე როგორც მწერლის არაერთ სხვა განზრახვას, განხორციელება არ ეწერა. ეს სიყვარული ბოლომდე პლატონურ გრძნობად დარჩა და, ვანდას სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ მომშორებია ცას და არ დაშვებულა მიწაზე“...

ვლ. რეიმონტის ვანდასადმი გაგზავნილი წერილები ლექსებით იკითხება. ისინი ძლიერ ჩამოგავს ბალზაკის, მოპასანის, ეგზიუპერის, ბარათაშვილის, ლევ ტოლსტოის, ილიას წერილებს...

„მხოლოდ სულთა ნათესაობას ვანაცვალედი მთელს ჩემს სიცოცხლეს“ - ამბობს მწერალი ერთ-ერთ ადრეულ სასიყვარულო ბარათში. „ადრეულს“ ვამბობთ იმიტომ, რომ რეიმონტმა თავის სიცოცხლეში არაერთხელ განიცადა სიყვარულის მძაფრი გრძნობა. თუმცა ეს უკანასკნელი - ვანდასადმი სიყვარული, სულ სხვა იყო, ყველასგან გამორჩეული. „ქალისადმი ასეთი წერილე ბი არასოდეს მიმიწერია“ - აღნიშნავს ერთ-ერთ წერილში. მოგვიანებით მწერალი ამ სიყვარულს იხსენებს, როგორც „ცხოვრების უკანასკნელ სიზმარს“.

ამ წერილების დაწერიდან მრავალი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში წერის სტილიც შეიცვალა და აზრის გამოხატვის მანერაც, მაგრამ რეიმონტის წერილები იმდენ მგზნებარებას, გულახდილობასა და ადამიანურ სითბოს შეიცავენ, ისე ძალუმად არიან დამუხტული, რომ დღესაც გვაღელვებს.

„შეყვარებულისადმი მიძღვნილი წერილები მონოლოგებს ემსგავსებიან“ - წერს ერთგან მწერალი. და მართლაც, ვანდასადმი მიძღვნილ წერილებში რეიმონტი შეყვარებულთან განშორების მიზეზებსაც იკვლევს და დანაშაულის მთელ სიმძიმეს მხოლოდ საკუთარ თავს, ანდა გარემომცველ სამყაროს აბრალებს და არავითარ შემთხვევაში საყვარელ არსებას. ამგვარი ღრმა ანალიზის შედეგად იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანს არ ხელენიფება ზეგარდმო მოვლენების შეცვლა...

ორიოდე სიტყვა ამ წერილების ბედის შესახებაც; მიუხედავად იმისა, რომ ვანდა ტორილოვსკა გულმოდგინედ ცდილობდა გამოეცა რეიმონტის წერილები, რათა ხელმისაწვდომი გაეხადა ისინი თანამედროებისთვის, მან ეს ვერ შეძლო. 1944 წელს ფერფლად ქცეული ვარშავიდან ვანდა ტორილოვსკამ წერილები ემიგრაციაში წაიღო და იქ სათუთად ინახავდა. სიკვდილის წინ, 1960 წელს, მონტევიდეოში, ქალბატონმა ვანდამ წერილები თავის ვაჟიშვილებს გადასცა. 1979 წელს თეოდორ ტორილოვსკიმ ისინი მშობლიურ პოლონეთში დააბრუნა მათი დაბეჭდვის ნებართვასთან ერთად. 1981 წელს წერილები დაამუშავა და გამოსცა ბარბარა კოცმა.



## იადვიგა დაცკევიჩი წაპოლენის ვაჟიშვილი

ნინა წიგნის („წერილები შეყვარებულს“), გამოცემიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ნაშრომი „წაპოლენის ვაჟიშვილი“ ვთარგმნე და დავბეჭდე. წიგნის ავტორია ისტორიკოსი და მწერალი ქალბატონი იადვიგა დაცკევიჩი. მას ამ წიგნის გარდა გამოცემული აქვს „ბონაპარტების ბუდეში“, „წაპოლენონ მესამე“

და სხვ. ისტორიკოსის ამ რომანში აღწერილია ნაპოლეონისა და პოლონელი გრაფინია, მარია ვალევსკას სასიყვარულო ამბები, აგრეთვე მათი ვაჟიშვილის. ალექსანდრეს ძალზე რთული და ლამაზი ცხოვრება იმდროინდელი ისტორიული პერიპატეების ფონზე. იმდროის რომელ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, პოპულარულ მწერალსა თუ კომპოზიტორს არ შეეხვდებით წიგნში: ნაპოლეონ მესამეს, ტიერსა და გიზოს, დიუმასა და ჰიუგოს, ალფრედ მიუსესა და ჟორჟ სანდს, შოპენსა და ლისტს, ყოველივე ეს წიგნს მეტად მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის.

წიგნში განსაკუთრებით მომწონს ადგლი, სადაც ნაპოლეონი პოლონელების ფსიქოლოგიურ-ემოციურ ბუნებას გვიხასიათებს. მომწონს იმიტომ, რომ ამ მხრივ ჩვენ და პოლონელები ერთმანეთს ძალზე ვგავართ. ნაპოლეონთან ამ შეხვედრის პერიპეტეებს მარია იგონებს.

აი, ამ შეხვედრის მისეული გადმოცემა: „მე მიმაჩნია - ეუბნება მარიას ნაპოლეონი - რომ პოლონელები ფიცხი და ქარაფშუტა ხალხია. ჩემი აზრით, პოლონელთა ქმედება განპირობებულია ოდენ ფანტაზიით და არა დინჯი გონებით. მთელი მათი ენთუზი-აზმი მოულოდნელი აფეთქებებით ხასიათდება, რომლის მოთო-კვა და ხანგრძლივი დროით შენარჩუნება მათ ძალებს აღემატება. ნუთუ თქვენთვის უცხოა პოლონელთა ამგვარი ხასიათი, მომხიბ-ვლელი პანი?!...“

მსურს, რომ შემეყვარო მარია, მსურს, რომ შენი სამშობლოს დიდება კვლავ აღსდგეს ჩემი წყალობით. ეს ჩემითაა, რომ იგი ჯერ არ გამქრალა. მე უფრო მეტის გაკეთება შემიძლია, მაგრამ არც ის დაგავიწყდეს, რომ იგი გაქრება აი, ამ საათით, რომელსაც მე შენს თვალწინ დავამსხვრევ (და მან მართლაც დაამსხვრია საათი ჩემს ფეხებთან), თუკი სასონარკვეთამდე მიმიყვან, უარყოფ ჩემს გულს და უარს მეტყევი შენსაზე“.

წიგნის მომზადება და გამოცემა მით უფრო გვეჩქარებოდა, რომ, როგორც ცნობილია, 1791 წლის 3 მაისს, ევროპაში პირველად და მსოფლიოში მეორედ, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, პოლონელებმა კონსტიტუცია მიიღეს. ეს იმდროინდელი სამყაროსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ამბავი იყო. წიგნიც სწორედ ამ მოვლენას მივუძღვენით.

ეს თარიღი დამოუკიდებელმა პოლონეთმა თავის ეროვნულ დღესასწაულად აქცია. მას, დღესაც ზეიმობს ეს ქვეყანა, რომელ-



მაც უკვე კაი ხანია მოიშორა კომუნიზმის უღელი, ევროკავშირსა და ნატოშიც განწევრიანდა და წარმატებით ატარებს პოლიტიკურსა თუ ეკონომიკურ რეფორმებს. დემოკრატიული და სწრაფი ტემპებით განვითარებადი პოლონეთი მაგალითი უნდა იყოს, ჩვენთვის, ქართველებისათვისაც.

ვარშავაში ერთ-ერთი ყოფნის დროს, აღარ მახსოვს, რომელ წელს, წიგნის ავტორს ტელეფონით შევეხმაურე და მისი წიგნის თარგმნისა და გამოცემის შესახებ ვამცნე. ძალიან გაუხარდა, ვახშმად დაგვპატიჟა, ვესტუმრეთ. უკვე საკმაოდ ხანში შესული იყო; როგორც ჩანს, მას საკუთარი თავის მოვლაც აღარ შეეძლო და დამხმარე ქალი ჰყავდა. კარგი სალამო გამოვიდა: გვაგახშმეს და კარგად ვისაუბრეთ.



ამ ფოტოზე ჩვენი მაშინდელი სალამოა აღბეჭდილი. ჩემს გვერდით ქალბატონი იადვიგა იჯდა, შემდეგ ჩემი ქართველ-პოლონელი ვაჟი, ხოლო მის გვერდით, ქალბატონ იადვიგას დამხმარე.



## ამბროსი გრიშკაშვილი ქართველები პოლონეთში

ვარშავის უნივერსიტეტს აქვს ტრადიცია: პოლონური კულტურით, ლიტერატურით დაინტერესებულ პირებს იწვევს უნივერსიტეტში, სადაც მათ უტარდებათ ლექციები, სტუმრობენ თეატრებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს და ა.შ. ამ სტუმრობამ შეი-

ძლება გასტანოს ერთი, ორი ან სამი თვე. ამ ინიციატივის მიზანია ამ ხალხმა (ძირითადად, მთარგმნელებმა), უფრო ახლოს დაიცნოს პოლონური კულტურა, გაიღრმავოს ცოდნა პოლონეთის შესახებ. ეს ტრადიცია მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი არ შეწყვეტილა.

მქონდა ბედნიერება რამდენჯერმე მესარგებლა ამ შემოთავაზებით.

2006 წელს შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი და ამ უნივერსიტეტის არქივში მოვიძიე მასალები სხვადასხვა დროს, ძირითადად, პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პოლონეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. მათ საფუძველზე წარმოსდგა წიგნი: „ქართველები პოლონეთში“, ამ მშფოთვარე ემიგრაციის ისტორია ჯერაც არაა საფუძვლიანად შესწავლილი. ვიმედოვნებ, რომ ამ წიგნმა, რომელიც 2007 წელს გამოვეცი. გარკვეული როლი ითამაშა ამ მნიშვნელოვანსა და საჭირო საქმეში და ერთგვარად ამოავსო ეს ხარვეზი.

წიგნს რედაქტორობა გაუწიეს ცნობილმა ისტორიკოსებმა, პროფესორმა გურამ ლორთქიფანიძემ, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის კულტურის ისტორიის კათედრის გამგემ და აკადემიკოსმა ნიკო ჯავახიშვილმა.

ბატონმა გ. ლორთქიფანიძემ თავის სარედაქციო წერილში დაწერა: „წიგნში ავტორის მიერ აღწერილია საქართველო-პოლონეთის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. მასში დიდი რუდუნებითაა შესწავლილი პოლონეთში მცხოვრები ქართველთა ცხოვრება, მათი ემიგრანტული ყოფის პერპეტიები, ნაჩვენებია ის დიდი ადამიანური სიტბო, რომელიც პოლონელებს ჰქონდათ ქართველთა მიმართ... წიგნი დაწერილია კარგი ქართულით, იკითხება დიდი ინტერესით. ჩვენი ღრმა რწმენით, იგი წარმოადგენს ქართულ-პოლონური ურთიერთობის, სიყვარულისა და პატივისცემის სიმბოლოს.“.

წიგნი მკითხველს მოუთხრობს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ პოლონეთში ჩასულ ემიგრანტებზე, რომლებმა იქ აქტიური პოლიტიკური, ლიტერატურული მუშაობა გააჩაღეს. კერძოდ: სერგო ყურულიშვილზე, ალექსანდრე გოძიაშვილზე, ნიკოლოზ მათიკაშვილზე, სამხედროებზე (გენერლებზე): ივანე ყაზბეგზე, ალექსანდრე ზაქარიაძეზე, ზაქარია ბაქრაძეზე და სხვებზე).

წიგნში შესული მასალებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ალ. გოძიაშვილის ნაშრომი: „საქართველოს სახელმწი-

ფოს ამოცანები საერთაშორისო სამართლის შუქზე“ და სერგო ყურულიშვილის წიგნი: „საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ“.

ალექსანდრე გოძიაშვილზე ორიოდ სიტყვის თქმა კიდევ გვსურს: ის გარდა თეორიული მოღვაწეობისა, იყო ასევე ბიზნესმენიც. კერძოდ, მან ვარშავაში გახსნა სავაჭრო ობიექტი: „ჩაისა და ყავის სარეალიზაციო სპეცმაღაზია - ალექსანდრე გოძიაშვილი“. ალ. გოძიაშვილი ითვლება ვარშავაში ყავის ბარების ერთ-ერთ დამაარსებლად.

ყოველივე აქედან გამომდინარე ვფიქრობ: ხომ არ იქნებოდა სასურველი იმ კაფეს გაუკეთდეს ბარელიეფი ა. გოძიაშვილის საპატივსაცემოდ და იქნებ ვარშავაში რომელიმე ქუჩას მისი სახელიც დაერქვას.

რაც შეეხება ნიკოლოზ მათიკაშვილს (გოგლა ლეონიძის დეიდაშვილს), „ქართველთა ნესტორს“ პოლონეთში, ის სხვა ემიგრანტებზე უკეთ მოეწყო, პოლონელ ქალზე იქორწინა და მატერიალურად არაფერი უჭირდა. მხცოვანიც გარდაიცვალა და თავისი ვარშავის სახლი საქართველოს დაუტოვა.


წიგნში განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს მიძღვნილი ქართველ სამხედროებს, რომლებიც კონტრაქტის საფუძველზე პოლონეთის არმიაში იბრძოდნენ. მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჰიტლერელებისაგან ვარშავის განთავისუფლების, ვარშავის აჯანყების დროს. მათ შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს პოლკოვნიკი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოს „ვირტუტი მილიტარის“ მფლობელი ვალერიან თევზაძე. ომის დასრულების შემდეგ თევზაძე, რომელსაც სოციალისტური პოლონეთის მხრიდანაც ელოდა საშიშროება და გერმანიის მხრიდანაც, ფსევდონიმით კრჟიჟანოვსკი, პოლონეთის ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობდა და აქვე, აბრეშუმის ქარხანაში საფინანსო განყოფილების გამგედ მუშაობდა. ამ პერიოდში მას რამდენიმე კურიოზული შემთხვევა გადახდა. მაგალითად, მივლინების დროს, როდესაც ის სხვა ქალაქში იმყოფებოდა და სასტუმროში ცხოვრობდა, მას ამავე სასტუმროში დაბინავებული პოლონელი მიუახლოვდა და მხედრული სალამი მისცა. თევზაძემ თავს სძლია და აუხსნა სამხედროს, რომ ცდებოდა, არასოდეს სამხედრო არა ყოფილა და ის ქარხნის ეკონომისტია.

სხვა დროს კი, როდესაც ვ. თევზაძე ღირექტორთან ერთად მივლინებაში იყო და სასურსათო მაღაზიაში შევიდ პროდუქტის შე-

საძენად, გამყიდველმა ქალმა თავის თანამშრომელს გასძახა: იანეკ, მოდი, ვინ გაჩვენო! ჩვენი პოლკოვნიკი მოვიდა!

საინტერესოა, რომ როდესაც ვ. თევზაძეზე პატარა წერილი გადაკეთე და „დილის გაზეთში“ დავბეჭდე, „პროდუქტების“ ნაცვლად გაზეთში „პრეზერვატივი“ დაებეჭდათ. დილით. ნავიკითხე რა წერილი, მაშინვე რედაქტორს დავურეკე: ეს რა დაუბეჭდიათ მეთქი. რედაქტორმა იცინა: ხანდახან საბეჭდო ოთახში თანამშრომლები იკრიბებიან, ყავას სვამენ და ჩანს, მბეჭდავს შეცდომა მოუვიდა და გაზეთშიც გაიპარაო....

მსგავსი შემთხვევები ვ. თევზაძის ცხოვრებაში არა ერთი ყოფილა.



## ვისლავ მიშლივსკი „ქვა- ქვაზე“

1999 წელს პოლონეთის ელჩმა თბილისში, ჩემმა მეგობარმა პეტრე ბორავსკიმ შემომთავაზა მეთარგმნა მაშინ უკვე ცნობილი მწერლის, ვისლავ მიშლივსკის რომანი „ქვა ქვაზე“. წიგნის თარგმანი დედაჩემს, თინა ზანდუკელ-გრიშკაშვილისას მივუძღვენი.

რომანი ძალზე მაღალი კლასის ნაწარმოებია. 1985 წელს პოლონელმა მკითხველმა ის ერთხმად აღიარა წლის საუკეთესო რომანად. მოგვიანებით მის ავტორს ყველაზე მაღალი პოლონური ჯილდო - „ნიკეა“ მიენიჭა.

რომანის ძირითად ქარგას წარმოადგენს ომიდან დაბრუნებული პოლონელი ახალგაზრდა კაცის შემდგომი ცხოვრება და მისი პერიპატეზები. ნაწარმოებში ფრიად წარმატებულად არის გადაწეული ერთმანეთთან გმირის მოგონებები ომსა და განსაკუთრებით, იმ ომში მისი პარტიზანად ყოფნის პერიოდზე, ბავშვობისა თუ სიყმაწვილის ამბებზე, ანუ ფიქრები იმაზე, რასაც მას მომავალი ცხოვრება უმზადებს.


ნაწარმოების კითხვისას ადამიანს იმის კარგი საშუალება ეძლევა, რომ წარმოდგენა იქონიოს პოლონელთა ტრადიციებზე, მისი ყოფა-ცხოვრების თავისებურებებზე. პოლონური კულტურა

ხომ ძირითადად სოფლური კულტურაა, განსხვავებით გერმანული კულტურისაგან. ამას უაღრესად ტევადი ფრაზით იტყვის მწერალი: „ჩვენი ენა მიწის შვილია, მაგათი (გერმანელების) კიდევ რკინისა. შენ მაგას რას გააგებინებ...“.

წიგნში მრავლად არის ადგილები, სადაც, ისევე, როგორც წინამდებარე შემთხვევაში, ერთი პატარა, მაგრამ ტევადი სტრიქონით მწერალი ახერხებს დიდი ხნის ნაფიქრალის გადმოცემას.

ბარემ აქვე მიღებულ ჰონორარსაც გავამხელ. ამხელა (500 გვ.) წიგნის თარგმანში მხოლოდ 300 დოლარი მერგო. მაგრამ კაცს რომ საქმე გიყვარს, აკეთებ. არ დაეძებ, ჰონორარი დიდია, თუ პატარა.

თუმცა, იმის გამო, რომ \$ 300 ვერ გასწვდა ყველა ხარჯს, წიგნი გარეგნულად ვერ გამოიყურება იმ სახით, რა სახესაც მას პროფესიონალი გამომცემლობები მისცემდნენ. ამასთან, ახლად გამოცემულ წიგნს, რომლის არც ავტორია ცნობილი და არც, მით უმეტეს, მთარგმნელი, რეკლამირება ხომ უნდა?! ვიცოდი რა ეს ყოველივე, მისი რამდენიმე ეგზემპლარი მხოლოდ ერთ მაღაზიაში შევიტანე სარეალიზაციოდ. იყო ასეთი კარგი წიგნის მაღაზია რუსთაველის პროსპექტზე, ოპერის მოპირდაპირე მხარეს. წიგნები ხან სად დადეს, თაროზე, რათა მკითხველს თვალში მოხვედროდა და შეეძინა, ხან - სად, ვიტრინაშიც გამოდეს, მაგრამ არც ერთი არ გაყიდულა. არ მახსოვს, რამდენი ხნის შემდეგ, წიგნები უკან წამოვიღე, ხოლო გამყიდველმა მოიბოდიშა, რა ვქნა, ვერც ერთი ვერ გაყიდეთო...



## რიშარდ კაპუშინსკი იმპერია

2010 წელს ვთარგმნე და გამოვეცი პოპულარული პოლონელი რეპორტიორის, მწერლის, რიშარდ კაპუშინსკის ნაწარმოები „იმპერია“. ეს არის საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის, საქართველოს კარგად შესწავლის საფუძველზე დაწერილი კრიტიკული ნარკვევები.

როგორც ცნობილი პოეტი სალმან რუშდი წერს წინამდებარე ნაწარმოების შესახებ: „მოვლენების კაპუშჩინსკისეული აღწერა აღწევს იმ დონეს, რისი მიღწევას საერთოდ ხელოვნებას ხელეწიფება: ჩვენს წარმოდგენას ფრთებს ასხამს. მის წიგნებში რეპორტაჟი და ხელოვნება ისეა ერთმანეთთან შერწყმულ-შესისხლხორცებული, რომ ბოლოს ძალზე ვუახლოვდებით იმას, რისი გადმოცემის შესაძლებლობასაც თავად კაპუშჩინსკი უარყოფს - სამყაროს ჭეშმარიტ ხატებას“. ხოლო ცნობილი მწერალი ჯონ აბდაიკი წერს: „მისი რომანი მაგიური ჩანაფიქრის შედეგია, რომელშიც ძნელია მიჯნა გადო პოეზიასა და აფორიზმებს შორის“.



## რიშარდ კაპუშჩინსკი ყირგიზი ჩამოღის ცხენიდან

2015 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ დაბეჭდა ჩემს მიერ ნათარგმნი რიშარდ კაპუშჩინსკის „ყირგიზი ჩამოღის ცხენიდან“. წიგნში მოთავსებულია რეპორტაჟული წერილები ყირგიზეთიდან, ტაჯიკეთიდან, მოკლედ, თითქმის ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკიდან და მათ შორის, საქართველოდან. სწორედ საქართველოთი იწყება წიგნში მოტანილი წერილები: „მოგზაურობა საქართველოდან დავინწყე, რაც დიდი შეცდომა იყო. საქართველო უნდა ყოფილიყო არა მოგზაურობის დასაწყისი, არამედ დასასრული. აქ ყველაფერი ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის ადამიანს, თითქოს ნავსადგურს მიაღდა, თითქოს უკვე საკუთარი სახლის ჭერქვეშაა. ყველაფერი: კლიმატი, გარემო და ადამიანთა წეს-ჩვეულებები გირჩევენ, გიბიძგებენ, სადმე ჩრდილში ჩამოჯდე, ჭიქა ღვინო გადაჰკრა, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქო და წარმოთქვა: აჰ, აქ ყოფნას რა სჯობია!

მართლაც მშვენიერი ქვეყანაა საქართველო“.

საინტერესოა, კაპუშჩინსკის ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ თუ ჰქონდა ნაკითხული?!

სხვა ადგილას ავტორი წერს: „ქართველს არაფერი აქვს საერთო მსოფლიო მოქალაქესთან, იგი არც თუ ისე სიამოვნებით

მიდის საზღვარგარეთ და ძნელად რომ სხვა ქვეყანაში დასახლდეს“.

სხვათაშორის, მსგავსი აზრი ადრე მ. ჯავახიშვილსაც აქვს გამოთქმული. რა იცოდნენ ბატონმა რიშარდმა და ბატონმა მიხეილმა, რომ ქართველებს მატერიალურად ისე გაუჭირდებოდათ, 20-ე საუკუნის დასასრულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ნახევარი საქართველო უცხოეთში წავიდოდა სამუშაოდ.

„საქართველოს ისტორია ბევრი რამით ჰგავს პოლონეთისას“ - წერს კაპუშჩინსკი. - „ძველი ქართული ხელოვნება თავისი სრულყოფილებით გვაოცებს“.

„ქართველების ქეიფს არაფერი აქვს საერთო ღრეობასთან, თავაშვებულობასთან. ისინი დროის მოსაკლავად როდი ქეიფობენ. მათი სუფრა მხოლოდ საბაბია, თუმცა, სასიამოვნო ღვინითა და გემრიელი საჭმლით განწყობილი, მაგრამ მაინც მხოლოდ საბაბია... მათთვის სუფრა მეგობრობის კერაა... ქართველისათვის ყველაზე დიდი სასჯელი მარტოობაა... სუფრას იმიტომ შლიან, რომ ცხოვრება დღესასწაულად აქციონ“.

სმირად გაიგონებთ ქართველი კაცის სიზარმაცის შესახებ. კაპუშჩინსკი სხვაგვარად ფიქრობს:

„ვინც საქართველოში ჩავა, იქაურ ტრადიციას ხარკი უნდა გადაუხადოს. აქ ჩამოსულს აუცილებლად მოუწევს ქართველებთან ქეიფი. ამის გარეშე მათი ცხოვრება არ არსებობს... მათი სწრაფვა ქეიფისადმი არაა გამონვეული უსაქმურობით ან უზრუნველობით. იშვიათად მინახავს მათთვის შრომისმოყვარე ხალხი. ძნელად ნახავთ გლეხს, რომელიც ასე ზრუნავს თავის მინდორზე, ვენახზე“.



## მისილი კაზიუვი თუ ჩემს თვალებს...


1988 წელს გამომცემლობა „მერანის“ თანამშრომელმა, პოეტმა მზია ხეთაგურმა სათარგმნად გადმომცა მეცნიერისა (ფილოლოგი) და მწერლის მისილი კაზიუვის წიგნი „თუ ჩემს თვალებს“. მისთვის ვარშავაში ყოფნისას ეჩუქებინათ სათარგმნად და გა-

მოსაცემად. და რადგან ქ-ნმა მზია პოლონური არ იცოდა, მე შე-  
მიამხანაგა. მართლაც წიგნი მე ვთარგმნე ხოლო მან სტილისტუ-  
რ-რედაქტორულად გააწყო. უნდა ვაღიარო, რომ ამ ქართველ-ოს  
ქალბატონს ჩემზე უკეთესი, მდიდარი ქართული ლექსიკონი აქვს.

წინამდებარე წიგნი არის ავტობიოგრაფიული ხასიათის. ის ისე-  
თივე არაჩვეულებრივია, როგორი განსაკუთრებულიც არის მისი  
ავტორის ბედი.

მიუხედავად იმისა, რომ მ. კაზიუშკა ორივე ხელი და თვალები  
დაკარგა მეორე მსოფლიო ომის ბოლო დღეს, ქალაქ ვროცლავში  
მიმდინარე ბრძოლებისას, მაინც შეძლო დაესრულებინა საშუალო  
სკოლა, ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტი ქ. პოზნანში  
და სამეცნიერო ხარისხიც დაეცვა. მან ასე, უსინათლომა და უხე-  
ლომ, ბრაილის შრიფტის დახმარებით მოახერხა ამ წიგნის დაწერა  
(ბრაილის შრიფტი - რელიეფურ-ნერტილოვანი შრიფტი უსინათ-  
ლოთა წერა-კითხვისათვის).

წიგნმა დღის სინათლე 1989 წელს იხილა.



## ვლადისლავ რეიმონტი პანტერა

2011 წელს გამომცემლობა „ინტელექტის“  
დირექტორმა კახმეგ კუდავამ, რადგან ის  
არის საგამომცემლო პროექტის - ნობელის  
პრემიის ლაურეატების - ავტორი, შემომთა-  
ვაზა მეთარგმნა ნობელის პრემიის ლაურე-  
ატის სტანისლავ რეიმონტის რომანი „პა-  
ნტერა“. რეიმონტს დიდი მხატვრული ტილო,  
რომან „გლეხებისათვის“ მიენიჭა ეს მაღალი  
ჯილდო, 1924 წელს.

წიგნი ვთარგმნე და მომდევნო წელს გამოიცა კიდეც.

მწერლები ძირითადად თავიანთი შემოქმედებით ხდებიან სახე-  
ლგანთქმულნი. თუმცა, ისეთებსაც ვიცნობთ, რომელთა ცხოვრე-  
ბაც მათ შემოქმედებაზე გაცილებით საინტერესოა.

ვლადისლავ რეიმონტი ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისია; მისი  
ცხოვრებაც ისევე საინტერესოა, როგორც მისი შემოქმედება. ამი-



ტომ შემთხვევითი როდია, რომ პოლონეთის ერთ-ერთი პოპულარული გამომცემლობის მიერ წამოწყებულ სერიაში - „ბიოგრაფიული რომანი“, პირველ ნიგნად, 1971 წელს, რეიმონტის ბიოგრაფია დაიბეჭდა. მალე ეს ნაწარმოები ისე პოპულარული გახდა პოლონეთში, რომ განმეორებით 1973 და 2000 წლებშიც გამოიცა.

ლიტერატურათმცოდნეები ვლადისლავ რეიმონტის 1911 წელს გამომცემულ „ვამპირს“ (ქართულ თარგამში - „პანტერა“) მოიხსენიებდნენ, როგორც გოთურ რომანს. ამ ჟანრის ნაწარმოებების სიუჟეტი მოითხოვს ბოროტი ძალის (უარყოფითი პერსონაჟის) არსებობას. ეს ბოროტი პერსონაჟი იმდენად თვითმყოფადი და საინტერესოა, რომ იოლად ახერხებს რომანის მთავარი გმირის „გაძევებას“, იძენს უსაძღვრო ძალაუფლებას და მკითხველის მხრიდან ყურადღებასაც იმსახურებს.


საზოგადოებას ყოველთვის აღელვებდა და დღესაც არ განელეზბია რეიმონტის მგზნებარე პირადი ცხოვრებისადმი ინტერესი. არსებობს მწერლის რამდენიმე ავტობიოგრაფია. აი, ნაწყვეტი ერთ-ერთი მათგანიდან.

„... ვაგრძელებდი ლექსების წერას, სახლიდან ვარშავაში გავიქეცი, დამიჭირეს, უკან დამაბრუნეს. უბედური ბავშვობა მქონდა. მენადა სემინარიაში მოწყობა, მაგრამ მამა ამის წინააღმდეგი იყო, ფულიც არ მომცა, უნდოდა მუშაობა დამეწყო, ტირანივით მექცეოდა, სულსა მხდიდა.

რა უნდა მექნა? ერთი სკოლის მეგობარი მყავდა, პროვინციულ თეატრში მუშაობდა; შინიდან გავიქეცი მასთან მივედი. მირჩია თეატრალურ დასში შევსულიყავი. არ ვიყავი მოხიბლული, არც დასის წევრებითა და არც წარმოდგენებით, მაგრამ აქ თავისუფლად მაინც შემეძლო ცხოვრება. გვარი შევიცვალე და მასთან ერთად მთელ ქვეყანაში ვმოგზაურობდი. ერთი კუთხეც არ დაგვრჩენია, წარმოდგენა არ გაგვემართოს. დიდ გაჭირვებაში ვცხოვრობდი, მაგრამ ამ თავისუფლებამ, მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრებამ ჩემი არსება მთლიანად შეიპყრო. მსახიობის ტალანტი არ მქონია, მაგრამ ყველაფერს ვთამაშობდი. ერთი წლის შემდეგ სახლში დავბრუნდი. უკვე ძველებურად აღარ ცდილობდნენ ჩემს დაჩაგვრას, პირიქით, მამა დამეხმარა კიდევაც, რკინიგზაში დამეწყო მუშაობა. აქაც ერთი წელი ვიმუშავე და ბოლოს, ამგვარი უფერული ცხოვრება მომწყინდა“.

1919 წელს ახლად თავისუფლებამოპოვებულმა პოლონეთის ხელისუფლებამ უკვე საქვეყნოდ ცნობილი მწერალი ამერიკაში გაგზავნა, რათა მჭიდრო კავშირი დაემყარებინა იქაურ მრავალრიცხოვან პოლონურ დიასპორასთან და ფინანსური სახსრები მოეზიდა ახალგაზრდა სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის. რეიმონტის ჩასვლა აშშ-ში ისეთ პაპანაქება სიცხეებს დაემთხვა, რომ მწერალი რამდენიმე დღე ლოგინში იწვა და სასტუმროდან გარეთ ვერ გამოდიოდა:


„აქაური კლიმატი საჩემო არაა. ამის გამო ჩემი წერვები ისეთ დღეშია, რომ, თუ რამდენიმე საათი სიწყნარეში, მარტოობაში არ გავატარე, ძალას ვერ ვიკრებ... აქ ძალიან უცხოვ ვგრძნობ თავს, ჩემთვის მიუღებელია ცხოვრების აქაური რიტმიც. სულიერადაც ეულად ვარ. საბედნიეროდ, ჩვენი ხალხის უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობ, მახარებს მათი თავგანწირვა და პატრიოტიზმი. ეს რომ არა, აქ დიდხანს ვერ გავჩერდებოდი“.



## რიშარდ კაპუშჩინსკი იმპერატორი

ვფიქრობ, ორჯერ ნობელის პრემიის ნომინანტის, მსოფლიოში ცნობილი რეპორტიორის, ჟურნალისტის, პოლონელი კლასიკოსის რიშარდ კაპუშჩინსკის შემოქმედების მწვერვალს მისი „იმპერატორი“ წარმოადგენს. ეს არ არის უბრალოდ რეპორტიორული ნაწარმოები.

1978 წელს დაწერილი ეს წიგნი ეთიოპიასა და მის იმპერატორ ჰაილე სელასიეს ეძღვნება, კონსტიტუციური მონარქიისა და რევოლუციის პერიოდში. თავად ავტორი მას უფრო ლიტერატურულ ფიქციად მიიჩნევდა, ვიდრე რეპორტაჟად. კაპუშჩინსკი ეყრდნობა ფაქტებს, მაგრამ მას, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების არსის ჩვენება აინტერესებდა და ფაქტებსაც შესაბამისად არჩევდა.



ვიდრე წიგნი დაიბეჭდებოდა, 2007 წელს წიგნიდან ამონარიდები ჟურნალ „საუნჯემი“ დავბეჭდე.

წიგნი წარმოგვიდგენს ყოფილი საიმპერატორო კარის ცოცხლად დარჩენილი წევრების მონათხრობს (ისინი ანონიმიურად რჩებიან, გარდა ზოგიერთი მათგანისა). კაპუშჩინსკი სისტემის რეკონსტრუქციას სწორედ მათ მონაყოლზე ცდილობს. მათი ნაამბობი ყოფილი რეჟიმის გარკვეულ სურათს გვიხატავს. წიგნი ერთგვარი სატირაა (გროტესკის ელფერით), არა მხოლოდ ჰაილე სელასიეს დროინდელი რეჟიმისა, არამედ ყველა იმ სისტემისა, რომელიც პოლიტიკის მსგავს საფუძვლებს ემყარება.

კაპუშჩინსკი გვიხატავს ავტორიტარული რეჟიმის მოდელს, რომლის ნიმუშიც ეთიოპიის საიმპერატორო კარია. „იმპერატორი“ არის პამფლეტი ტოტალიტარიზმზე. ზოგიერთი კრიტიკოსის მოსაზრებით, კაპუშჩინსკიმ შეძლო ამ სახის პოლიტიკური სისტემის შინაგანი ლოგიკის კარგად ახსნა. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ნაწარმოები ამართლებს შეთქმულებებს, პოლიტიკურ გადატრიალებებს, ამ შემთხვევაში კი „შავი სტალინის“ ანუ მენგუსტუ ჰაილე მარიამის მიერ მოწყობილ პოლიტიკურ გადატრიალებას, რომელსაც აქტიურად ეხმარებოდნენ საბჭოთა კავშირის, გდრ-ის, ბულგარეთის და კუბის სპეცსამსახურები.

წიგნი 2015 წელს დაბეჭდა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“. რედაქტორები: ნათია ნაფეტვარიძე და ლელა ტულუში.



## ჟურნალი „ახალი პოლონეთი“

ჟურნალი მომზადებულია საგანგებოდ ქართველი მკითხველისათვის. მისი როგორც პოლონური, ისე ქართული ვარიანტი დაიბეჭდა ვარშავაში, გამომცემლობა „ბიბლიოთეკა ნაროდოვას“ (ეროვნული ბიბლიოთეკა) მიერ. მასში დაბეჭდილია ჩემს მიერ თარგმნილი შემდეგი სტატიები: ეჟი იასტრემბოვსკის „პოლონეთი სცენაზე ბრუნდება“, ამ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ალექსანდრე კვაშნევსკის „პოლონეთის ადგილი


ახალ ევროპაში“, ეჟი პონიატოვსკის „პური მეიშაგოლიდან“, ალექსანდრე ლიპატოვის „ძნელი მეზობლობა“, თადეუშ სობოლევსკის „ოხოისკასთან“, მარეკ ვასილევსკის „თავისუფლების აჩრდილი - პოლონეთის ხელოვნება ოცდამეერთე საუკუნის ზღურბლზე“ და სხვ



## ვოიცეხ გურეცკი პლანეტა კავკასია

ეს არის პირველი წიგნი, იმ სამი წიგნისა, რომლებიც მათმა ავტორმა, პოლიტოლოგმა და ჟურნალისტმა, საქართველოს მეგობარმა ვოიცეხ გურეცკიმ დაწერა. სამივე მეტ-ნაკლებად საქართველოს ეხება. ჩვენ ისინი კი ვთარგმნეთ და გამოვეცით. ეს წიგნებია „პლანეტა კავკასია“, „წინაპართა სადღეგრძელო“ და „აფხაზეთი“.

როცა ამ წიგნს, ანუ „პლანეტა კავკასიას“ კითხულობ, ხშირად გაცეცხული რჩები, თუ რა რისკის ფასად აქვს ავტორს მოპოვებული მრავალი ადამიანური ისტორია, ისტორიული ფაქტი, თუ ფარული ინფორმაცია - ეხება ეს არჩევნებს ყარაჩაევო-ჩერქეზეთში, ასვლას უნიკალურ სოფელ ჰუნალუგუში, ჩამოსვლას ცხინვალის რეგიონში თუ სხვ. აქ სიარული ხომ არა თუ მაშინ, როდესაც მწერალი იქ ჩავიდა, არამედ გაცილებით უფრო ადრეც კი, საბჭოთა კავშირის არსებობისას, როდესაც პოლიტიკური ვითარება შეუდარებლად სტაბილური ჩანდა, სახიფათო იყო.



როდესაც წიგნში კიდევ ერთხელ კითხულობ იმის შესახებ, თუ როგორ ძალადობის გზით შეძლო რუსეთმა კავკასიაში ფეხის მოკიდება, რწმუნდები, რომ ძალა აღმართს ხნავს, და რომ დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალიო.

წიგნის ქართულად გამოცემამ ძალზე გაახარა ავტორი, რაც თავისი წიგნის ქართულ თარგმანის ეგზემპლარზე სამადლობელო წარწერითაც გამოხატა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონი ვოიცეხი კავკასიით დიდი ხანია დაინტერესებულია და სათანადოდ აშუქებს კიდევ კავკასიურ პრობლემებს პოლონურ პრესაში. სხვათაშორის, მრავალგზისაა ნამყოფი ცეცხლმოდებულ აფხაზეთში. ერთ-ერთი მისი კორესპონდენცია დაიბეჭდა ვარშავის გამომცემლობა „GRUZIA - საქართველო“-ში. ჩვენ იგი 1995 წელს ვთარგმნეთ და ჯერ ყოველკვირეულ გაზეთში „თასი და მახვილი“ (რედაქტორი -რაინდი ასლამაზიშვილი) გამოვაქვეყნეთ, ხოლო შემდეგ დავბეჭდეთ წიგნში - „პოლონეთიდან დანახული საქართველო“, რომელშიც შესულია პოლონელი ავტორების (პოლიტიკოსების, ისტორიკოსების, ჟურნალისტების და სხვ.) ტექსტები საქართველოს შესახებ.

წიგნი გამოსცა „კავკასიის სახლმა“.




## რიშარდ კაპუშჩინსკი მოგზაურობა ჰეროდოტესთან ერთად

ვფიქრობ, უამრავი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი, ორგზის ნობელის პრემიის ნომინანტის, პოლონელი მწერლისა და ჟურნალისტის რიშარდ კაპუშჩინსკის წიგნმა „მოგზაურობა ჰეროდოტესთან ერთად“ დააინტერესა მკითხველი. რომელსაც დროში მოგზაურობა იტაცებს. ავტორი ახალი თვალთ აჩვენებს მკითხველს იმ ადგილებს, საიდანაც ოდესღაც ძღვევამოსილი მეფეები და იმპერატორები მთელი მსოფლიოს ბედს განაგებდნენ.

ერთი ამონარიდი წიგნიდან: „მაგრამ ჰეროდოტე ყოველთვის როდი მიწევდა მეგზურობას. ხშირად ჩემი რომელიმე ქვეყანაში

გამგზავრება ისე მოულოდნელად ხდებოდა, რომ იგი არც კი მახსენდებოდა ხოლმე, თუმცა მისი წიგნი სულ თან დამქონდა. საქმეც ბევრი მქონდა და ტროპიკული პაპანაქება ქანცს ისე მაცლიდა, აღარც ძალა მქონდა და აღარც სურვილი, განმეორებით გადამეკითხა მისი ზოგიერთი ადგილი“.

წიგნი 2015 წელს გამოცა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.



## ზბიგნეე ჰერბერტი ნატურმორტი ლაგამით

როგორც ჩანს, პოლონეთის ელჩს თბილისში, ბატონ დარიუმ იავორსკის და მის მეუღლეს ქ-ნ მალგოჟატას, იმდენად უყვართ ზბიგნეე ჰერბერტი, რომ არა მხოლოდ შემოთავაზეს მისი ესსეების თარგმნა, არამედ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაშიც“ მობრძანდნენ და მის დირექტორს, ქალბატონ თინა მამულაშვილს სთხოვეს მისი გამოცემა გეგმაშიც შეეტანა.

ზბიგნეე ჰერბერტი კი ნამდვილად დიდი, ხალხის საყვარელი პოეტი და პროზაიკოსია. პოლონეთის სეიმის 2017 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით, 2018 წელი ჰერბერტის წლად გამოცხადდა. სეიმის განცხადებით, ჰერბერტის შემოქმედება განსაკუთრებით გამორჩეულია პოლონურ ლიტერატურაში.

პოეტური ციკლის „ბატონი კოგიტოს“ შემოქმედი, მრავალი ესსეისა და დრამატული ნაწარმოების ავტორი, აქტიურად თანამშრომლობდა ოპოზიციასთან კომპარტიის წინააღმდეგ. მის ლექსებზე არაერთი სიმღერა შეიქმნა.

ჰერბერტის სახელი მოიხსენიება ისეთი დიდი პოეტების, ესსეისტების, დრამატურგების გვერდით, როგორებიც არიან ჩესლავ მილოში (ნობელიანტი), თადეუმ რუჟევიჩი (მწერალი, დრამატურგი), ვისლავა შიმბორსკა (პოეტი, ნობელიანტი). ჰერბერტიც იყო მრავალგზის წარდგენილი ნობელის პრემიაზე, მაგრამ ამოდ...


ჰერბერტის როგორც პოეზია, ისე მთელი შემოქმედება, ძირითადად ბერძნულსა და რომაულ ანტიკურ სიუჟეტებს ეყრდნობა.

მისი ლექსები ადამიანური ბუნების წინააღმდეგობრივი ხასიათის დრამატიზაციას ასახავს. „ჩვენ ხომ ღრუბლებსა და ტალახიან გუბებს შორის გვიხდება ცხოვრება“, - ამბობდა ის.

თავის პოლიტიკურ აზრებს საკუთარი ცხოვრების წესითაც უმაგრებდა ზურგს. მაგალითად, მისი ხელწერა ამშვენებს 70-ანი წლების შუა ხანებში პოლონელი მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საპროტესტო წერილს, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შესწორების წინააღმდეგ დაიწერა. ამის გამო პოლონეთის ხელისუფლებამ მისი ნაწერების გამოქვეყნება აკრძალა და ჰერბერტი იძულებული გახდა ისინი საზღვარგარეთ ან იატაკქვეშეთის გამოცემებში დაებეჭდა.

1972 წელს პოპულარული პოლონური ჟურნალის „პოლიტიკი-სათვის“ მიცემულ ინტერვიუში ჰერბერტმა განაცხადა: „თუ ორი გზიდან ერთ-ერთს უნდა დაადგე, აირჩიე ის, რომელიც შენთვის გაცილებით რთულია“. თავად პოეტს ამ პრინციპისათვის არასოდეს უღალატია.

გარდაცვალებამდე (1998 წლის 28 აგვისტო) მცირე ხნით ადრე, თითქოს ანდერძივით დაიბარა: „ცხოვრება ძაფის დართვასა ჰგავს: ძველ ძაფს ახალი უნდა შეერიოს. სანამ კაცი საფლავში ჩავა, ის სამოსი უნდა მოირგოს, რომელიც აქვს და ტანზე კარგად ადგას. თუმცა. უნდა იცოდეს, როგორი სამოსია ეს, რომელი ნაწილი აქვს კარგად შენახული და რომელი გასცვეთია. ცხოვრებასაც ასეთი თვალით უნდა შეხედოს. მხოლოდ საკუთარს კი არა, იმ ერისა და საზოგადოებისასაც კი, რომელშიც მან ცხოვრება გაატარა“.



## ვოიცეხ იაგიელსკი ლარას ყველა ომი

**სამეცნიერო რედაქტორი - პროფ. ხეთისო მამისიმედიშვილი;**

**რეცენზენტი - ხასო ხანგოშვილი, მწერალი, პანკისის უხუცესთა კავშირის წევრი**

**პროექტის ხელმძღვანელი - მარიამ გაჩეჩილაძე.**

მკითხველისათვის წინამდებარე წიგნის მოკლე შინაარსის გადმოცემისათვის ვისარგებლებთ პროფ. ხვთისო მამისიმედიშვილის სარედაქციო წერილით:

პოლონელი მწერლის ვოიხეც იაგიელსკის ნაწარმოები „ლარას ყველა ომი“ რეალურად მომხდარ ისტორიებზეა აგებული. მასში ძირითადი მოვლენები საქართველოს ერთ პატარა მყუდრო ხეობაში ხდება, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდში მძაფრი რელიგიურ-პოლიტიკური ქარტეხილების ეპიცენტრი აღმოჩნდა. თხზულების ცენტრალურ სიუჟეტსა და მის მთავარ შინაარსს წარმოადგენს კონფლიქტების უწყვეტი სერია: რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომი, ჩეჩენი ლტოლვილებისა და ბოევიკების გადმოსვლა პანკისის ხეობაში, სალაფიტების გამოჩენა და ჯიჰადის ქადაგება, ქისტი მოჯაჰედების მონაწილეობა სირიის ომში.

ავტორმა ნაწარმოებში იშვიათი სიზუსტით, ღრმა ცოდნითა და მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენა რადიკალური რელიგიურ-იდეოლოგიური და გლობალური სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების დამანგრეველი ზემოქმედება მცირერიცხოვანი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ვიოცეხ იაგიელსკის „ლარას“ მთავარი პერსონაჟები ქისტური საზოგადოების წარმომადგენლები არიან. ქისტ პერსონაჟებს საკმაოდ კარგად იცნობს ქართველი მკითხველი ფოლკლორული გადმოცემიდან თუ ორთაბრძოლის მოტივზე აგებული ხალხური ბალადებიდან, ქისტი გმირების დაუვინყარი მხატვრული სახეები შექმნა გენიალურმა ქართველმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ. „ლარას“ ავტორი, პოლონელი მწერალი ვიოცეხ იაგიელსკი, საკმაოდ კარგად იცნობს ქართველებისა და ქისტების ურთიერთობის ისტორიას, თუმცა ეთნიკური ურთიერთობები არ წარმოადგენს ნაწარმოების ძირითად მოტივს. „ლარას“ სიუჟეტს თავიდან ბოლომდე ომის თემა განმსჭვალავს.

ლარა - ვ. იაგიელსკის მოთხრობის მთავარი პერსონაჟის - ქისტი ქალის სახელია. ისევე, როგორც კავკასიის მაღალმთიანეთის სხვა თემებში, ქისტურ საზოგადოებაშიც ქალები მაღალი სოციალური აქტიობით მაინც და მაინც არასოდეს გამოირჩეოდნენ. მათ ქცევასა და ურთიერთობას სოციუმთან, ერთი მხრივ, მთლიანად ტრადიციები და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპული შეხედულებები განსაზღვრავდა, მეორე მხრივ კი,



ისინი ფლობდნენ ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რომელსაც მათ ტრადიციული ცხოვრების წესი ავალდებულებდა.

თხზულების მიხედვით, ლარას ცხოვრებაში დგება ჟამი, როცა სიტუაცია მისგან განსაკუთრებულ დაკვირვებას, სიბრძნესა და თავგანწირვას მოითხოვს, როდესაც მთელი ძალით უნდა ამოქმედდეს მისი შინაგანი „მე“, მრწამსი, ზნეობრივი ფასეულობები და ეგზისტენცია. ლარას დრამა პანკისელი ქისტების თითქმის მთელ ამჟამინდელ განსაცდელს იტევს და ასახავს.

ვიოცევ იაგიელსკიმ ნანარმოებში მკაფიოდ გვიჩვენა პანკისის კრიზისის რეალური მიზეზები: რუსეთ-ჩეჩნეთის ომები, ლტოლვილებისა და მეზობლების შემოსვლა ხეობაში, იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს სისუსტე, ჩეჩენ-პარტიზანთა მიერ ძალაუფლების ხელში აღება...

მცირერიცხოვანი ხალხის ცხოვრებაში ყველაზე დიდი დრამა, ალბათ, მაშინ დაიწყო, როცა სხვა ქვეყნებიდან ხეობაში შემოსულმა ემიგრებმა ქისტებისგან მამაპაპური ტრადიციებისა და კავკასიური წეს-ადათების დავინყება მოითხოვეს.

ავტორის სიტყვით, „ლარას ომი წყევლასავით თან დასდევდა“. ომი ლარას ძვირფას ადამიანებს რიგრიგობით ართმევდა. ლარამ იცოდა, რომ ომი ქალების საქმე არ იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯერ ქმარი და შემდეგ ორი ძმა დაკარგა, აღარ აპირებდა შვილებიც გაეწირა ომისათვის და ისინი მთელ მსოფლიოში გაფანტა, თურქეთის გავლით არაბეთის უდაბნოებამდე. თუმცა დედა, რაც უფრო არიდებდა შვილებს ომის საფრთხეს, ისინი უფრო მეტად უახლოვდებოდნენ განსაცდელს.

ვ. იაგიელსკიმ შეძლო სრულიად შესაბამისი მხატვრულ-პუბლიცისტური სტილის შერჩევა ომში ჩაბმული ხალხის უაღრესად დრამატული და მძაფრი ისტორიის გადმოსაცემად. ავტორისეულ თხრობას ენაცვლება მთავარი გმირის დოკუმენტური მონოლოგები და ეთნოგრაფიული ნიაღვრეები. პოლონელი მწერლისთვის ქისტური წეს-ჩვეულებების მეცნიერული სიზუსტით გადმოცემა არ წარმოადგენს პრიორიტეტულ ამოცანას. ვიოცევ იაგიელსკის თხზულება, პირველ რიგში, მაღალი ხარისხის მხატვრული ნანარმოებია და ამ პოზიციიდან უნდა შევაფასოთ იგი. თხზულების თარგმანში გამოყენებულია მდიდარი ქართული ლექსიკა. იგი შესრულებულია მაღალმხატვრული ოსტატობით, დახვეწილი სინტაქსით.

ვ. იაგელისკის „ლარა“ თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება. იგი, როგორც თანამედროვე საქართველოს თემაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოები, განსაკუთრებით საინტერესო იქნება ქართულენოვანი მკითხველისთვის. „ლარა“ არ არის გასართობად წასაკითხი სათავგადასავლო რომანი. ავტორი ნეიტრალური პოზიციებიდან გადმოგვცემს კავკასიაში, პოსტსაბჭოთა სივრცესა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს. ვფიქრობ, „ლარა“ ასევე დაეხმარება უახლოესი ისტორიის მკვლევარებს, კონფლიქტოლოგებსა და პოლიტიკოსებს შორსმომავალი დასკვნების გამოტანაში“.

საინტერესო იყო წიგნის საზოგადოებისათვის წარდგენა, როგორც „კავკასიის სახლში“, ასევე პანკისის ხეობაში.

## ამბროსი გრიშაკაშვილი წმინდანი და მეცნიერი



*ფოტოზე: კორნელი ბზიავა, პოლონეთის დამსახურებული მეტალურგი, ცნობილი რეჟისორის, ქეთი დოლიძის მეუღლე და ჰემრიკ პოპროცკი, წმიდა გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფი, ვარშავის მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელი. ისინი დგანან ვარშავის უნვერსიტეტის*

*მემორიალურ დაფასთან, რომელზედაც მეორე მსოფლიო ომს შეწირული უნივერსიტეტის პროფესორები არიან მოხსენიებული. მათ შორის არის ქართველი მღვდელი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე.*

2009 წელს გამოვეცი ხსენებული წიგნი; მისი რედაქტორი იყო პროფ. მიხეილ ქურდიანი, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე და ნიკო ჯავახიშვილი, პროფ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.



წლების განმავლობაში დიდად ვიყავი და-  
ინტერესებული და დაკავებული ემიგრანტი  
წმინდანის, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძის  
ცხოვრების შესწავლით; ჩემდა სამარცხვი-  
ნოდ, გრიგოლ ფერაძის სახელი პირველად  
90-იანი წლების დასაწყისამდე არ გამეგო.  
მაშინ პოლონეთმა საქართველოს დამოუკი-  
დებლობა სცნო, თბილისში საელჩო გახსნა  
და ელჩად ჩემი ნაცნობი პეტრე ბორავსკი და-  
ინიშნა. მან მაჩუქა პოლონეთში გამომავალი

ჟურნალის „პრო გეორგიას“ (ყოველწლიური ჟურნალი, გამოდის  
1989 წლიდან, მისი მთავარი რედაქტორია ვარშავის უნივერსი-  
ტეტში მომუშავე მეცნიერი, პროფესორი დავით ყოლბაია) რამდე-  
ნიმე ნუმერი. სწორედ ამ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიე-  
ბის წაკითხვის შედეგად გახდა ჩემთვის ცნობილი გრიგოლ ფერა-  
ძის სახელი.



ამ წმინდანისა და მეცნიერის მრავალფეროვანმა შემოქმედებამ  
უდიდესი ინტერესი აღძრა ჩემში. გადავწყვიტე უფრო მეტი მასალა  
მომეძია მასზე, შეძლებისდაგვარად, სრულად გავცნობოდი მის  
მოღვაწეობას და ის ქართველი მკითხველისათვის წარმედგინა.  
ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი ორიოდ წლის შემდგომ ჩემი ვარშა-  
ვაში ჩასვლის და ყოველივე იმით დაინტერესებისა, რაც ამ დიდ  
ადამიანს შეეხებოდა. გავეცანი ასევე მართმადიდებელ მღვდელ  
ჰენდრიკ პოპროვსკისაც, რომელიც გრიგოლ ფერაძის ყველაზე  
ავტორიტეტულ ბიოგრაფადაა აღიარებული. მას ეკუთვნის, მა-  
გალითად, წერილი „1939 წელს ვარშავაში დაპატიმრებული სამი

ქართველის საბრალდებულო დოკუმენტების ანალიზი”, რომელიც ვთარგმნე და მცირე ხნის შემდეგ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში” დავბეჭდე.


მახსენდება: მამა ჰენრიკს სახლში დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე, შაბათი დღე იყო, მითხრა, ხვალ ეკლესიაში წირვა მაქვს და იქ მობრძანდითო. კვირა დილით ვარშავის პრალის რაიონის მართლმადიდებლურ ეკლესიაში მივედი, წირვა ჯერ არ დასრულებულიყო და მღვდელს ლოდინი დავუწყე. თან ეკლესიის კედლებზე წმიდანთა ფრესკებს ვათვალიერებდი. კედლებზე ძირითადად თეთრი პირისახის სლავური წარმოშობის წმინდანები იყვნენ გამოსახული. მაგრამ უეცრად ჩემი ყურადღება შავგრემანმა წმინდანმა მიიპყრო. ახლოს მივედი და... გრიგოლ ფერაძე ამოვიკითხე. ძნელად გადმოსაცემია ის სიხარული და სიამაყის გრძნობა, რომელიც მაშინ დამეუფლა.

მცირე ისტორია. 1921 წლის ბოლოს მიტროპოლიტი ნაზარის წინადადებით გრ. ფერაძეს სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გზავნიან. მაშინ რას იფიქრებდა გრიგოლი, რომ სამშობლოს ველარასოდეს დაუბრუნდებოდა. აქ მალე დაიწყება ბოლშევიკური ტერორი, რომელიც მამა ნაზარისაც მოუღებს ბოლოს.

უცხოეთში მყოფი გრიგოლი, რა დარწმუნდება, რომ საქართველოში ვერ დაბრუნდება, პარიზში დააფუძნებს ქართული კულტურის კვლევის ცენტრს. 1931-34 წლებში ცენტრი მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ყოველწლიურ ჟურნალს - „ჯვარი ვაზისას“ გამოუშვებს.

ამავე პერიოდში, 1933 წელს გრ. ფერაძე მიიღებს პოლონეთის მიტროპოლიტი დიონისე ვალედინსკის წინადადებას ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებელი თეოლოგიის ფაკულტეტზე ძველი ქრისტიანული ლიტერატურის (პატროლოგიის) კათედრის ჩაბარების შესახებ. მამა გრიგოლი მალე სრულყოფილად დაეფლება პოლონურ ენას და იწყებს აქტიურ სამეცნიერო-ლიტერატურულ მოღვაწეობას. ამ ყველაფერს მხოლოდ მეორე მსოფლიო ომი შეაწყვეტინებს.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლს აქვს ვარშავის დატოვების უფლება, იგი ამას არ აკეთებს, რადგან „ვერ მიატოვებს გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანებს, რომლებმაც მას ოდესღაც დახმარების ხელი გაუწოდეს“.



1942 წლის 5 მაისს მამა გრიგოლს ჰიტლერელები დააპატიმრებენ. ბრალდების საფუძველია ებრაული ოჯახების დახმარება. ის ოსვენციმის ბანაკში თითქმის 3 თვეს გაატარებს (მანამდე ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული) და 1942 წლის 6 დეკემბერს სიკვდილით დასჯიან.

ერთ-ერთი ვერსიით, ის თავისი ნებით შევიდა გაზის კამერაში მრავალშვილიანი ებრაელი კაცის სანაცვლოდ.

თავდაპირველად თავად მამა გრიგოლის ერთგვარი ავტობიოგრაფიული წერილი „ქართული კულტურის სამსახურში“, ვთარგმნე და 2003 წელს ჟურნალ „არტანუჯში“ დავბეჭდე (რედ. ისტორიკოსი ბუბა კუდავა).



**წმ. გრიგოლ ფერაძე  
თხზულებათა კრებული  
წიგნი მეორე**

**წინარებიზანტიური ქართული ლიტურგიკის შესახებ,  
პატროლოგია, პოეზია, ქადაგებანი**

2013 წელს ვარშავის უნივერსიტეტის პროფ. დავით ყოლბაიას წინადადებით დავიწყე წმ. გრ. ფერაძის წერილებისა და სტატიების თარგმნა. თუმცა, ამ საქმეს არც ადრე ვაკლებდი ყურადღებას (იხ, ზემოთ წარმოდგენილი ბროშურა: „წმინდანი და მეცნიერი“), მაგრამ ახლა უფრო ინტენსიურად შევეუდექი მუშაობას. აღნიშნულმა კრებულმა დღის სინათლე 2014 წელს იხილა.

წიგნში დაიბეჭდა ჩემს მიერ ნათარგმნი ისეთი მნიშვნელოვანი წერილები, როგორებიცაა: „წინარებიზანტიური ქართული ლიტურგიკა; წინარებიზანტიური ლიტურგიკული ძეგლები ქართულ ენაზე“; „შუა საუკუნეების ქართული ლიტურგიკული დოკუმენტები“; „სახარების ქართულად თარგმნის პრობლემები“ და სხვ.



## ანა დევიეტ-მელერი მარტინ მელერი გაუმარჯოს (მოთხრობები საქართველოზე)

2015 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“ გადმომცეს ზემოთ მოხსენიებული წიგნი, შესაბამისი მონიშნული ადგილების სათარგმნად. თხოვნა შევასრულე, თუმცა, გამომცემლობამ მისი გამოცემა გადაიფიქრა.

არადა, ქართველი მკითხველისათვის არ უნდა იყოს უინტერესო ნაშრომი. აი, ზოგიერთი ადგილი ამ წიგნიდან:

„ახ, ეს ქართველები! აბა თუ იპოვით რუს ქალს, რომელსაც ქართველი კაცი არ ჰყვარებია. ახლა ეს ლეგენდები ქართულ ქეიფზე?! ეს როგორ წამოსცდა ვიღაცის ბაგეს: რუსებს საქართველო ქართველების გარეშე უყვართ?!...“

ქართველებს მოსწონთ იმის გახსენება, რომ კითხვაზე, რამდენია ქართველთა რაოდენობაო, რუსები უმეტეს წილად 40 მილიონიო (ანუ რვაჯერ, ათჯერ მეტო, ვიდრე ისინი ფაქტობრივად არიან) პასუხობენ. მათთვის ძნელი წარმოადგენია, რომ რიცხობრივად ასე მცირე ხალხს რუსეთისთვის ასეთი წინააღმდეგობის განევა შეუძლია.

(აქ გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი კახმეგ კუდავაც მინდა გავიხსენო. გერმანიაში ვიყავი წიგნის გამოფენაზე, მითხრა ერთხელ. ერთი გერმანელი გამომემცნაურა და მკითხა, ქართველები რამდენი ხართო. ვუთხარი 3 მილიონი ადამიანო. ფრიად გაიკვირვა: რას ამბობ, კაცო, მე ვფიქრობდი, 50 მილიონი მაინც იქნებოდით, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებთო).


საქართველოში ყოფნისას ნაწყენსა და გულმოსულ ანნას ხშირად უთქვამს:

- მე მათთან გაძლება უკვე აღარ შემიძლია - მას მხედველობაში ჰყავდა ჩვენი ახლობელი ხალხი და უპირველეს ყოვლისა, მათი არაპუნქტუალურობა, ეს ცნობილი Georgia Maybe Time, ჩვენი მეგობარი ამირანის განმარტების თანახმად. მისთვის ეს ცნება შეიცავს არამხოლოდ დრო-უდროობას, არამედ ამავედროულად თავისუფალ დამოკიდებულებას დაგვემისადმი, წესისადმი, და სა-

ერთოდ, დროის ნებისმიერი ორგანიზაციისადმი. - ახლა უკვე კარგად მესმის სომხების, რომლებსაც ქართველები ზარმაცებად და უსაქმურებად მიაჩნიათ.

ეს, ცოტა არ იყოს, მართლაც ასეა. საქართველოში მანქანით მოძრაობის უფლების გარეშე კი შეიძლება მოძრაობა, ხოლო ძალზე უბრალო საქმის მოგვარება კი შეიძლება კომპარად გექცეს. ბენზინგასამართ სადგურზე მისულს შეიძლება ცალ ხელში ბენზინის მილი ეჭიროს, მეორეში მოკიდებული სიგარეტი. მძღოლებს გიჟებივით დაჰყავთ მანქანები. როდესაც რომელიმე კარს ხსნიან, ჯერ არავინ არ იძვრება ადგილიდან, შემდეგ კი ყველა ერთად მიანწყდება. გამუდმებით ყვირიან. დენი ხშირად არაა. ისეთ ქართველს ვერ შეხვდები, რომელიც აბსოლუტურად დარწმუნებული არ იყოს, რომ საქართველოს მსგავსი ლამაზი კუთხე დედამიწის ზურგზე არ არსებობს. ეს მათთვის ცხადზე უცხადესია. იქნებ ზოგჯერ რაღაც სხვაც მიირთვან, მაგრამ ქართული კერძი მსოფლიოში საუკეთესოდ მიაჩნიათ. ახლა მთები?! ახლა თბილისი?! ერთად მღერა და ქეიფი?! და ეს ყველაფერი საუკეთესოა. ეს რა სასწაული ნაციონალისტები არიან! მაგრამ ღვინო მართლაც მაგარია, სიმღერებიც გენიალური, ეს საჭმელებიც, ღმერთო ჩემო, რა გემრიელია. მეგობრებთან ერთად ხინკლიდან წვენის გამოსრუტვა. ცხოვრების წესად ქცეული ქეიფი. ჰო, რა თქმა უნდა, ყელში ამოგვივიდა გუშინდელი, მაგრამ უკვე მოგვწყურებია ახალი. სადღეგრძელოები?! უაღრესად სევდიანები წინაპრების მორიგი სადღეგრძელოს გამო; მაგრამ თამადა მოულოდნელად ისეთ რამეს გვეტყვის, რომ სიცილისაგან ვიგუდებით. და იუმორის საუცხოო გრძობა?! და აბსურდის სიყვარული?! და ეს მხიარული ანარქია, როდესაც გეჩვენება, რომ დანყებით კი დაინყებ, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩახვალ. და მთები, ახ, ეს მთები, გზა ომალოდან შატილამდე, უშგულთან ასასვლელი, მონასტერი ყაზბეგთან, უშბიდან გადასახედი, აჭარის ველები. და თბილისი. თანაც გულედანებისთვის, მალლაკელიძეებისათვის და ბაბუნაშვილებისთვის, როგორც ნათესავები, ისე ვართ. და თუნდაც ისინი ჩვენს გვერდით არ გვეგულებოდნენ, იქ, საქართველოში ხომ მარტო მაინც არავინ დაგტოვებს. წამიკითხავს, ავსტრალიელ აბორიგენს შეერთებული შტატების პრეზიდენტისაგან ექვსი ადამიანური ურთიერთობა ჰყოფსო. აქ კი, საქართველოში ერთი ადამიანი მეორისაგან მაქსიმუმ ორი ადამი-

ანური ურთიერთობითაა დაშორებული. აქ ყველა ყველას ცნობს. ამიტომ, ყოველნაირ საქმეს, რომელსაც გინდა დანესებულებაში, ბოლო-ბოლო, როგორღაც მოაკვარახჭინებ. აქ მართლაც არავინაა ბედის ანაბარა დატოვებული. ეს საქართველოა.





## ზბიგნევ ჰერბერტი ტიტების მწარე სუნი

ამ სათაურით 2017 წლის ივლისის „ახალ საუნჯეში“ დავბეჭდე ზბ. ჰერბერტის ესეე „ტიტების მწარე სუნი“. ავტორი მოგვითხრობს ერთ მეტად უცნაური ამბავის შესახებ, რომელსაც ჰოლანდიაში ჰქონდა ადგილი. კერძოდ, კი აგვინერს ტიტების მანიას, რომელმაც ისეთ უჩვეულო მასშტაბებს მალწია, რომ საფუძველი შეურყია ამ ქვეყნის ძალზე სოლიდურ ეროვნულ მეურნეობას და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი გიგანტურ აზარტში შეიტყუა. მაგალითად, 1608 წელს ერთმა მხატვარმა იშვიათი სახის ტიტას ბოლქვში თავისი წისქვილი გაცვალა. ბევრი ჰოლანდიელი კიდევ უფრო უარესად იქცეოდა - საკუთარ საცხოვრებელ სახლს ტიტაში, მის ერთ ბოლქვში ცვლიდა. ერთი ახალგაზრდა სასიძო აღაფრთოვანა ცოლის მძითევმა, კერძოდ, სიმამრის მიერ მიძღვნილმა ტიტას ბოლქვმა, მოხდენილი სახელით: Mariagede ma filie. ასეთსავე ბოლქვში გაცვალა თავისი მეტად მომგებიანი ლუდსახარში სხვა ყვავილების მოყვარულმა. მოკლედ, ტიტამანიამ, ევროპაში და განსაკუთრებით, ჰოლანდიაში ეპიდემიის სახე მიიღო.



## ამბროსი გრიშკაშვილი უპოვართა მესაიდუმლე



პოპულარული პოლონელი მწერლის, რეპორტიორის, ნობელის პრემიის ორგზის ნომინანტის რიშარდ კაპუშინსკის ცხრა ნაწარმოები მაქვს თარგმნილი, ხუთმა უკვე იხილა დღის სინათლე (მედი მაქვს დანარჩენებსაც გამოვცემ). მრავალი რამ მაქვს მასზე წაკითხული. ამიტომ გადავწყვიტე მისი საინტერესო ცხოვრების ამბები ქართველი მკითხველისათვისაც მომეთხრო. ჩემს წინადადებას მხარი დაუჭირეს პოლონეთის საელჩოში. აქედან წარმოსდგა ეს წიგნი 2019 წელს.

წიგნის რედაქტორია ცნობილი პოეტი და დიპლომატი (უკრაინის ელჩი ლატვიაში), საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რაულ ჩილაჩავა.

როგორც ბატონმა რაულმა დაწერა თავის სარედაქციო წერილში: „პირადად მე წიგნი

სულმოუთქმენლად ნავიკითხე: რომ დავიწყე, ვეღარ მოვშორდი. კარგადაა მოფიქრებული მისი არქიტექტონიკა, გადასვლები, ვრცლადანაწივები გმირის ცხოვრება. მისი ინტერესების სფერო, საკმაოდ დაწვრილებითაა დახასიათებული მისი შემოქმედება.

წიგნი მდიდარია ინფორმაციულად. შეიცავს ბევრ საინტერესო ცნობას იმ ქვეყნებზე, რომლებშიც უმოგზაურია კაპუშინსკის. ერთი სიტყვით, საინტერესო ნაშრომია იმ ჟანრში, „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას“ რომ ეძახდნენ ძველად“.

გარეკანის ავტორმა, ბატონმა ლევან სამნაშვილმა ყდა ორ ფერში გააკეთა. როდესაც „პოლონეთის კულტურის ინსტიტუტის“ დირექტორმა ლეხ კონჩაკმა ყდები ნახა, ორივე მოეწონა და ორივე ყდით დავბეჭდოთო, მითხრა.



## ვოიცებ იაგიელსკი მანდელა - გზა ციხიდან პრეზიდენტობამდე

ჩემი ერთ-ერთი ბოლო (ჯერჯერობით) გამოცემული წიგნი სამხ. აფრიკის პრეზიდენტ ნელსონ მანდელას ეხება. მისი ავტორია ვოიცებ იაგიელსკი, რომელიც პირადად იცნობდა მანდელას. წიგნის ლიტერატურული რედაქტორია პროფ. ლია პიტიურიშვილი.

ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გამოკითხვის თანახმად, გასული საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად, ხმათა 89%-ით, დედა ტერეზაა დასახელებული; მას მოყვებიან სამხრეთ აფრიკელი პოლიტიკური ლიდერი ნელსონ მანდელა და აშშ-ს პრეზიდენტი ჯონ კენედი. მე არ ვიცი, რა კრიტერიუმებითაა განსაზღვრული ადგილები, მაგრამ არა მგონია მსოფლიო საზოგადოებაზე თავისი საქმიანობით მენდელაზე უფრო მნიშვნელოვანი გავლენა ვინმეს მოახდინოს, თუნდაც ზემოთ დასახელებულ მართლაც დიდ ადამიანებს.

წინამდებარე წიგნი ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით იმითაა საინტერესო და ახლობელი, რომ მისი ავტორი ნაწარმოებს 90-იანი წლების თბილისის მოვლენებით იწყებს და მას თბილისითვე ამთავრებს...

სწორედ თბილისში შეიტყობს იაგიელსკი, რომ 27 წლის პატიმრობის შემდეგ მანდელა ციხიდან გამოუშვიათ. თბილისში „ყველა მანდელაზე ლაპარაკობდა, ყველას გაეგო მის შესახებ...“.

მანდელას პიროვნებით მწერალი იმდენად დააინტერესდება, რომ აფრიკაში წასვლას გადაწყვეტს. თბილისში მიღებული შთაბეჭდილებების გავლენით ჩაეყარა საფუძველი მანდელას შესახებ წიგნის დაწერის იდეასაც.

ახლა რაც შეხება წიგნის დასასრულს კვლავ მოხმობილ თბილისს. მას ავტორი მაშინ იხსენიებს, როდესაც აფრიკას სტოვებს:

„დასრულდა მოსკოვში მიმავალი მგზავრების რეგისტრაცია...“

არასოდეს არ მყვარებია მოსკოვი, მაგრამ ჩვეულებისამებრ, იქიდან ვინცბდი თბილისისაკენ მოგზაურობას, საითაც ნამდვილად სიხარულით მივფრინავდი.

ვიდრე ავლანეთსა და სამხრეთ აფრიკას აღმოვაჩინდი, თბილისში მიყვარდა ყოფნა, მენატრებოდა მისი სტუმართმოყვარეობა. ის პატარა, კამერალური, უცვლელი მეჩვენებოდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს დრო, ჩემი იქ არყოფნისას, ერთ ადგილას გაჩერებულიყო. ცხადია, იცვლებოდა და თანაც - ლებავდნენ მთის ფერდობებს შეფენილი ძველ სახლების ფასადებს, ფანჯრების ჩარჩოებს და ორნამენტებიან აივნებს. მაგრამ, ძირითადად მაინც ყველაფერი, უცვლელი რჩებოდა და დიდი ხნით იქ არყოფნის შემთხვევაშიც სწრაფად შეიძლებოდა გავცნობილიყავი სიახლეებს და თავი, როგორც სახლში, ისე მეგრძნო. ადვილად მივაგენი ძველ ქალაქს. პატარა დუქნებისა და ბარების მესაკუთრეებს ნახევრად-მინუტებში. შეეცვალათ ფარდების ფერი, ავეჯის კონფიგურაცია, რეკლამაც კი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღის მეორე ნახევარში კარის ჩარჩოს მიყუდებული მესაკუთრე ქუჩაში იყურებოდა და გამვლელ-გამოვლელებს, მეზობლებს, მეგობრებსა და ნაცნობებს ათვალთვლებდა. როდესაც დუქანში კლიენტი შედიოდა, მედუქნე მას ცისფერ სუფრა გადაფარებულ მაგიდასთან მიიყვანდა და ოფიცინანტს უხმობდა. თავად კი მოიტანდა სქელმინიანი გრაფინით ღვინოს, დაიწყებდა საუბარს, თამაშს და ხშირად სტუმართან ხანგრძლივ კამათსაც გააბამდა ხოლმე.


მე მიყვარს მათი ყურება. შევდიოდი შავი, ჯოჯოხეთივით ცხელი და მწარე ყავის დასალევად, სიგარეტის მოსანეევად ან გზის საკითხავად და წუთიც საკმარისი იყო, რომ დროის ეს აუღელვებელი მონაკვეთი მეგრძნო და მისით დავმტკბარიყავი.

ვიცოდი, რომ მეორე დღეს კვლავ მოვიდოდი, შესაძლოა, ამავე ტანსაცმელში, ამავე დროს. ის იგივეს მეტყოდა შეხვედრისას, მხიარულად ჩამომართმევდა ხელს, თითქოს ჩვენ ერთმანეთი გუშინ არ გვენახა ან ველარასოდეს შევხვდებოდით. ისიც კმაყოფილი იქნებოდა ამ შეხვედრით, იგივე ხუმრობაზე გაიცინებდა. ყველაფერი ზუსტად ისე იქნება, როგორც წინა დღით, დროც ზუსტად ისევე ნელა გაიწელება და ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ადრე განსაზღვრულსა და განმეორებად რიტუალში.

იმიტომ, რომ თუ ცხოვრებაში უკვე მიიღეთ ყველაფერი. რაც მისაღები იყო და აღარ გჭირდებათ ძალისხმევა ან რაიმე ახლის ძიება, მაშინ შეიძლება მხოლოდ იოცნებოთ, რომ ყოველი დღე ერთმანეთის მსგავსი იყოს, მიედინებოდეს მდორედ და უშფოთველად.

ვგონებ მშურდა იმ ხალხისა, რომელიც ასეთ არსებობაში ვერაფერს შემამოფოთებელს ვერ ხედავს. გავიფიქრე, თბილისში ხომ არ ნავიდე მეთქი“.

მას შემდეგ ავტორი თბილისში არ ჩამოსულა, თუმცა, როდესაც შეიტყო, რომ მისი წიგნი ქართულად ითარგმნებოდა, საახალწლო მოლოცვასთან ერთად ესეც მომწერა: „იმედი მაქვს მკითხველთან წიგნის ავტორის შეხვედრაზე თბილისში ჩამოსვლას შევძლებ“. ვოიტეკი



## ამბროსი გრიშკაშვილი ოქტომბერი ვარშავაში

2003 წელს ვარშავის უნივერსიტეტის მიწვევით ვარშავაში ვიმყოფებოდი. მაშინდელია ეს ჩაბანერებიც, რომლებიც უფრონალ „ომეგაში“ დაიბეჭდა. რედაქტორი პროფესორი, მწერალი როსტომ ჩხეიძე. აი, ზოგიერთი ჩანაწერი:

„სიყვარულის ქალღმერთთან პოლონელთა განსაკუთრებული დამოკიდებულება საქვეყნოდ ცნობილია. ეს მათ ჩემი ვარშავაში ყოფნის დროსაც გამოამჟღავნეს. ადგილობრივი ტელევიზიით რამდენჯერმე აჩვენეს სასამართლო პროცესი, რომელზეც სამუდამო პატიმრობა მიესაჯა 35 წლის პედაგოგ ქალბატონს. ამ ქალმა ქიმიის ლაბორატორიაში ძალით შეათრია და დანით მოკლა სკოლის მოსწავლე, ასე 12-13 წლის ბიჭი. მისი გაშმაგების მიზეზი იყო ის, რომ ბიჭის მამამ, ამ ქალის საყვარელმა, მიატოვა იგი და ქალმაც შური იძია.“

„აღბათ სწორედ ამიტომ აქვს შენიშნული ერთ პოლონელ მწერალს: ერთადერთი ევროპელი ერი ვართ, რომელიც უფრო მეტ პატივს მიაგებს გარდაცვლილთ, ვიდრე ცოცხლებსო... და კიდევ მისივე ჩანაწერებიდან: როდესაც ევროპაში ყვაოდა ბარები და კაფეები, თეატრები და რესტორნები, ჩვენთან - სასაფლაოები, რადგან ასეთია ბედისწერა პოლონეთისაო... და აღბათ მართლაც სიმბოლურია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს და განსაკუთრებით ვარშავის აჯანყებისას, ეს ქალაქი თითქმის მთლიანად იყო ალგვილი პირისაგან მიწისა. და მხოლოდ სასაფლაოები გადარჩა...“

„ომის ცეცხლსა და მახვილს გადარჩენილ სასაფლაოებზე შემორჩენილია ჩვენს ემიგრანტ თანამემამულეთა საფლავებიც. მეორე მსოფლიო ომამდე ხომ დიდი და მეტად საინტერესო ქართველთა კოლონია ცხოვრობდა პოლონეთში. ვინ არ მოღვაწეობდა აქ - მეცნიერი და მეომარი, მწერალი და პოლიტიკოსი...“

1992 წლის მაისში საქართველო-პოლონეთის საზოგადოების ვარშავის განყოფილებამ მეტად კეთილშობილური საქმე წამოიწყო. კერძოდ, მან გადაწყვიტა მოეძებნა, შეესწავლა და ეპატრონა ამ საფლავებისთვის. ვარშავაში ქართველთა ყველაზე ძველი საფლავებია ვოლას მართლმადიდებლურ სასაფლაოზე. აქ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაკრძალულია ვარშავის სამხედრო კომენდატი თავადი დავით ბებუთოვი (დაიბადა 1798 წელს თბილისში, გარდაიცვალა 1867 წელს ვარშავაში). საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ფორმები მოგვაგონებს, რომ აქ დაკრძალულია სამხედრო და ის წარმოშობით კავკასიიდანაა (ხმალი, პისტოლეტი, გადაჯვარედინებული ხანჯლები, ფაფახის ქუდი). საფლავის ქვაზე ამოკვეთილია მედალიონიც დავით ბებუთოვის პორტრეტით, ხოლო საფლავის ქვის სვეტს ანგელოზი ამშვენებს.

გაცილებით უბრალოა და ამავე დროს უყურადღებოდ დატოვებული სასაფლაოს გაუქმებული ნაწილიდან სხვა ადგილას გადატანილი გენერალი აგათონ ვახვახივის (ვახვახიშვილის, გარსევანის ვაჟისა) და მისი მეუღლის საფლავები.

ამავე სასაფლაოზე მეუღლე მარიას (1894-1927) და მისი ძმა იანის (1897-1961 წწ). გვერდით განისვენებს ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე, ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი სერგო ყურულიშვილი (1894-1926 წწ.).

ვარშავის პოვოზკის კომუნალური სასაფლაოს სამხედროებისათვის განკუთვნილ ნაწილში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი პოლონეთის არმიის კონტრაქტის ოფიცერი, გენერალმა იან გიორგი ყაზბეგმა.

აქვეა დაკრძარული პოლონეთის არმიის ოფიცერი, ქართული ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე, მენარმე-პოლიტოლოგი ალექსანდრე გოძიაშვილი. (1897-1941 წწ.).

ამ სასაფლაოს სამოქალაქო პირთათვის განკუთვნილ ნაწილში, კრემინსკების საოჯახო სასაფლაოზე განისვენებს თავადი ნიკოლოზ ბაგრატიონი (1908-1940 წწ.). იგი ქართველთა კომიტეტის


მდივანი იყო 30-იან წლებში, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი დაიწყებოდა.

საბჭოთა ჯარისკაცთა სასაფლაოზე აღმოჩნდა იმ ქართველ მეომართა საფლავები (ხშირად სახელთა, დაბადების და გარდაცვალების თარიღების გარეშე), რომლებიც ვარშავის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ 1944 წელს. მათ შორის არიან მაიორი ზ. გორგოშვილი, ლეიტენანტი გ. მასხულია, ორდენის კავალერი ქოქაძე და სხვები. მათი გვარების დადგენას საქართველო-პოლონეთის საზოგადოება აგრძელებს.



## ვოიცეხ გურეციკი წინაპართა სადღეგრძელო

წინამდებარე წიგნი 2012 წელს გამოიცა „კავკასიის სახლის“ მიერ. ეს არის ქართულად გამოცემული წიგნი რეპორტიორის, მწერლისა და პოლიტოლოგის, საქართველოს მეგობარის ვოიცეხ გურეციკისა (პირველი წიგნი იყო „პლანეტა კავკასია“). მასში ავტორი აღწერს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ქვეყნის შემდგომი განვითარების თაობაზე.



## ვოიცეხ გურეციკი აფხაზეთი

ჟურნალისტმა და მწერალმა, პოლიტოლოგმა, გაეროს ექსპერტმა კავკასიის საკითხებში ვ. გურეციკიმ წინამდებარე წიგნი დაწერა, როგორც თავად აცხადებს, „აფხაზეთში შვიდგზის ყოფნის შემდეგ“.

ნაშრომის ქართული თარგმანი დაიბეჭდა 2014 წელს, ის გამოცა „კავკასიის სახლმა“. მისი სამეცნიერო რედაქტორია ცნობილი ისტორიკოსი, პროფ. ბეჟან ხორავა. ლიტერატორული რედაქტორი - პროფ. გიორგი

ლობჟანიძე. კონსულტანტები - გიორგი ანჩაბაძე, პროფესორი და რაჟდენ ჩიხორია, პოლონისტი.

ავტორმა თუმცა გეოგრაფიულად თითქმის ზეპირად იცის აფხაზეთი, უამრავი წიგნიც აქვს მასზე წაკითხული, მაგრამ როგორც თავად ამბობს, მისი ცოდნა ამ თემაზე კვლავაც ზედაპირულია.

როგორც წიგნის მეცნიერული რედაქტორი, პროფ. ბ. ხორავა წერს, ჟურნალისტიკისა და პოლიტოლოგიის მახვილ თვალს არ გამოპარვია, რომ მოსკოვი „ერეოდა“ ომში, აფხაზ და დაქირავებულ მეომრებს წვრთნიდა, იარაღითა და ტყვია-წამლით ამარაგებდა. ხვდება იმასაც, რომ „გარედან დახმარების გარეშე აფხაზები ამ საქმეს თავს ვერ გაართმევდნენ. მათ აფხაზეთში მკვიდრი რუსები და სომხებიც ეხმარებოდნენ“. „რუსეთი აფხაზეთს მხარს იმიტომ უჭერდა, რომ დაესუსტებინა საქართველო, რომელიც, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან ერთად, ყველაზე აქტიურად მოითხოვდა დამოუკიდებლობას, ხოლო სსრკ დაშლის შემდეგ დაუყოვნებლივ სურდა დასავლეთთან ინტეგრაცია“, ავტორი ხვდება, რომ „რუსეთს დესტაბილიზაცია და კონფლიქტისგან დაუძღურებული საქართველო სჭირდება და არა - აფხაზების „დამოუკიდებლობა“. ამიტომ საქართველოს წინააღმდეგ აფხაზების ნაქეზებით რუსეთი მათ აცყუებს. ავტორი მიიჩნევს, რომ ამას აფხაზები უნდა მიხვდნენ.

წიგნში კარგად ჩანს აფხაზების განწყობა - ემინიათ რუსების, რუსეთისგან წალეკვის, ჩაყლაპვის. აფხაზები ხვდებიან, რომ „თამაში საქართველოზე მიდის, თუ ის რუსეთს ხელიდან დაუსხლტება და ნატოში შევა, მოსკოვი მთელ სამხრეთ კავკასიას დაკარგავს“, „მოსკოვს არ სურს სსრკ -ს აღდგენა, მას მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის შენარჩუნება სურს“.

კარგად არის ნაჩვენები ქართული და აფხაზური პოლიტიკური სპექტრის პოზიციები აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიპეტიები, აფხაზეთის კონსტიტუციის მიღება. ავტორი ხედავს, რომ საქართველოში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მოსაზრება - 1992-1993 წლების ომი წააგო როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ. ამ მოსაზრებას, გარკვეულწილად, აფხაზთა ერთი ნაწილიც იზიარებს. ნიშანდობლივია, რომ ვ. გურეცკი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა მომავალს იმედით უყურებს. მისი აზრით, „ქა-

რთველთა და აფხაზთა დიალოგი შესაძლებელია, თუ ორივე ქვეყანა უფრო დემოკრატიული გახდება და ეს ხალხები უკეთ გაიცნობენ ერთმანეთს“, მაგრამ მთავარი მაინც არის რუსეთის ფაქტორის ჩამოცილება - „რომ არა რუსეთი, კონფლიქტი უკვე გადაჭრილი იქნებოდა“. მიუხედავად იმისა, რომ წიგნში საკმაოდ გვხვდება მითები, მაგალითად, ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა, რომ საქართველოში ყველამ ქართული უნდა ილაპარაკოსო; აფხაზური წარმოშობის მილიციელთა უმრავლესობა, რომლებიც ომის დროს ქართველებს ჩაუვარდნენ ხელთ, დაიხოცნენ, ქართველი მილიციელები გაიქცნენ, გენერალი ჯოჰარ დუდაევი თვითონ მიუჯდებოდა თვითმფრინავის შტურვალს და პარიზში მიფრინავდა საყიდლებზე; როცა ი. ვორონოვის 12 წლის შვილი ქალაქის დაბომბვას უყურებდა, მას ერთი ქართველი მიუახლოვდა და დაამშვიდა: „ნუ გეშინია, ბიჭო, ისინი ორ საზიზღარ ადამიანზე - არძინბასა და ვორონოვზე ნადირობენ, შენ არაფერს დაგიშავებენ“ და სხვა, წიგნი ძალიან საინტერესოა და ინფორმაციულად დატვირთული.

წიგნში მოვლენები უცხოელის, ყურნალისტიკისა და პოლიტოლოგის თვალითაა დანახული და საინტერესოდ იკითხება. ავტორი წერს მსუბუქად, ძალდაუტანებლად, ისტორიული პასაჟების გადმოცემისას სიღრმეებში არ შედის. ქართველი მკითხველი მოკლებულია ამ სახის ლიტერატურას და ნაკლებად იცის, თუ რა ხდებოდა ფრონტის ხაზს იქით ან ომისშემდგომ აფხაზეთში. მიუხედავად ავტორის გარკვეული სუბიექტურობისა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ წინაშეა ძალიან საინტერესო წიგნი, რომელსაც შეიძლება უკანასკნელი წლების აფხაზეთის ქრონიკა ეწოდოს.

ავტორი წიგნს მიძღვნიტ იწყებს:

*ვეუძღვნი აფხაზ და ქართველ მეგობრებს*

მას ასევე ძალზე საინტერესო და თემასთან ახლო მდგომი ეპიგრამები აქვს დართული წიგნისათვის:

*„აქ ყოველ ცისმარე დღეს ისეთი რაღაც ხდებოდა, რომლისთვისაც თითქმის შეუძლებელი იყო შესაფერისი სახელის დარქმევა“.*

*ისმაილ კადარი*

*„მხოლოდ იმის დაჯერება შეიძლება, რაც შენი თვალით იხილე. ყურებს არავითარ შემთხვევაში არ დაუჯეროთ“.*

*პოლინა ყერებცოვა*



„არც დათანხმება შემიძლია, არც უარყოფა. ერთი კაციც კი არ ვიცი, მართალი რომ არ ყოფილიყო“.

ბორის გრებენშჩიკოვი



## ჟურნალი „ისტორიანი“

ჟურნალში (მთავარი რედაქტორი -აკადემიკოსი ჯაბა სამუშოა, რედაქტორი გელა გურგენიძე), მისი დაარსების დღიდან ვთანამშრომლობ (40-ზე მეტი წერილი მაქვს დაბეჭდილი). ამ წიგნში არაა ადგილი დაბეჭდილი ჩემი სტატიების თუნდაც მოკლე მიმოხილვის, მაგრამ რედაქციაში გაგზავნილი და ჯერ გაუბეჭდავი წერილებიდან (გაჭირდა ჟურნალში რაიმეს დაბეჭდვა: ნაცვლად ყოველთვიურისა, ყოველკვარტალური გახდა, თანაც გვერდების რაოდენობაც შემცირებულა. მისი გამოცემა ჯერ კოვიდმა გაართულა, ხოლო ახლა რუსეთ-უკრაინის ომმა; ჯერჯერობით ბოლო წერილი, რომელიც მასში დავბეჭდე იყო სლოვაკი რეპორტიორის ტომას ფორო წიგნის „ომის აპარტამენტი; რეპორტაჟი დონბასიდან“ ნაწყვეტია, რომელიც უკრაინაში მებრძოლ, „ქართული ლეგიონის“ ხელმძღვანელ მამუკა მამულაშვილს ეხება (თარგმანი სლოვაკურიდან პოლონურად ნათარგმნი წიგნიდან შევასრულე)) ამ ერთი წერილის გაცნობა კი მიინდა მკითხველისათვის:

### ამერიკული ტრაგედია

1890 წელს „დიდი ტერფის“ წითელკანიანი ხალხი პრერიებზე, „დაჭრილი მუხლისაკენ“, თავის უკანასკნელ გზას დაადგა. აქ მას დიდი განსაცდელი ელოდებოდა. ამ დაბლობებში მას ორიოდე ასეული ბიზონი თუ შემოხვდა, განარჩენის განწყვიტა თეთრკანიანებს უკვე მოესწროთ.

სამხრეთ დაკოტაში, რუმპორის კლდეზე გამოკვეთილი ოთხი პრეზიდენტიდან ჯორჯ ვაშინგტონის სახე ყველაზე მაღალი და ფართოა. ის დაახლოებით 15 მეტრს აღემატება. კლდეზე ახობება სასტიკად აკრძალულია.

1970 წელს ვაშინგტონის კლდეში გამოკვეთილ ქანდაკებაზე ლაკოტის ტომის, ოგალალას თემის წარმომადგენელი რასელ მეანი

აცოცდა. მაშინ ის 31 წლისა იყო, სახეზე იარების კვალი ეტყობოდა, ჯინსები ეცვა, პერანგი ფერადი ლენტებით ჰქონდა შემკული, ფეხზე კოვბოიური ჩექმები ეცვა. ლაბადა ესხა, რომელზეც შავი თმები ჩამოჰყროდა. თმების მოშვება სულ რამდენიმე თვის წინ დაიწყო. ყველაზე მეტად ზუსტად მაშინ შეიგრძნო თავი ინდიელად. ერთი წლის შემდეგ თმა ისე გაეზრდება, რომ ნაწნავსაც გაიკეთებს. აღარც შეიჭრის სიცოცხლის ბოლომდე. გრძელი თმა მის საფირმო ნიშნად იქცევა, როცა ჰოლივუდის ვარსკვლავი გახდება, ან შემდეგ, ნიკარაგუაში აჯანყებულებს რომ შეუერთდება, ანდა აშშ პრეზიდენტობის კანდიდატობისას. მაშინაც, როდესაც ინდიელების გამოსვლებს გაუძღვება წინ. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ დაწერს მის შესახებ: „XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ბოროტი და ყველაზე მამაცი ინდიელი“.

მაგრამ ეს ყველაფერი ჯერჯერობით წინაა. ახლა კი, 1970 წელს, რასელ მეანი უფსკრულში იყურება და შორს, დაბლა, მას დადევნებულ პარკის გუშაგთა ანთებულ ფარნებს ხედავს. ყოველთვის ფიქრობდა, რომ თანდაყოლილი სიმაღლის შიში ჰქონდა, მაგრამ ახლა არაფრის არ შეშინებია. ის პრეზიდენტ ვაშინგტონის თავზე დადგა, შარვლის უბე გაიხსნა და ... გადმოაფსა. რასელმა თან წარმოიდგინა, თუ როგორი დიდი, ყვითელი ცრემლები დაედინებოდა ყოფილ პრეზიდენტს.

ცხენოსანთა ჯარის მებრძოლის დღიურიდან: „1864 წელი, კოლორადო. იქ პატარა ბიჭი იყო, ალბათ, სამი წლის, სიარულიც კი არ იცოდა ჯერ გამართულად. ინდიელთა ჯგუფს ბოლოში მისდევდა, სრულიად შიშველი. შორიანლო ერთ-ერთი ჩვენი მხედარიც დავინახე. ის ჩამოხტა ცხენიდან, თოფი მოიმარჯვა და ასე 75 მეტრის მანძილიდან ესროლა. ააცდინა. შემდეგ ჩაილაპარაკა: აუცილებლად მოვკლავ ამ ძაღლიშვილს, ერთი ფეხით ჩაცუცქედა და კვლავ ესროლა. კვლავ ააცდინა. ბოლოს კიდევ ერთხელ ესროლა და ბიჭი ძირს დასცა“. ეს ციტატა მოჰყავს ისტორიკოს დავით სტანარდს თავისი წიგნში „ამერიკული ჰოლოკაუსტი“, რომელშიც ავითარებს აზრს, რომ ამერიკელებმა მოაწყეს ინდიელთა ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ ამერიკული განათლების სისტემა, პოლიტიკა, ლიტერატურა და პოპულტურა მთელი საუკუნის განმავლობაში ცდილობდა ამ ყველაფრის დამალვას და მითებს ჰქმნიდა...

ისტორიკოსი როხან დუნბარ-ოთიზი თავის შრომებში გვაჩვენებს, რომ მკვიდრი მოსახლეობის ლიკვიდაცია თუ დამონება XIX

საუკუნის პირველი ნახევრიდან, ჯეიმსტონის პირველი კოლონი-  
იდან დაწყებული, ამავე საუკუნის ბოლომდე, იყო ძირითადი დოქ-  
ტრინა, მთავარი ხაზი ევროპელებისა, რომლებიც აქ ახალ სახელ-  
მწიფოს აშენებდნენ.

1776 წლის 4 ივლისს ხელმოწერილ „დამოუკიდებლობის დეკ-  
ლარაციაში“, კერძოდ, მის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია „ჩვენს  
შორის არსებულ მემამბოხეებზე“ ამერიკის დამფუძნებელი მამები  
ევროპელებს აფრთხილებენ „დაუნდობელი ველური ინდიელების  
თაობაზე, რომელთა საყოველთაოდ ცნობილი ტაქტიკაა ხალხის  
დახოცვა. მიუხედავად მათი ასაკის, სქესისა თუ სოციალური  
მდგომარეობის“. ამერიკული მილიტარიზმი ამერიკელ ინდიელებ-  
თან ბრძოლაში ფორმირდებოდა და ძლიერდებოდა.

თეზა ხალხის მასობრივ ხოცვა-ჟლეტაზე, არახალია. 1888 წელს  
მწერალმა ქალმა ჰელენ ჯექსონმა გამოსცა წიგნი: „სირცხვილის  
საუკუნე“, ინდიელთა გადასახლებებისა და განადგურების შესა-  
ხებ. მანამდე სიტყვა „ჰოლოკაუსტი“, ინდიელების ხოცვა-ჟლეტა-  
სთან დაკავშირებით, არც ერთ ცნობილ ამერიკელ პოლიტიკოსს  
არ წარმოუთქვამს. ხელისუფლების მხრიდან ინდიელთა საქმის  
თაობაზე ყველაზე კრიტიკული სიტყვა შინაგანი რესურსების დე-  
პარტამენტში კევინ გოვერის მხრიდან გაისმა, რომლის ძარღვებში  
პაუნისებისა და კომანჩოვების სისხლი დის. 2000 წელს ინდიელე-  
ბის საქმეთა ბიუროს შექმნის 175 წლის იუბილესთან დაკავშირე-  
ბით, თავის მოხსენებაში მან შემდეგი განაცხადა: „შეერთებული  
შტატების დასავლეთისაკენ ექსპანსიის პერიოდში ბიურო აქტიურ  
მონაწილეობას იღებდა ინდიელი ხალხის ეთნიკურ წმენდაში. ომს  
მუდამ მოჰყვება ადამიანური ტრაგედია, მაგრამ ავადმყოფობების  
მიზანმიმართულად გავრცელებამ ინდიელებში, ბიზონთა ფარების  
განყვეტამ, ალკოჰოლის რეალიზაციის ნახალისებამ ინდიელთა  
საზოგადოების განადგურების მიზნით, და ასევე ქალებისა და ბა-  
ვშვების ვერაგულად მოსპობამ ისეთი საშინელი, შემადრწუნებელი  
მასშტაბი მიიღო, რომ შეუძლებელი იყო არ გეფიქრა ორი განსხვა-  
ვებული სახის ცივილიზაციის დაპირისპირებაზე“.

წიგნში „ჰიტლერი. ბიოგრაფია“ ჯონ ტოლანდი, თავისი სანდო  
დოკუმენტებით სავსე, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წიგნში,  
ჰიტლერის შესახებ, წერს: „ჰიტლერმა თავისი კონცეფცია, რო-  
მელიც ითვალისწინებდა ზოგიერთი ერის განადგურებასა და  
მოსპობას, თავად მისივე განცხადებით, აიღო შეერთებული შტა-

ტების გამოცდილებიდან, რომელსაც ძალზე ინტენსიურად ეცნობოდა. თავისი უახლოესი მეგობრების წრეში იგი ხშირად აქებდა იმ ეფექტურ მეთოდებს, რომელსაც თეთრკანიანები ამ ქვეყანაში არასასურველი მკვიდრი მოსახლეობის, წითელკანიანების წინააღმდეგ არათანაბარ ბრძოლაში იყენებდნენ“.

### **ჯერ ბიზონები უნდა დახოცილიყვნენ**

ბიზონს უმთავრესი ადგილი ეკავა ინდიელთა მითოლოგიაში. მითის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სამყაროს შექმნამდე ხალხი მიწის ქვეშ ცხოვრობდა. ისინი მის ზედაპირზე ამოვიდნენ შავ მთებზე არსებული ქარის გამოქვაბულიდან. თუმცა მათი ბელადი მიწისქვეშაში, წინაპართა ქვეყანაში დარჩა.

ზედაპირზე ამოსულთ უკან დაბრუნება უკვე აღარ შეეძლოთ. იგრძნო რა მათი მძიმე მდგომარეობა ახალ სამყაროს მწველი მზის ქვეშ, ბელადი მათ წინაშე ბიზონის სახით წარსდგა. ამიერიდან ინდიელებმა შედარებით კარგად იწყეს ცხოვრება - ბიზონმა მათ საკვები, თავშესაფარი და სამოსი მისცა.

ნადირობისას მოკლულ პირველ ბიზონს ინდიელები აუცილებლად სულებს სწირავენ. ისინი ლოცვას დაკლულ ბიზონთან ალავლენენ.

აი, რას წერს პოლკოვნიკი რიჩარდ დოდჯე თავის დღიურში 1867 წელს: „ყოველი მოკლული ბიზონი ერთით ნაკლებ ინდიელს ნიშნავს“. დოდჯე დასავლეთში ერთ-ერთი ციხის დაცვის უფროსი, გენერალ ვილიამ ტესუმსერის უახლოესი თანამებრძოლი გახლდათ. ამ უკანასკნელს ეკუთვნის ბრძოლის ახალი მეთოდის, ტაქტიკის, გადამწვარი მიწის ავტორობა, რომელსაც ძალზე ხშირად იყენებდნენ ჯერ ადრე სამხრეთში, ხოლო შემდეგ ინდიელებთან ბრძოლისას. გენერალი ფილიპ შერიდანი პრერიებზე შერმანთან ერთად ინდიელთა წინააღმდეგ ბრძოლის მეორე დიდი მეთაური, 1868 წელს დღიურში ჩაწერს: „ჩვენ ისინი უნდა გავანადგუროთ ბიზონის ფარების გაჟუჟვის გზით, ისე, რომ გამოხედვაც არ უნდოდეთ თავიანთი ნასახლარებისაკენ“.

სწორედ შერიდანმა, შერმანთან ერთად, დაიწყო ბიზონის ფარების განადგურება. არმიამ მომზადება გაიარა რამდენიმე წლით ადრე ნავახომების წინააღმდეგ წარმატებით დასრულებულ ბრძოლებში, როდესაც პოლკოვნიკმა კიტ გარსონმა ათობით ათასი მათი ცხვარი გაანადგურა. ახლა ცხვრების ხოცვაზე დაოსტატებული

მსროლელები მთელ პრერიებს მოედვნენ. ისინი ჯარისაგან ღებულობდნენ ბინას, შეიარაღებას, ტყვია-წამალს. რამდენიმე დღის განმავლობაში, თითქმის ყოველ წელს, პრერიებზე გრძელდებოდა მსოფლიოს ისტორიაში ბიზონებზე უპრეცედენტო ნადირობა. მატარებლის ვაგონებიდანაც კი ესროდნენ მათ. ამ ოპერაციის დროს ყოველ 40 წუთში 120 ბიზონს კლავდნენ, ანუ 2 ათას სულს თვის განმავლობაში.

ერთ-ერთი ექსპედიციით ბიზონებზე სანადიროდ ნიუ-იორკელი მდიდარი მონადირენი წავიდნენ. მათ დაქირავებული ჰქონდათ არმიის კუთვნილი მატარებელი, 25 ვაგონით. მატარებლის შემადგენლობაში იყვნენ მზარეულები, მიჰქონდათ ჩინური ჭურჭელი და ბოთლებით ჩაცხვებული ღვინო. მათ უნდა დაეხოცათ ბიზონები და ასეთ ფუფუნებაში ეცხოვრათ. მატარებელს მიჰყავდა მსროლელები, ხოლო პრერიებიდან ბიზონის ტყავი გაჰქონდა. თითოეულ ვაგონში 3 ათასი ტყავი ეტეოდა, ერთი ტყავის ფასი იყო 3,5 დოლარი. ამ მეთოდით პრერიებიდან მხოლოდ 1876 წელს სამიდან ოთხ მილიონამდე ბიზონის ტყავი გაიტანეს.

ვაშინგტონში მსგავსი ნადირობების წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო. კონგრესმა ბიზონის დაცვის შესახებ კანონი მიიღო. მაგრამ პრეზიდენტმა ულის გრანტმა, რომელმაც შერმანი და შერიდანი დასავლეთში გაგზავნა, მას ვეტო დაადო. შედეგად პრერია იქცა აყროლებულ ღია სასაფლაოდ, რომელსაც წლების განმავლობაში მონამლული ცხოველების ლეში ავსებდა.

ლაკოტების ოჯახი ძვლებს აგროვებდა და თეთრკანიანთა დასახლებაში ჰყიდდა, სადაც მას სასუქად ამუშავებდნენ.

- ნუთუ ინდიელები ამ ნარჩინებს ჭამენ? - ჰკითხა მათ ერთ-ერთ ასეთ ქალაქში რეპორტიორმა.

- დიახ - უპასუხა რკინიგზის თანამშრომელმა. - მაგრამ მადლობა ღმერთს, უკვე აღარ შეუძლიათ მისი ჭამა. ჩვენ ის ველურები მანამდე გავაქრეთ, ვიდრე ბიზონის ხორცის ნაკლებობას იგრძნობდნენ.

უკანასკნელი ხოცვა-ჟლეტა. 1890 წელს „დიდი ტერფის“ წითელკანიანი ხალხი „დაჭრილი მუხლისაკენ“, პრერიებზე, თავის უკანასკნელ გზას დაადგა. აქ მას დიდი განსაცდელი ელოდებოდა. ამ დაბლობებში მათ ორიოდ ასეული ბიზონი თუ შემოხვდათ, განარჩენი თეთრკანიანებს გაეწყვიტათ.

ისინი უკვე მეთათე დღეა მიდიოდნენ დათოვლილ პრერიებზე. 300 ადამიანამდე - მეზრძოლები, ქალები და ბავშვები. საშინლად ყინავდა. „დიდი ტერფის“ ბელადი უკვე 63 წლისა გამხდარიყო. ბოლო დღეებში ფილტვების ანთებით იტანჯებოდა. ის ურემზე იწვა, ტყავებში. ტუალეტში გასასვლელადაც კი არ შეეძლო წამოდგომა. მას ქალები კვებავდნენ. საჭმლის - ფქვილისგან გამომცხვარი გამხმარი პურისა და ლობიოს - მარაგი ილევდა.

როდესაც „დაჭრილ მუხლს“ მიუახლოვდნენ, მათ თეთრკანიან ცხენოსანთა რაზმები წამოეწიათ. ფილტვების ანთებით განამებული „დიდი ტერფი“ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, პირველად მაშინ წამოინია ურემზე და თეთრი დროშის აღმართვა ბრძანა.

როდესაც თეთრკანიანი ცხენოსნები და ლაკოტების ტომის ინდიელთა ქარავანი პრერიაზე ერთმანეთს შეხვდა, „დიდი ტერფის“ ურემს მაიორი სამუელ ვაიჰსტაიდი მიუახლოვდა და შეეკითხა: - ბელადო, ვიზრძოლოთ თუ უომრად დაგვნებდები? უკვე დაუძღურებულმა „დიდი ტერფმა“ ძლივს ამოღერლა ორიოდ სიტყვა თავისი დაავადებული ფილტვებიდან: მშვიდობა მნადია. ჩემს წინაპრებს სულ მშვიდობა სურდათ. არც მე შემეცვლია აზრი. და ისინი ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ. ბელადის ქვეშაგები სისხლით იყო სავსე, ცხვირიდანაც სისხლის წვეთები სდიოდა. ვაიჰსტაიდმა ექიმი იხმო. ისინი ბელადს თბილ, დახურულ სამხედრო ამბულატორიის ურემზე გადაიყვანენ. თეთრკანიანი ჯარისკაცები ინდიელებს „დაჭრილი მუხლის“ დაბლობისაკენ წაიყვანენ. ღამეს იქ გაათევენ. დილისათვის არმიას ინდიელების უახლოეს რკინიგზის სადგურზე „მშვიდობის კავშირში“ მიყვანა აქვს დავალებული. შემდეგ ისინი ნაბრასკაში, ომაშას სამხედრო ციხეში უნდა გამოემწყვდიათ.

ქარავანს კავალერისტების ორი რაზმი გაუძღვა წინ, ორიც უკან მიჰყვებოდა. ეს უკანასკნელნი 2 ტყვიამფქვრევს მიათრევდნენ. საღამოს დაბლობში კარავი წამოჭიმეს. კარავის ახლოს თეთრი დროშა ფრიალებდა. კავალერიამ ინდიელებს ვახშმად გამომხმარი პური დაურთვა.

ამასობაში მოვიდა პოლკოვნიკი ჯეიმს ფორსაიტი და კიდევ ორი ტყვიამფქვრევი და ტყვია-წამალი მოიტანა. მეთაურობაც მანვე გადაიბარა. მისი ბრძანებით დაბლობის ირგვლივ ბორცვებზე

ტყვიამფრქვევები აღმართეს. მათ მიზანში ინდიელების ბანაკი ჰქონდა ამოღებული. მალე თეთრკანიანმა ვაჭარმა კასრით ვისკი მოიტანა. ალბათ არავის არ დაუხუჭავს თვალი იმ მთვარიან ღამეს, საშინლად ციოდა.

წითელკანიანთ ბელადი უკვე სისხლს აფურთხებდა. ისმოდა ბავშვების ტირილი, მთვრალი ჯარისკაცების ლანძღვა და სიცილი, გუშაგების ყინულზე სიარულისას ფეხსაცმელების ხრაში-ხრუში. ცხენოსნები სიმაღლეებზე ყარაულში ერთმანეთისაგან ათი მეტრის დაშორებით იდგნენ. მათ შორის კოცონი ენთო. დილით ბანაკებს საყვირის ხმა წამოშლის.

თოვლით დაფარული გვამები. ფორსაიტი ინდიელების დათვლის განკარგულებას გასცემს. ყველა ნახევარწრეზე სხდება. მათ წინ ცხენოსანთა რაზმი დგას. ლაკოტის ტომის ინდიელ მამაკაცთა რიცხვი 120 -ს არ აღემატება. 230-მდე კი ქალი და ბავშვია. ტყავში გახვეული „დიდი ტერფი“ თავის კარვის წინ სკამზე ზის. მას აქეთ-იქით მცველები უდგანან. ჯარისკაცები კვლავ გამხმარ პურს არიგებენ. შემდეგ ფორსაიტი ინდიელებს იარაღის ჩაბარებას უბრძანებს. მამაკაცები დანებსა და თოფებს ბანაკის შუაგულისაკენ წაიღებენ. ამასობაში ქალები კარვებს კეცავენ, ბავშვები - მრავალი მათგანი სასკოლო ფორმაშია, ერთმანეთში ერთობიან. ისმის მათი სიცილი.

თეთრკანიანები ამტკიცებენ, რომ ცოტა იარაღი ჩაბარდა. ისინი იწყებენ ბანაკის ჩხრეკას, პოულობენ ნაჯახებს, დანებს, რამდენიმე თოფს. მებრძოლები ერთმანეთს ელაპარაკებიან, როგორც ჩანს, უკმაყოფილოები არიან. ამ დროს ერთ-ერთი შამანი სულების ცეკვას იწყებს. ის მიმართავს ინდიელებს, რომ არაფრის არ შეეშინდეთ, რომ მათი პერანგები ტყვიამამძლეა და მუჭით ზევით ყრის მიწას. ახალგაზრდა მებრძოლ „შავ კატას“ არ სურს თოფის ჩაბარება. ამბობს, რომ ბევრი ფული აქვს მასში გადახდილი. მას ცოტა სმენა აკლია, ვერ იგებს ბრძანებებს. თეთრკანიან მებრძოლს წინააღმდეგობას უწევს.

როდესაც 1890 წლის 29 დეკემბერს სმენადაკარგული „შავი კატის“ თოფი გაისვრის, „დაჭრილი მუხლზე“ ინდიელების ხოცვას დაიწყებენ. თეთრკანიანები ჯერ თოფებით დაუნწყებენ მათ განადგურებას, ხოლო შემდეგ ამაღლებულ ადგილებზე დადგმული ტყვიამფრქვევებს აამოქმედებენ. ჰაერი თოფის წამლის სუნით

გაიჟინთება, ზეცას თოფებიდან ავარდნილი ბოლი დაფარავს. სროლა ნახევარ საათს გასტანს. კავალერისტები ცხენებს მოასხდებიან და აქეთ-იქით გაფანტული ინდიელებს დაუნყებენ დევნას. შემთხვევით ამ მოვლენების შემსწრე გახდა „ომაჰა ვორლდ ჰერალდის“ რეპორტიორი თომას ტიბლესი: „ზოგი ინდიელი ქალი და ბავშვი გარბოდა სამხრეთით მდებარე ლელისაკენ, სხვები მთის მწვერვალისაკენ. მაგრამ ჯარისკაცები მათ მისდევდნენ და ულმობელად ხოცავდნენ“.

ლაკოტა „ამერიკელი ცხენი“ გადარჩა. „ერთი ქალი თეთრი დროშისაკენ მირბოდა - იხსენებდა ის შემდეგ. - ის-ის იყო დროშისათვის ხელი უნდა წაეტანებინა, რომ მოცელეს. დავინახე ასევე სხვა ქალი ჩვილით ხელში. მასაც ესროლეს და სასიკვდილოდ დაჭრილი მიწაზე დაეცა. ბავშვი მის მუცელზე იწვა და მალე მის მკვდარ ძუძუს დაენაფა“.

„როდესაც ჩვენი დაჭრილები ურემზე მოვათავსეთ და დავიძარით, ნითელკანიანები თოვლზე, როგორც შავი წერტილები, ისე გამოჩნდნენ, ხოლო მათ დროშას ნიავი მსუბუქად აფრიალებდა“ - დღიურში ჩაინერა ანონიმურმა ცხენოსანმა.

ქარი ამოვარდა და ნამქერს სახეში აყრიდა მეომრებს. ამიტომ ჯარმა სწრაფად იწყო იქაურობის დატოვება. ის მხოლოდ თავის დაჭრილებს და დახოცილებზე ზრუნავდა. ოცდახუთი თეთრკანიანი მეომარი ემსხვერპლა ამ შეტაკებას - უმეტესობა თავისიანი იარაღიდან შეცდომით გასროლის მსხვერპლი შეიქმნა. ბანაკში, დაახლოებით ერთი კილომეტრის რადიუსზე, 300-მდე ინდიელის გვამი დარჩა. მათ შორის, ბელადიც. მრავალი მათგანი სულების ცეკვის პერანგებში იყო გამონყობილი, რომელსაც, როგორც მათი წინასწარმეტყველი ქადაგებდა, შეეძლო მათი თეთრკანიანთა ტყვიებისგან დაცვა. როდესაც ქარბუქი ჩადგება, კავალარისტები პრერიაზე პოულობენ ყინვისაგან გათოშილ, თოვლწაყრილ გვამებს, საზარლად დაკრუნჩხულ პოზაში.

„დაჭრილ მუხლზე“ მოწყობილი სისხლიანი კალო უკანასკნელ შეიარაღებულ შეტაკებად მიიჩნევა ამერიკის შეერთებული შტატების არმიასა და „დიდი ტერფის“ ინდიელებს შორის. დღემდე არაა ცნობილი შეტაკების მსხვერპლთა რაოდენობა. ამ ტომის გადარჩენილი ინდიელების განცხადებით, „დიდი ტერფის“ ინდიელების 350 კაციანი ჯგუფიდან მხოლოდ 50 ადამიანი გადარჩა. სამაგიეროდ,



ოფიციალური სამთავრობო მოხსენების მიხედვით მხოლოდ 153 ინდიელი დაიღუპა, ხოლო დანარჩენთა ბედი უცნობია.



## რიშარდ კაპუშჩინსკი შაჰინშაჰი

წარმოუდგენლად სასიამოვნოა, როდესაც ავტორი/მთარგმნელი მის მიერ გამოცემულ წიგნზე შემთხვევით თბილ რეცენზიას გადაწყდები. ასეთი შეგრძნება მქონდა მაშინ, როდესაც ინტერნეტში რ. კაპუშჩინსკის „შაჰინშაჰზე“ მოულოდნელად უცნობი მკითხველების ქვემოთ მოტანილი ტექსტი წავიკითხე:

„აღფრთოვანებული ვარ! რა მაგარია! რა საინტერესო იყო! საუკუნეა ასეთი გადარეული წიგნით არ ვყოფილვარ. ამაზე წინა პოსტებზეც ვინუნუნე. საოცრად მოვიხიბლე კაპუშჩინსკით! ყველას ამაზე ვუყვები. ეს წიგნი, როგორც ყველა დანარჩენი, პეკინზე 33-ე ბიბლიოთეკაში ვიპოვე. ჩემს წინ ეს წიგნი გატანილი არავის ჰქონდა. მეც იმიტომ ავირჩიე, რომ ირანი მაინტერესებს, მით უმეტეს 1978 წლის რევოლუცია, საერთოდ არ ვიცოდი ეს პერიოდი და მეორე, კაპუშჩინსკი პოლონელი ჟურნალისტი იყო და საინტერესოა, როგორ წერენ ჩემი კოლეგები მხატვრულ ნაწარმოებებს.

პირველივე ფურცლებიდან ისე შევედი წიგნში, იმხელა სიამოვნებაა თითოეული გვერდის კითხვა, ისეთი რეალისტურია ნაწარმოები, თანაც როცა კითხულობ, მაშინვე გრძნობ, რა დაგრჩება კითხვის დასრულების შემდეგ.

„შაჰინშაჰს“ აშკარად ეტყობა (მე ასე მომეჩვენა), რომ ჟურნალისტის დაწერილია, მუდმივად ფაქტებს ეყრდნობა და ეჭვი არ შეგეპარება ნებისმიერი ეპიზოდის ისტორიულ სიზუსტეში. სიუჟეტს ფოტოსურათებით, ჩანაწერებით აგებს, ვარაუდებს სხვას ათქმევინებს, ფაქტებს ავტორის ტექსტად აქცევს (ჟურნალისტია!) . როცა კითხულობ, ხვდები, რომ ერთ დღესაც არ დაჯდა დასაწერად, ასე ექსპრომტად, არამედ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ამ თემაზე. წიგნი ირანის ბოლო შაჰსა და 1978 წლის რევოლუციაზეა, რომელსაც აიათოლა ჰომეინი ხელ-

მძღვანელობდა. რევოლუცია (მართალია უსისხლო) ჩვენთანაც მოხდა და ბევრი რამ მეცნო, თუნდაც ის, რომ ხალხი წყობილების შეცვლისთვის იბრძოდა.

ნავიდა შაჰ რეზა, მოვიდა ჰომეინი, მაგრამ რა? არავინ იცოდა, როგორ დაენყო სახელმწიფოს შენება. არადა სისტემის შეცვლა ქვედა ფენებიდან და აზროვნების შეცვლიდან იწყება. შაჰი სწავლის მსურველებს საზღვარგარეთ აგზავნიდა, რადგან იცოდა სტუდენტებში სალი აზრი და მეამბოხეები მატულობს. ამიტომ დღეს საფრანგეთსა და გერმანიაში უფრო მეტი ირანელი ექიმია, ვიდრე ირანში.

საინტერესო იყო ნავთობთან დაკავშირებული მოსაზრებაც.

„ნავთობი სრულიად განსხვავებული ცხოვრების, უქმი და არხეინი არსებობის ილუზიას უქმნის ადამიანს. ნავთობი არის ნედლეული, რომელიც ადამიანს აზროვნებას უწამლავს, გონებას უზნელებს, ახდენს მის დემორალიზაციას, ნავთობი ნამდვილად საოცნებო რამაა, ზღაპარია და როგორც ყველა ზღაპარი, ტყუილია და მეტი არაფერი“.

საოცრად აქვს ნაჩვენები, თუ როგორ ზედაპირულად აშუქებს უცხოური მედია ირანში მიმდინარე მოვლენებს. კაპუჩინსკი კი რევოლუციის დროს თავად იმყოფებოდა ირანში.

უფრო ვრცელი და ღრმად აანალიზებს რ. კაპუჩინსკის „შაჰინშაჰს“ ექიმი, პროფესორი ზურაბ მარშანია:

„რემინისცენცია რიშარდ კაპუჩინსკის სტილში“

გამორჩეული ლიტერატურული ნაწარმოები იმით განსხვავდება ჩვეულებრივისგან, რომ ის უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ეპოქას, საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს ერთიანად მიესადაგება, ისეთ მარადიულ ფასეულობათა უნივერსალურობიდან გამომდინარე, როგორებიცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა.

ყველაფერი ეს დიდი ხელოვანის გამჭრიახი თვალითაა დანახული და აღწერილი პოლონელი მწერლისა და პუბლიცისტის, ნობელის პრემიის ორგზის ნომინანტის რიშარდ კაპუჩინსკის ცნობილ ლიტერატურულ შედეგში „შაჰინშაჰი“, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს, ჩვენს მახლობლად, ირანში დატრიალებულ დრამატიულ მოვლენებს ეძღვნება.

საოცრადაა გადაჯაჭვული იმდროინდელი ირანის ისტორია დღევანდელობასთან. როგორი ერთნაირი სიჯუიტიცაა თუ სიბრწყვით ავინყდებოდათ „ძლიერთ ამა ქვეყნისა“ მაშინ და ავინყდებათ დღესაც, რომ ისტორია, როგორც ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე ჯ. ტოინბი გვეუბნება, მეორდება, თანაც ისე, რომ გაჭრილი ვაშლივით ემსგავსება ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქებში, ერთი შეხედვით, სრულიად განსხვავებული ერებისა თუ პოლიტიკური ლიდერების ბედ-იღბალი.

დღევანდელ საქართველოში კი რიშარდ კაპუჩინსკის „შაჰინ-შაჰი“-ის წაკითხვის შემდეგ, არ შეიძლება რემინსცენციის მძაფრი განცდა არ დაგეუფლოს...

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა, უპირველეს ყოვლისა, პატივი მივაგო რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი რიშარდ კაპუჩინსკის ნათელ ხსოვნას და გულწრფელი მადლობა გადავუხადო „შაჰინშაჰის“ პოლონურიდან ქართველ მთარგმნელს ამბროსი გრიშკაშვილს იმისათვის, რომ მან საშუალება მოგვცა ეს დიდებული ნიგნი მშობლიურ ენაზე წაგვეკითხა.

ერთი ირანელი მეორეს არაფერს უთმობს არასოდეს. მას პირველობა სურს, ისწრაფვის, თავისი შეხედულებები სხვას მოახვიოს თავზე. მე! მე! მე პირველი ვარ, შენ - მეორე, შენ კი კვლავ მესამედ დარჩები. ის მეორე და მესამე კი, არ კმაყოფილდებიან თავიანთი ბედით და დაუყოვნებლივ იწყებენ ინტრიგების ხლართვას. სწორედ ასეთი თამაშის წესების გამო ვერ ხერხდებოდა ვერასოდეს ირანში სოლიდური ოპოზიციური პარტიის შექმნა, რამეთუ პარტიის შიგნით დაუყოვნებლივ იწყებოდა ერთმანეთს შორის ძიძგილი, ბრძოლა ლიდერობისათვის. ამ ქვეყანაში ყველა და ყოველთვის საკუთარი პარტიის ჩამოყალიბებას ლამობდა.

ვერც ერთ შემთხვევას ვერ გაიხსენებთ ისტორიაში, ხალხს რომ დაეტირებინოს ირანში თავისი შაჰი და საბოლოო განსასვენებლამდე ტირილითა და მოთქმით გაეცილებინოს. ირანის ყველა შაჰმა თანამდებობა და სიცოცხლეც კი გაურკვეველ ვითარებაში დაკარგა. ხალხი მათ საშინელ ადამიანებად მიიჩნევდა, სულმდაბლობაში ადანაშაულებდა, მათ თანამდებობიდან გადადგომას სიხარულის შექაჩილებითა და წყევლით ხვდებოდა. შაჰის სიკვდილი კი, როგორც წესი, ქვეშერდომების ზეიმის საბაბი ხდებოდა. ახალადადლსაყდრებული შაჰი ჩვეულებრივ ასე შედიოდა ხოლმე ირანის

დედაქალაქში. ერთ მხარეს რუსეთის ელჩი უმშვენებდა გვერდს, მეორეს კი - ბრიტანეთისა. ასე იყო მაშინაც, როდესაც ირანის ბოლო მონარქის - მუჰამედ რეზა ფეჰლევის მამა, რეზა შაჰი შევიდა თეირანში. მისმა შვილმა - მუჰამედ რეზა ფეჰლევამაც ირანისთვის ტრადიციად ქცეულ სტილში, 1941 წელს, რუსულ-ბრიტანული „ხიშტების“ მეშვეობით დაიმკვიდრა ძალაუფლება მამის ტახტიდან გადაყენებისა და გადასახლების შემდეგ.

ბრიტანელები და ამერიკელები ყველანაირად ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ირანის ახალგაზრდა შაჰისათვის ტახტი და ძალაუფლება. თუმცა, სულის სიღრმეში ისინი არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სწორი არჩევანი გააკეთეს. მიუხედავად ამისა, ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ 1953 წელს დაემხოთ შაჰის ძირითადი პოლიტიკურ მონინალმდეგე - დემოკრატიულად არჩეული, პატრიოტად განწყობილი და პოპულარული პრემიერ-მინისტრი მუჰამედ მოსადეჰი.

მოსაჰედის გადაყენების შემდეგ ვაშინგტონმა დიდი რაოდენობის ფულის გაგზავნა დაიწყო ირანში. რეზა ფეჰლავისაც დიდ პატივისცემაში ჰყავდა ამერიკელები, რადგან მათი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. უიმათოდ მყარად ვერ გრძნობდა თავს საკუთარ ქვეყანაში. განუწყვეტლივ დადიოდა ვაშინგტონში, თვეობით რჩებოდა იქ, ხვდებოდა „საჭირო“ ხალხს თეთრ სახლსა და კაპიტოლიუმში, ეთათბირებოდა, არწმუნებდა და პირობას დებდა...“.

პურადად მე ამ ნიგნში განსაკუთრებით ავტორის ეს პასაჟი მომწონს:




## ვიესლავ მიშლივსკი ტრაქტატი ლობიოს დაჩურჩვის შესახებ

ეს არის ნიგნი დღეს ცოცხალთა შორის ალბათ, ყველაზე ცნობილი და პოპულარულა მწერლის, ვისლავ მიშლივსკისა. ჩვენ მისი სხვა ნიგნი „ქვა ქვაზე“ 2000 წელს გამოვეცით.

წინამდებარე ნიგნი დაბეჭდა გამომცემლობა „ინტელექტმა“ 2018 წელს.

ლობიოს დაჩურჩვა თანამეინახესთან ერთად პასტორალური სამყაროს, გნებავთ, ფილოსოფიური ნადიმის მეტაფორაა, რომელშიც ერთმანეთზე უფრო ძნელი და მტკივნეული საკითხებია გაცხადებული. ვიესლავ მიშლივსკის ამ რომანში თავი მოიყარა მე-20 საუკუნის უმთავრესმა პრობლემებმა (ომი, დევნილობა, შიმშილი, ღმერთის ძიება და ა.შ.); რომანის პროტაგონისტის საგულისხმო პროფესია - ელექტრიკოსობა - ტექსტის ძაბვის ხარისხიცაა: მისი (და მთელი ეპოქის) თავგადასავალი „ბუნებრივი განათების“ ფონზე იკითხება - ლამპის გამჭვირვალე ალიდან ელექტრონათურის მძლავრ სხივამდე.

რომანი „ტრაქტატი ლობიოს დაჩურჩვის შესახებ“ დაჯილდოებულია პრესტიჟული პოლონური პრემიით „ნიკე“-თი.



## ვოიცებ გურეცკი ბურანი - ყირგიზი ადის ცხენზე

ბოლო წიგნი, რომლის თარგმანზეც მუშაობა დავიწყე, არის ზემოთ წარმოდგენილი წიგნი ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი რეპორტიორის, პოლიტოლოგისა და მწერლის, ჩემი მეგობარი ვოიცებ გურეცკისა. მისი დასაწყისი ნაწილის თარგმანი, რომელიც ეხება ცნობილ აფხაზ-ქართველ ისრორიკოსს გიორგი ანჩაბაძეს, უკვე დაიბეჭდა ჟურ. „ისტორიანში“. ნათარგმნი მაქვს წიგნის შემდგომი ნაწილიც, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს შეწირულ თამრიკო ჭოველიძეს შესახებ, ჯერ ვერსად დავბეჭდე და აქედან ვაცნობ მკითხველს. წიგნის შემდგომი ნაწილების თარგმნას, მით უმეტეს, ახალი წიგნის თარგმნის წამოწყებას, ჯერჯერობით თავი დავანებე. უკვე 12 წიგნი დამიგროვდა გამოსაცემად მომზადებული და არ მინდა ჩემი შრომა სიზიფეს შრომას დაემსგავსოს. ჯერ იქნებ მათი დაბეჭდვა მოვახერხო და მოვესწრო...

რაც შეეხება თ. ჭოველიძის შესახებ წიგნის პატარა ნაწილს, მას შემდეგი სახე აქვს:

## ექსპუმაცია

მკვდრებსაც აქვთ უფლება სიცოცხლეზე  
თადეუმ ბოი-ჟელენსკი

### დაგნის ოქროს თმები

ეს დაგნის ხვედრი აღმოჩნდა. ვილაცას ხვედრი ხომ უნდა გამხდარიყო. არკადი ჭოველიძეს მასზე აქამდე არაფერი სმენოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნორვეგიის დედოფალმა სონიამ წერილი გამოუგზავნა, შეკითხვით, შემოინახა თუ არა მისი სამარეო, ის დაინტერესდა (არკადი თბილისში კუკიის სასაფლაოს დირექტორი იყო - ხოლო დაგნი თბილისში გარდაიცვალა და ამ სასაფლაოზეა დაკრძალული).

მაშინ, 90-იანი წლების შუაში, არ არსებობდა საძიებელი, მონაცემთა ბაზა, ციფრული არქივი; ეს კი არადა, საქართველოში, რომელიც სამოქალაქო ომის შემდეგ ჭრილობებს იშუშებდა, მთელი კვირების განმავლობაში დენი არა ყოფილა.

ამ დროს ნორვეგიაში მუშაობას აგრძელებდა ორგანიზაცია კვინემუსეტი, ქალთა მუზეუმი. ის განთავსებული იყო ამ მიზნით საგანგებოდ შესყიდული როლიჰედის სასახლეში, სადაც დაგნიმ ბავშვობა გაატარა. მუზეუმს უშუალოდ ქვეყნის დედოფალი მფარველობდა.

დაგნის საფლავი ზევით, სასაფლაოს ყველაზე ძველ ნაწილში აღმოჩნდა. რალაც გამომწვევად, განცალკევებით მდებარეობდა. ნაცვლად ბაროკოს ფორმის კედლის სვეტების და ანგელოსებისა – ვარდისფერი მარმარილოს უბრალო კედლებით, მასზე შავი ხაზებით გამოყვანილი ჯვართა და გაფერმკრთალებული წარწერით: „დაგნი პშიბიშვესკა - ქალიშვილობაში უელი“.

ჭოველიძემ ეს ყველაფერი ოსლოს კი აცნობა, მაგრამ დაგნი მისი გონებიდან არა და არ ამოდიოდა. რატომ დაემშვიდობნენ საუკუნოდ მას პოლონურად? როგორ მოხვდა საქართველოში? ვინ იყო და ნორვეგიისთვის რას წარმოადგენდა? ამ ყველაფერმა სრულად შეიპყრო არკადის წარმოსახვა, ხელზე დაიხვია, როგორც უამრავი მამაკაცი belle époque\* დროს.

\* The Belle Époque ან ფრანგ. La Belle Époque - დროის გარკვეული პერიოდი დასავლეთ ევროპის ისტორიაში: დაახლოებით საფრანგეთ-პრუსიის ომის (1871 წ.) შემდეგ, ვიდრე I მსოფლიო ომამდე (1914 წ.).

არკადი მალევე გაიგებს, რომ დაგნა თუმცა პიანისტი იყო, ლექსებსა და პიესებსაც წერდა, მაგრამ ცნობილი გახდა, როგორც დიდ ხელოვანთა მუზა; მას რომანი ჰქონდა ედუარდ მუნკთან („კივილის“ და სხვა უამრავი დაგნოდალური მადონები შემქმნელი), დრამატურგ ავგუსტ სტრინბერგთან და მწერალ სტანისლავ ჰშიბიშევსკისთან, „გენიალურ პოლონელთან“, რომელიც ბერლინის ერთ-ერთ დუქანში, „შავ გოჭში“ გაიცნო. ამ უკანასკნელზე დაგნი 1893 წელს გათხოვდება და მასთან ორი შვილი: ვაჟი ზენონი და ქალიშვილი - ივაც ეყოლება.

არკადი ჭოველიძემ სადღაც დაგნის ფოტოც მოიშოვა და თავისთან კაბინეტში ჩამოიკიდა. მასთან სულთა ნათესაობა იგრძნო. უყვარდა თავის თავში დარწმუნებული, პრინციპული ქალები. ასევე ისეთები, რომლებიც მთელ სამყაროს იწვევენ („შენ თუ იცი, რომ სახალხოდ ვაბოლებდი პაპიროსს?! რომ მისგან იწყება გერმანული ფემინიზმი?“). ლამაზი ქალები ხიბლავდა.

არკადიმ ბიბლიოთეკის წიგნებიდან, არქივებიდან და ძველი გაზეთებიდან მისი სიცოცხლის დასასრულის შესახებაც გაიგო და მისი ცხოვრების თეთრი ლაქებიც მდიდარი წარმოსახვით შეავსო.

უბედურება პშიბიშევსკების კრაკოვში საცხოვრებლად გადასვლას მოჰყვა (1898 წელი). სტახი, გერმანული ციდან დაშვებული ახალი პოლონეთის ღმერთი, ამ ქალაქში ჭეშმარიტი მეფე ხდება. სამაგიეროდ საყოველთაოდ თაყვანცემული, თუმცა პოლონური ენის უცოდინარი, დაგნა კი აქ ადგილს ვერ პოულობდა.

თადეუმ ბოი-ჟელენსკი, რომელიც უსაზღვროდ იყო მასზე შეყვარებული, წერდა: ეს ნორვეგიელი ქალი, რომელიც გაცილებით მტკიცე მეტალისგანაა ასხმული, ვიდრე სლავი ქალები, ვერ იგებს ამ მსუბუქ გრძნობებს, იაფფასიან ცრემლებს, რომელიც მის ირგვლივ იღვრება; სამაგიეროდ პშიბიშევსკი მთელი სულით და გულით ეძლეოდა გულითად დახვედრას ახლადაღმორჩენილი სამშობლოსაგან, რომლისგანაც ამდენი ხანი დაშორებული იყო. და კიდევ: სტახის ალკოჰოლიზმი, რომელიც ახლა ყოველ საზღვარს სცილდებოდა. მისი, უგონო მდგომარეობაში მყოფის, სახლში წაყვანა დაგნის ყოველდღიურ საქმიანობად ქცეულიყო, რასაც არც თუ ისე დიდი ხალისით ასრულებდა. მათ შორის ურთიერთობაში უკვე გულციობა იგრძნობოდა, მარტო დადიოდნენ ევროპაში, ეძლეოდნენ მსუბუქ გატაცებებს.

1901 წლის გაზაფხულზე კვლავ დაახლოვდნენ და ახალი ცხოვრების კავკასიაში წამოწყება გადანიჭეს. იქ გამგზავრება მათ ვლადეკ ემერიკმა, ორივე მათგანზე ბევრად უმცროსმა. მილიონერის, საქართველოში მანგანუმის საბადოების მფლობელის, ვაჟმა - „ცისფერთვალემა, წარმოსადგემა, ბავშვური სახის ბიჭმა“ შესთავაზა. ის პრიბიშევესკებს, როგორც დიდი ძალის, ისე მიეჩვია. არც თუ ისე ინტელიგენტური, უფრო მიამიტი, ერთ-ერთი იმ ახალგაზრდათაგანი გახლდათ, რომლისთვისაც პრიბიშევესკის „დემონიზმთან“ შეხებაც განსაკუთრებით სახიფათო იყო. ის ყველაფერს სიტყვა-სიტყვით იღებდა (ეს კვლავ ბოი-ჟელენსკია).

ვარშავიდან ხუთშაბათს წავიდნენ - ემერიკი და პრიბიშევესკები, ზენონთან ერთად (ივა ნაცნობებს დაუტოვეს). მატარებლის დაძვრამდე სტახმა მოულოდნელად განაცხადა, რომ ის ვერ წავიდოდა და ჯერჯერობით ვარშავაში რჩებოდა. მას ორ თეატრში თვალყური უნდა ედევნებინა თავისი „ოქროს საწმისის“ დადგმისათვის. თან ფულიც უნდა გამოეტანა სალაროდან. კიდევ რალაც სხვა საქმეებიც ჰქონდა. თუმცა მათ შეპირდა, რომ მალე ისიც მათკენ გაეშურებოდა და შეუერთდებოდა...

არ წასულა. შესაძლოა, არც აპირებდა. ალბათ იცოდა, რომ მისი მეუღლე და მათი ოჯახის ახალგაზრდა მეგობარი ოდესღაც საყვარლები იყვნენ. შესაძლოა თვლიდა, ყოველ შემთხვევაში, ვარაუდობდა, რომ მათ შორის კვლავ იფეთქებდა სიყვარულის ალი. და ეს მას ხელს გაუხსნიდა. ამ დროს ის ორი ახალი სასიყვარულო კავშირით იყო დაკავებული.

1901 წლის 18 მაისს დაგნიმ, ზენონმა და ვლადეკმა თბილისამდე („ტფილისამდე“, როგორც ქალაქს მაშინ უწოდებდნენ) ჩააღნიეს. ისინი „გრანდ ოტელში“, ნიკოლოზის ხიდთან (ამჟამად მას მშრალი ხიდი ჰქვია) გაჩერდნენ და ორი, ერთმანეთის მეზობელი ნომერი დაიკავეს.

5 ივნისის ღამეს ვლადეკმა მძინარე დაგნას ესროლა. მანამდე მან ზენონი საგულდაგულოდ გარეთ გაიყვანა და კარი საგულდაგულოდ დახურა. შემდეგ თავადაც მოიკლა თავი.

ვლადეკმა ოთხი წერილი დატოვა.

სტახისადმი:

„გავაკეთე ის, რაც შენ უნდა გაგეკეთებინა. მან ყველაფრის შესახებ კარგად უწყოდა. თავიდან ეს მასაც სურდა - შემდეგ მასში



დედობრივმა გრძნობამ გაიღვიძა და იმძლავრა... მეტისმეტად უყვარს ზენონი. ამიტომ იძულებული გავხდი გადამედო და მას მაშინ ვკლავ, როდესაც ის ამას ყველაზე ნაკლებად ელის“.

ზენონისადმი:

„დიდ, საშინელ, უზომო ტკივილს გაყენებ. შესაძლოა ამას ვერც გაუძლო და ამის გამო ცხოვრებაში მოტყდე კიდეც. სხვაგვარად არ შემიძლია, და ეს არ შემიძლია სწორედაც რომ თავად მის გამო. იმქვეყნად როდესაც შევხვდებით, ან გამიგებ და მაპატიებ, ან შემიზიზღებ. მე ამის გაფიქრებაც კი მზარავს“.

ფრანციშეკ ფიშერისადმი (ვარშავა, იერუსალიმის გამზირი 43, ბინა 8):

„საქმე, რომელიც ჩვენ ერთად უნდა გავგეკეთებინა, ჩემს პარტნიორთან, ანტონი კელერთან (თბილისი, გრანდ ჰოტელი), შენ თავად გააკეთე. ის უსაზღვროდ პატიოსანი ადამიანია და შეგიძლიათ ბოლომდე ენდოთ“.

ანტონი კელერის მიმართ:

„გადავიდეთ უშუალოდ დაკრძალვის ცერემონიალზე. პოლიტიკური ოქმის შედგენის შემდეგ და გვამების განბანვის მერე, ქალბატონი პშიპიშევსკას ნეშტი გთხოვთ დაუყოვნებლივ შეახვიოთ რაიმეთი (ანდა სასახლეში სწრაფადვე ჩაასვენოთ, თუკი ეს უკანასკნელი უკვე მზად იქნება) და არავის, აბსოლუტურად არავის, არა აქვს მისი ხილვის უფლება. არც ერთი ცნობისმოყვარე არ მიუშვათ სასახლესთან ახლოს, არც ერთი! ქალბატონი პ. საუკეთესოდ უნდა იქნეს დაკრძალული, მშვენიერი სასახლით, კარგი კატაფალკით, საგოდებელშიც კარგი ადგილის შერჩევით. შემდეგ მის საფლავზე დაიდგმება ობელისკი -

ამიტომ ეს გაითვალისწინე და შესაფერის ადგილად დაკრძალეთ... ჩემი გვამის ნახვის უფლება ექნება ყველას, ვისაც კი ამის სურვილი ექნება. დამასვენეთ, სადაც გნებათ და როგორც გნებავთ“.

საინტერესოა, რა იყო ეს? გადარეულის კაცის საქციელი თუ ახალგაზრდა პოლონელის მონოლილი სევდა? უარყოფილი საყვარლის შურისძიება? იქნებ ვლადეკს დედისაგან ფსიქიურად აშლილი ადამიანის გენი გადმოეცა?! დაგნის კვლავ სტახი უყვარდა, უგზავნიდა წერილებს და ყოველდღიურად რკინიგზის სადგურზე გადიოდა, მას ელოდებოდა.

ან იქნებ, ფიქრობდა თავისთვის არკადი ჭოველიძე, ქალაქში ვილაც გაიცნო, შეუყვარდა?! ის ხომ ყოველთვის ყურადღებას იქცევდა?! სისხლი ხომ წყალი არაა. ეს არკადის ხასიათში იყო, მით უფრო მისი წინაპრების ხასიათში.

დაგნა 1901 წლის 8 ივნისს, მისი დაბადების დღეს დაკრძალეს. ამავე დღეს მიაბარეს თბილისის მიწას ვლადიკ ემერიკი; მაგრამ ამ უკანასკნელის საფლავი არ შემონახულა. შესაძლოა მამამისმა მისი გვამი პოლონეთში წაიღო, იქ დაასვენა. ვლადიკი მთელმა თბილისმა დაიტირა. მას აქ ბევრი მეგობარი ჰყავდა, უამრავი ნაცნობი ჰყავდა მამამისსაც. მაშინდელი გაზეთები მისადმი მიძღვნილი ნეკროლოგებით იყო აჭრელებული. დაგნისადმი ოდენ ერთი ნეკროლოგი დაიბეჭდა, პატარა ცნობა, მისი მცირეწლოვანი ვაჟისაგან (მცირე ხნის შემდეგ მისი შვილი ასევე გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის ყველას, ვინც დაგნი უკანასკნელ გზაზე გააცილა).

პოლონეთში სტახმა ეპიტაფია დაწერა: „ულამაზესი ეგზოტიკური ყვავილი იყო, რომელიც იშვიათად ყვავის, და რომელიც ბრბომ უნდა გათელოსო; ამასაც არ აკმარებს, სიკვდილამდე მასზე შურს იძიებს“.

არკადი ჭოველიძემ იგრძნო, რომ დაგნისათვის რაღაც უნდა გაეკეთებინა, ქალი რაღაცით უნდა შემოენახა ისტორიისათვის. და ამის წყალობით - რაღაც გაეკეთებინა სხვისთვისაც. ხოლო ეს ყველაფერი, როგორც შემდეგ გამოირკვა, - თუმცა თავიდან ასე შორსმომავალი ფიქრები არა ჰქონია - იმისათვის კეთდებოდა, რომ არკადი საკუთარ თავს შერიგებოდა.

არკადის ფული ყოველთვის ჰქონდა. ის ერთ-ერთი იმ სოლიდური ოჯახიდან იყო, რომელიც ყოველ ხელისუფლებასთან პოულობს საერთო ენას. სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდა: უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და მარქსიზმ-ლენინიზმის თბილისის ფილიალი („ახლა უკვე აღარ ვაქებ, რადგან ცუდად მიყურებენ, თუმცა არა ვყოფილვარ პარტიული“). საბჭოთა კოოპერატიულ კავშირში მუშაობის წყალობით (დახლქვეშიდან საქონლის გაცემით) მან ბევრი ნაცნობი გაიჩინა (თავის დროზე „ცეხავიკიც“, არალეგალური მენარმეც ვიყავი. მასალას ვშოულობდით და სახელმწიფო ფაბრიკაში საღამოს საათებში ათასგვარ საქონელს ვამზადებდით. ნაწარმს სახელმწიფო მაღაზიებიდან ვყიდდით. 80-იან წლებში ჩვენ უკვე აღარც გვამჩნევდნენ).

არკადი ქოველიძე 1989 წელს ტურისტულ მოგზაურობაში წავიდა: გერმანია, სკანდინავიის ქვეყნები, ბენელუქსი („საბჭოთა კავშირიდან სამოგზაუროდ წასვლა მხოლოდ კაგებებს თანამშრომლებს და მდიდარ ადამიანებს შეეძლოთ. მე ნახევარი მსოფლიო შემოვლილი მაქვს“).

მოგზაურობაში თავისი თექვსმეტი წლის თამრიკოს წაყვანაც სურდა - პასპორტი უკვე დაამზადებინა - მაგრამ ცოლმა შეაფერხათ: გოგო ხომ სკოლას ამთავრებდა, გამოცდებისათვის უნდა მომზადებულიყო. ცოტა ნაიჩხუბნენ კიდეც და არკადი დაემუქრა: თამრიკოს რომ რამე დაემართოსო, ცოცხალი ვერ გადამიჩრებიო.

ძალიან ეშინოდა მისი ბედის გამო, თბილისი თუხთუხებდა. რუსთაველის პროსპექტი ხალხით იყო სავსე, ქვეყნის დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. ლაპარაკობდნენ, რომ აქეთ რუსის ჯარები მოჰყავდათ. ბოლოს თავად წავიდა. სპეცნაზმა მომიტინგეებს 9 აპრილს დაარტყა. დილის 4 საათისათვის დემონსტრანტებში ჯავშნოსანი მანქანები შეიჭრნენ, სახმელეთო ჯარის ნაწილებმა გზა მესანგრეთა ნიჩბებით განმინდეს. მომწამვლელი გაზიც გაუშვეს.

მიმდებარე ქუჩები მანქანებით გადაკეტეს, რის გამოც ხალხი ვერსაით გაქცევას ვერ ახერხებდა. თექვსმეტი მსხვერპლიდან\*\* ერთ-ერთი თამრიკო აღმოჩნდა... როგორც ჩანს, დედამ საკმარისად ვერ იზრუნა მასზე.

არკადის ტელეგრამამ ჰოლანდიაში მოუსწრო. ამიერიდან მხოლოდ შვილისათვის ცოცხლობდა. მოახერხა სასაფლაოს დირექტორი გამხდარიყო და მისი ეკლესიის რემონტი დაიწყო - კომუნიზმს მხოლოდ შიშველი კედლებით რომ გადარჩენილიყო. ეკლესიის კედლები მოახატვინა. ხატებიც შეუკვეთა. ხახვის მსგავსი რუსული გუმბათი ქართული სახურავით შეაცვლევინა („მისი ქალიშვილი რუსმა ჯარისკაცმა მოკლა, პატრიარქი ამაზე უარს ვერ ეტყოდა“).

თამრიკოსთვის სამუდამო განსასვენებელი სასაფლაოს დასაწყისში გამოინახა, შესასვლელის მარჯვენა მხარეს. იქ მიმსვლე-

\* სულ 20 მსხვერპლი იყო: აზა ადამია, ნათია ბაშალიშვილი, ეკა ბუჟანიშვილი, ნატო გიორგაძე, თამუნა დოლიძე, თინა ენუქიძე, ნინო თოიძე, ზაირა კიკვიძე, მანანა ლოლაძე, თამარ მამულიშვილი, ვენერა მეტრეველი, მამუკა ნოზაძე, ნანა სამარგულიანი, შალვა ქვასროლიაშვილი, მარინა ჭყონია-სამარგულიანი, თამარ ჭოველიძე, ნოდარ ჯანგირაშვილი, მზია ჯინჭარაძე, მანანა მელქაძე და გია ქარსელაძე. მთარგ.

ლმა შეუძლებელია ვერ შეამჩნიოს. მამამ საფლავზე ქალიშვილის პორტრეტიც მოათავსა. მშობლიური სახლი ქალაქის ცენტრში, ფილარმონიის ახლოს, ბელინსკის ქუჩაზე, დაანგრია და ახალი სახლი სასაფლაოს ახლოს აიშენა. მასში ქალიშვილის ოთახი ცალკეა - აქ ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც გოგოს სიცოცხლეში, უფრო ზუსტად, მაშინ, როდესაც ის, იმ საღამოს, მიტინგზე წასვლამდე დატოვა. თავისი ნაცნობები დაიხმარა და ბელინსკის ქუჩას თამარ ჭოველიძის სახელი დაარქმევინა. მალე ქალიშვილისათვის, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილისათვის, საკვდილშემდგომ სიგელსაც გამოაცემინებს.

მაგრამ მალე იგრძნობს, რომ ეს ყველაფერი მაინც ძალიან მცირეა. მიხვდა, რომ ამით ვერ გამოისყიდოდა იმ ცოდვას, მაშინ, იმ საღამოს, ქალიშვილის გვერდით რომ არ იყო. ვერ იზრუნა შვილზე, როგორც საჭირო იყო. და მაშინ გამოჩნდა ნორვეგიელი ქალი.

არკადიმ დედოფალს მისწერა, რომ დაგნის უკეთეს ადგილას გადასვენება, ახალი მარმარილოს ქვის დადება, იქაურობის ლამაზად მოწყობა ჰქონდა განზრახული. და რომ ამ ყველაფრის გაკეთებას ის საკუთარი ხარჯით აპირებდა. ამ უჩვეულოდ მომხიბვლელი ქალისა და იმათ საპატივსაცემოდ, ვინც მისი საფლავის მოსანახულებლად მოდიოდა.

მალე პასუხიც მიიღო, როგორც კვინემუსეეტიდან, ისე ნორვეგიის საელჩოდან. დიდად აღფრთოვანებულები ვართ, სრულიად გენდობით, ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით - წერდნენ დირექტორს. დაგნას შვილიშვილმა, ივას ვაჟმა, რუტგერ ბენეტმაც თანხმობა განაცხადა ბებუის ექსჰუმაციაზე. ქართული სანიტარული სამსახურიც არ წასულა წინააღმდეგი გვამის გადასვენებაზე.

სამარე 1999 წლის 3 ივნისს გახსნეს, მართლმადიდებელი მღვდლისა (არკადის არ გაახსენდა, რომ დაგნი კათოლიკე იყო) და თბილისელი მსახიობების თანდასწრებით. პირველი საათზე თორმეტმა მესაფლავემ საფლავი გათხარა და კალის სასახლე მიწიდან ზევით ამოიტანა. სასახლეს სარკმელი ჰქონდა და იქ შეკრებილებმა პირველად დაგნის ოქროსფერი კულულები დაინახეს. ოცი წუთის შემდეგ - გადასვენება ვიდეოზე აღიბეჭდებოდა - სახურავი ახადეს და ქალის თმებიც მთლიანად გამოჩნდა.

არკადი ჭოველიძეს აქამდე მსგავსი არაფერი ენახა: ქალის თმები აწენილი, მინაშერეული, გათხუნული უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაგნის თმები ზუსტად ისე გამოიყურებოდა, თითქოს საპარიკმახეროდან ეს-ესაა დაბრუნდაო. თითქოს მას თმები ვილაცამ ახლახანს დაუვარცხნაო. ის უნდა შეხებოდა იმაში დასარწმუნებლად, რომ ნამდვილად არსებობდა. თმები ლეგენდის ნაწილი იყო. ქალი ხომ თავად წერდა: „ჩემი ოქროსფერი თმები, ცეცხლოვანი გვირგვინი“.

სტახის ბიოგრაფიის ავტორმა კრისტინა კოლინსკამ მათ საკმაოდ გრძელი ფრაგმენტი მიუძღვნა: “ამ თმებს... მუნკმა თავის ტილოებზე მას დამოუკიდებელი როლი მიუჩინა. უამრავ ტილოზე დავინახავთ “მოხეტიალე ვარსკვლავს“ მღელვარე ღრუბელში. ზოგჯერ დაგნის თმების ნაკადი ჩამოფენილი ფერმკრთალი სახის გასწვრივ, ნახევრადღია ქუთუთოებით, ერთ რიტმში ლივლივებს ზღვის ტალღებთან, ზოგჯერ სქელი ღრუბელი შემოხაზავდა მადონას შიშველ სილუეტს მგრძნობიარე ბაგეებით, რომელსაც შემზარავი დაკვირვებით აშტერდებოდა უჩვეულო დიდთავა ემბრიონი. სხვა ტილოზე, კვლავ ლიანასებური წნულით შემოხლართული დათრგუნული ჭაბუკი (ნახატს მან “ვამპირი“ დაარქვა), ხან ისევ გარსს ქმნიდა “სალომეაში“ მირთმეული თავისათვის - არა წმინდა იოანე ნათლისმცემლის, არამედ “სევდიანი სატანის“ - პშიბიშევისკის, რათა ამჯერად პლაკატზე, ედვარდ მუნკის გამოფენის რეკლამა კოპენჰაგენში, დაგნისა და სტანისლავის გამოსახულებით, დაცემული ტალღებით შეეფუთა ეს სახე ნვეტიანი წვერ-ულვაშით.

ზუსტად ისე, როგორც ეს მარკესთანაა, ფერებიც კი შესაფერისია: „საფლავის ქვა წერაქვის პირველსავე დარტყმაზე ავარდა და იქიდან თითქოს ცოცხალი, ინტენსიური სპილენძისფერი თმები გამოჩნდა. მუშების დახმარებით სამუშაოთა მწარმოებელი შეეცადა მთელი თმების გამოტანას, მაგრამ რაც უფრო ენეოდნენ, მით უფრო ემატებოდა, ვიდრე ბოლოს არ გამოჩნდა ბოლო კულული, რომელიც ქალიშვილის თავის ქალიდან წამოზრდილიყო“.

გარდა ამ თმებისა, დაგნასაგან ცოტა რამ თუ დარჩა, მხოლოდ ძვლები; ერთ კბილს შემორჩენილი ჰქონდა პლომბა, როგორც ჩანს, ადრე გაკეთებული, თბილისში იმ დროისთვის ალბათ, არავის არ შეეძლო კბილის დაპლომბვა - მაგრამ თმები საკმარისი აღმოჩნდა

საიმისოდ, რომ არკადი ჭოველიძეს წარმოედგინა, თუ როგორი საუცხოო სილამაზის ქალი უნდა ყოფილიყო მისი პატრონი. ბი-ჟუტერია - ბექედი, სამაჯური - ახალ კუბოში გადაიტანეს. ჯვრის გარდა, რომელიც დაგნის ოთხმოცდაშვიდი წლის განმავლობაში მუჭში ეჭირა („ვერცხლისა იყო, ნახევარ კილოგრამამდე იწონიდა“). არკადიმ ის ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრ კნუტ ვოლბეკს გადასცა. ეს უკანასკნელი მაშინ თბილისში იმყოფებოდა, როგორც ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OBWE - Organization for Security and Co-operation in Europe) წარმომადგენელი. ჯვარმა ნორვეგიის მუზეუმში დაიდო ბინა.

დაგნი ახალი კუკიის პანთეონში განისვენებს, სასაფლაოს შესასვლელთანვე. საფლავის ქვას წარწერები პოლონურად და ქართულად აქვს. ახალი სამარე ემეზობლება ჭოველიძის მეუღლის სამარეს, რომელიც ქალიშვილის გარდაცვალებიდან მალევე მიჰყვა მას (პოლიციის განცხადებით, ის სახლში შეჭრილი მძარცველების მსხვერპლი შეიქმნა).

როდესაც მესაფლავეები თავიანთ საქმეს მორჩნენ, ხოლო მუ-სიკოსმა დაკვრა შეწყვიტა, არკადიმ ერთგვარი შვება იგრძნო, თუმცა არა ისეთი, როგორსაც ადამიანი ტკივილის დაყუჩების შემდეგ გრძნობს ხოლმე. ეს იყო შვება, რომელიც ჩვენ გვეუფლება, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობა შედეგს იძლევა და უკვე ვიცით, რომ ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დაგნი და თამრიკო. მათ ასი წელიწადი აშორებთ, თუმცა ბევრი რამ აკავშირებთ: ორივე უდროოდ წავიდა იმქვეყნად. ორივე - სრულიად უდანაშაულო. ორივე თბილისში.

არკადიმ დაგნი ქალიშვილის გამო გადაასვენა და როგორც საკუთარი ქალიშვილი, ისე დაკრძალა. დაგნისთან ერთად უკანასკნელად დაემშვიდობა თამრიკოს, მასთან ერთად დამარხა მთელი ადრინდელი ბოღმა და სინდისის ქეჯნა. ნორვეგიელმა ქალმა, რომელიც სიცოცხლეში მსახიობი, მუზა და საყვარელი, ცოლი და დედა იყო, მკურნალის როლიც შეითავსა. სიკვდილის შემდეგ ვილაც ხომ უნდა ყოფილიყო. და ეს როლი მას ერგო.

## დასასრული

როგორც ჩანს, პოლონეთში გამოჩნდა ჩემი შრომის შედეგი, რის გამოც ამ ქვეყნის ხელისუფლებამ ორჯერ, 1997 წელსა და 2013 წელს „პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწის“ ორდენით დამაჯილდოვა.



გარდა ზემოთმოცხიანი წიგნებისა, ამჟამად გამოსაცემად მომზადებული მაქვს: რიშარდ კაპუშჩინსკის ოთხი წიგნი: 1. „რეპორტიორის ავტოპორტრეტი“, 2. „საფეხბურთო ომი“ და 3. „კიდე ერთი დღე“. 4. „აბანოსი“;

ჩვენთვის უკვე ნაცნობი ვოიცებ იაგიელსკის „ლოცვა წვიმი-სათვის“,

იაცკ ჰუგო-ბადენის „სამოთხის ველი“, ვოიცებ შაბლოვსკის „მკვლელი ქალაქ მორელიდან“, ანდრეი ბრჟეზინსკისა და მალგოჟატა ნოცუნის „სომხეთი - სიკვდილიდ ქარავანი“ და მროჟე-კის „ბალთაზარი“.

მოვამზადე ასევე ბიოგრაფიები: პოეტი-ნობელიანტი მილოშის, პოეტების: ზბიგნეჲ ჰერბერტის და გალჩინსკის. პროზაიკოსების: ნობელიანტი სენკევიჩისა და პრუსის.

ვფიქრობ, საინტერესოა მოკლედ გავეცნოთ ამ ჯერჯერობით გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს. დავინყოთ პოლონური ლიტერატურის ისეთი გრანდის ნაწარმოებების გახსენებით, როგორცაა რიშარდ კაპუშჩინსკი:

## **რიშარდ კაპუშჩინსკი „რეპორტიორის ავტობიოგრაფია“**


..სამყაროს მიმართ ცნობისმოყვარეობა ადამიანის ხასიათზეა დამოკიდებული. ისეთებიც არიან, რომელთაც სამყარო სრულიად არ აინტერესებთ. მათ საკუთარი „მე“ მიაჩნიათ მთელ სამყაროდ. ამასაც უნდა ვაფასებდეთ. კონფუციუსს აქვს ნათქვამი: სამყაროს უკეთ შევიცნობთ, თუ სახლიდან არ გამოვალთო. ამაში არის რაღაც ჭეშმარიტება. არ არის აუცილებელი გეოგრაფიულ სივრცეებში მოგზაურობა. შეიძლება საკუთარი სულის სიღრმეებში ვიმოგზაუროთ. მოგზაურობის განსაზღვრება ძალზე მრავალმხრივი და ფართოა.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც სამყაროს შეცნობა მთელი მისი სისავსით სწყურიათ - ეს მათი ბუნების ნაწილია. და ასეთი ხალხი ბევრი როდია.

მოგზაურობაცაა და მოგზაურობაც. ხალხის უმრავლესობა - და როგორც სტატისტიკა ამბობს, მისი თითქმის 95 პროცენტამდე - იმიტომ მიდის სადმე, რომ დაისვენოს. სურს დაისვენოს ზღვის პირას მდიდრულ სასტუმროში და გემრიელად ისადილოს. ხოლო ეს იქნება ფიჯის თუ კანარის კუნძულება, მათთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ახალგაზრდები ხშირად დადიან ექსკურსიებზე, მაგალითად, გადასერავენ აფრიკას ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, ანდა დუნაის გადაცურავენ. მათ არ აინტერესებთ გზაზე შეხვედრილი ადამიანები, მათი მიზანი საკუთარი თავის გამოცდა და სიძნელეების დაძლევაა. მათი ზოგიერთი მოგზაურობა სამსახურებრივი მიზნებითაა გამონეული ან იძულებითია: მაგალითად, თვითმფრინავის პილოტთა გადაადგილება ან დევნილთა ადგილმონაცვლეობაც გარკვეული მოგზაურობაა. ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რეპორტიორულ, ეთნოგრაფიულ, ანტროპოლოგიურ მოგზაურობასა აქვს, რომელთა მიზანიც სამყაროს, ისტორიის კარგად გაცნობა, იმ ცვლილებების შედარებით სრულ-



ყოფილი აღთქმაა, რომლებიც სამყაროში მიმდინარეობს. ეს მართალია, დიდ დაძაბვასა და გულისხმიერებას მოითხოვს, მაგრამ მათი წყალობით სამყაროსა და მასში მოქმედი სამართლის უკეთ გაცნობაა შესაძლებელი“.



## რიშარდ კაპუშჩინსკი „საფეხბურთო ომი“

ეს წიგნი ე.კაპუშჩინსკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.

ის ძირითადად მიძღვნილია რიშარდ კაპუშჩინსკის საყვარელი აფრიკისადმი, სადაც მან ოთხი ათეული წელი იცხოვრა და იმოგზაურა. მასში წავიკითხავთ ლათინური ამერიკის თაობაზეც, სადაც ავტორი ასევე დიდხანს იმყოფებოდა და მის მკვიდრთა ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს ეცნობოდა. სწორედ ლათინური ამერიკის ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობას ეხება წინამდებარე წიგნის ერთ-ერთი ფრაგმენტი, - „საფეხბურთო ომი“. მასში აღწერილია ჰონდურასსა და სალვადორს შორის ომის გენეზისი და პერიპეტიები. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ შორის ომი ფეხბურთის მატჩს მოჰყვა.

- წიგნის ეს ფრაგმენტი ლიტერატურულ ჟურნალ „არილში“ დაიბეჭდა 2014 წელს. ლათინური ამერიკისადმი მიძღვნილი წიგნის სხვა ადგილას მკითხველი გაცნობა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული და საქართველოში მეტად პოპულარული არგენტინელი რეჟოლუციონერის ჩე გევარას თანამებრძოლთა ბედს მათი ბელადის მოკვლის შემდეგ. „ჩვენ სამოცდათხუთმეტი ვიყავით, რვა გადავრჩით, ჯარმა ორმოცდათხუთმეტი დახვრიტა, თორმეტი მოკვდა, - მე გუელერმო ველისი ვარ“ - ამბობს ჩე გევარას რაზმის ყველაზე ბოლოს დარჩენილი მებრძოლი.

## რიმარდ კაპუშჩინსკი ცხოვრების კიდევ ერთი დღე

ანგოლის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ძალებს, - FNLA (ანგოლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი), MPLA (სახალხო მოძრაობა ანგოლის განთავისუფლებისათვის) და UNITA (ეროვნული კავშირი ანგოლის სრული დამოუკიდებლობისათვის) შორის სამკვდრო-სასიცოცხლო სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ბრძოლები რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გრძელდებოდა (თითქმის 2002 წლამდე). მან უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ბევრმაც საცხოვრებელი დაკარგა და ლტოლვილად იქცა.

ზემოთ აღნიშნულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ძალებმა ქვეყნის გარკვეული ტერიტორიები დაიკავეს და გავლენისა და ახალი ტერიტორიის მოსაპოვებლად ერთმანეთთან ბრძოლა დაიწყეს.

1961 წელს ჰოლდენ რობერტოს მეთაურობით იწყება ანტიპორტუგალიური გამოსვლები. აჯანყებულთა შტაბ-ბინა კონგოში, კინშასაში მდებარეობდა, აქვე, დევნილობაში ჩამოყალიბდა ანგოლის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა რობერტოს ხელმძღვანელობით. ომი ანგოლის დამოუკიდებლობისათვის გაგრძელდა 14 წელიწადი. ამავდროულად მიმდინარეობდა დაპირისპირება MPLA-სა და FNLA-ს შორის.

1966 წელს მოხდა UNITA-ს პირველი შეიარაღებული გამოსვლა. მას ხელმძღვანელობდა ჟონას სავიმბი, ოვიმბუნდუს ხალხის წარმომადგენელი და ჰ. რობერტოს ყოფილი მომხრე.

1974 წლის მიხაკების რევოლუცია პორტუგალიაში კოლონიებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. ახალმა ხელისუფლებამ ყველა დაპყრობილ ქვეყანას დამოუკიდებლობა მიანიჭა. ანგოლამ დამოუკიდებლობა 1975 წლის 11 ნოემბერს გამოაცხადა. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი გახდა აგოსტინიო ნეტო.

დამოუკიდებლობამ ანგოლაში მშვიდობა ვერ მოიტანა. დაიწყო სამოქალაქო ომი პროსაბჭოურ MPLA-სა და პროდასავლურ UNITA-ს და FNLA-ს შორის (როგორც იტყვიან: აქლემები ჩხუბობდნენ და კოზაკი იჭყლიტებოდაო). 1979 წელს გარდაიცვალა პრეზიდენტი ა. ნეტო და ქვეყნის სათავეში მოდის MPLA-ს ახალი ლიდერი ჟოზე ედუარდო სანტუში. 2002 წელს ჟონას სავიმბი, უნიტას


ლიდერი, სამთავრობო ძალებთან შეტაკების შედეგად დაიღუპა. უნიტას ახალმა ლიდერებმა სამოქალაქო ომის მშვიდობიანად დასრულების გადაწყვეტილება მიიღეს.

2012 წლის არჩევნებში ანგოლის პარლამენტში ადგილების უმრავლესობა კვლავ MPLA-მ მოიპოვა და პრეზიდენტ სანტუმს უფლებამოსილება ავტომატურად გაუგრძელდა.

ავტორის აზრით, „ცხოვრების კიდევ ერთი დღე“ ეგზისტენციალური ხასიათის ნაწარმოებია. ის მისი სხვა წიგნებისაგან სრულიად განსხვავდება. მასში სხვადასხვა გარემოებებში აღმოჩენილი ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობაა აღწერილი, ამ გარემოს ალთქმის, გაგების სიძნელე. მრავალი ჟურნალისტი კი ისე იქცევა, თითქოს ეს ყველაფერი ცნობილი და ნათელი იყოს მისთვის.

„ცხოვრების კიდევ ერთი დღის“ ერთ-ერთ რეცენზიაში კრიტიკოსმა დაწერა, ავტორი არ ამბობს, თუ როგორი იყო იქ საზოგადოებრივი მოძრაობა და მხოლოდ იმას გვამცნობს, რომ ამ ყოველივეს წინაშე თავს დაბნეულად ვგრძნობო.

ამაზე კაპუშჩინსკიმ ასე უპასუხა: „სწორედაც რომ ამის გამო დავწერე ეს წიგნი. რეპორტიორები კი ვაგზავნით ტელეგრაფებსა და სტატიებს, მაგრამ მათ იქით რჩება მოვლენების გარკვეული ასპექტები, რომელთა გადმოცემაც მათში არ ძალგვიძს: მომაკვდავი ქალაქის განწყობილება და ატმოსფერო, რაც სტატისტიკის საგანი არაა, მისი შეტანა შეუძლებელია ჩვეულებრივ მოხსენებით წერილში. არადა, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. ეს წიგნი მოგვითხრობს ქვეყანაზე, რომელშიც კაცი ვერ გეტყვის, თუ რა იქნება ხვალ, ერთი კვირის, ერთი თვის შემდეგ, ვინ მოვა ხელისუფლების სათავეში, ვინ ვის წინააღმდეგ დაიწყებს ბრძოლას. გაურკვეველობა - აი, ის ყველაფერი, რაც იქაა გამეფებული და რითიც სუნთქავს ის სამყარო“.



## რიშარდ კაპუშჩინსკი აბანოზი

პოლონური რეპორტიორული ჟურნალისტიკის ლეგენდის, მთელ მსოფლიოში ცნობილი მწერლის რიშარდ კაპუშჩინსკის წინამდებარე ნაწარმოები ერთ-ერთი გამო-

რჩეული წიგნია არა მხოლოდ მის შემოქმედებაში და არა მხოლოდ პოლონურ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში. წიგნში ასახული დრო ერთგვარად გარდამტეხია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, დრო, როდესაც ხდება რევოლუციები, ადგილი აქვს გამარჯვებებსა და დამარცხებებს, რასობრივ ანტაგონიზმს, შიმშილობას, ეპიდემიებს, სილატაკესა და კორუფციას. და ამის პარალელურად და ამის მიუხედავად, ადამიანებს ცხოვრების უდიდესი, წარმოუდგენელი წყურვილი ახასიათებთ.

წიგნში ზუსტად ისეთი აფრიკაა მხატვრულად აღწერილი, როგორც ადამიანს წარმოუდგენია - თვალუწვდენელი ოქროს სავანე, ბუნებისა და ნადირთა მეფე ლომები, მათი მეტოქე ვეფხვები, თავანუელი ჟირაფები და უშველებელი სპილოები. და მათთან ერთად შიმშილისაგან გაძვალტყავებული ბავშვები, თავზე სინნამოდგმული ნახევრად შიშველი ლამაზი ქალები, რომელთაც ლითონის ყელსაბამები ამშვენებთ, სადაც საოცრად ლამაზი ბუნება ასევე საოცარ, ენით გამოუხატავ სილატაკეს ემეზობლება. არ შემცდარხართ, ესაა აფრიკა და ესაა ამ წიგნში ლამაზად აღწერილი. ის დაგეხმარებათ შეიმეცნოთ ეს შორეული და იდუმალი, მაგიით, სიყვარულითა და სიკვდილით გაჟღენთილი კონტინენტი, რომელიც ჯერ კიდევ უცნობია დანარჩენი მსოფლიოსათვის.

წაწარმოები გამოჩენილი პოლონელის მწერლის (კარგად თქვა ერთმა კრიტიკოსმა მასზე: აფრიკაში რეპორტიორად წავიდა და იქიდან მწერლად დაგვიბრუნდაო), რეპორტიორის, ჟურნალისტის, ორგზის ნობელის პრემიაზე წარდგენილი რიშარდ კაპუშცინსკის (1929-2007) აფრიკაში ცხოვრებისა და მოგზაურობის ამსახველი, სიუჟეტურად და ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანაწერების ერთგვარ კრებულს წარმოადგენს. იგი პოლონურად 1998 წელს გამოიცა. თუმცა მისი დაბეჭდვიდან დიდი დრო არაა გასული, ის მრავალ ენაზეა თარგმნილ-გამოცემული და ზოგიერთ მათგანზე - მრავალჯერ. მაგალითად, ინგლისურად გამოიცა ოთხჯერ, ჩინურად და იტალიურად ორჯერ და ა. შ. წიგნი ასევე საერთაშორისო ენა - ესპერანტოზეცაა ნათარგმნი.

წაწარმოებში განსაკუთრებით კარგადაა აღწერილი ეთიოპიაში, ტანზანიაში, განაში, ზანზიბარში, ნიგერში, ნიგერისა და აფრიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მიმდინარე ცხარე და დრამატული პოლიტიკური მოვლენები, აფრიკელთა მძიმე და უიმედო ყოფა-ცხო-

ვრება, კონტინენტის საოცარი ფაუნა და ფლორა. მწერალი „შავ კონტინენტზე“ მაშინ ცხოვრობდა, თითქმის ორმოც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, როდესაც აფრიკაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობები და პოლიტიკური გადატრიალებები ბობოქრობდა.

ნაწარმოებში, რომელიც ავტორის ერთგვარი დღიურიცაა, რეპორტაჟი გადადის მოთხრობის, ნოველის ჟანრში, რაც მას ფრიად საინტერესოს ხდის. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ინგლისურ თარგმანში მას სწორედ ასე ეწოდება: *The shadow of the sun. My African life* (მზის ჩრდილი. ჩემი აფრიკული ცხოვრება). წიგნში ბევრი პარალელია გავლებული ევროპელისა და აფრიკელის ცხოვრებას შორის. თუ რა კარგად ჰქონდა კაპუშჩინსკის აფრიკა შესწავლილი, ამას შემდეგი ფაქტიც მოწმობს: ამ ბოლო დროს ევროსაბჭოს თავმჯდომარემ, ხოზე ბაროზომ პოლონეთში სტუმრობისას ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე „შავ“ კონტინენტზე დასმული კითხვის პასუხად ნახევრად ხუმრობით განაცხადა, კაპუშჩინსკი ხომ არა ვარ, აფრიკაზე მაგდენი რამ ვიცოდეო.

ახლა ორიოდ სიტყვა თავად ნაწარმოების სათაურის თაობაზე.

აბანოზისებრნი სხვადასხვა სახის ძვირფასი ხეა, რომელიც ძირითადად ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში იზრდება. ცნობილია მისი 325 სახეობა. ის მუქი ან შავი ფერის, ძალზე მკვრივი ხეა, რომელიც მუსიკალური ინსტრუმენტების, მხატვრული ავეჯის დამზადებისას, ასევე სკულპტურაში და სხვ. მასალად, გამოიყენება.

სიტყვა „აბანოზს“ ხის ფერს, მისი მოჭრის ქვეყანას ან ექსპორტირების ნავსადგურს უკავშირებენ ხოლმე და ისე წარმოთქვამენ. მაგალითად, შავი აბანოზი, მწვანე აბანოზი, ბომბეის აბანოზი, ცვილონის აბანოზი, მადაგასკარის აბანოზი და ა. შ. აბანოზს შეიძლება შესაბამისად დამუშავებული მუხის ან მსხლის ხე-მასალაც მიაგვანონ.

ამ ტროპიკულ ხე-მასალაზე დიდმა მოთხოვნილებამ მისი არსებობა დიდი საფრთხის წინაშე დააყენა. ამიტომ 1994 წელს ბუნების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის „წითელ წიგნში“ შეიტანა.



## ვოიცეხ იაგელსკის ლოცვა წვიმისათვის

„ძვირფასო მკითხველო, ახლა თქვენ ხელში დაიჭირეთ და გადაშაღეთ, მერწმუნეთ, ძალიან საინტერესო წიგნი, ძალიან ამაღელვებელი წიგნი, ძალიან დამაფიქრებელი წიგნი. მას „ლოცვა წვიმისათვის“ უწოდა ავტორმა, ცნობილმა პოლონელმა ჟურნალისტმა და პროზაიკოსმა ვოიცეხ იაგელსკიმ.

არა, ეს წიგნი არც ამინდის პროგნოზზეა, არც ჰიდრომეტეოროლოგიაზე, არც რელიგიური თუ ეთნოლოგიური კვლევაა.

ეს წიგნი ავლანეთზეა, მისი უახლესი ისტორიის უმძიმეს ნლებზე.


რა ვიცი ამ ქვეყანაზე, რომელიც ირანს, თურქმენეთს, უზბეკეთს, ტაჯიკეთს, პაკისტანს, ინდოეთსა და ჩინეთს შორისაა მოქცეული? ბევრი არაფერი. ძირითადად, მხოლოდ: ომი, ნარკოტიკი, ტერორიზმი, თალიბანი, ალ-კაედა... მხოლოდ ნეგატივი.

არადა, ჩვენი ისტორიაც რომ დაკავშირებულია ამ ქვეყანასთან, ამ ხალხთან. გიორგი სააკაძის ბრძოლა, ირანის ლაშქრის შემადგენლობაში, ყანდაარისათვის; ამბობენ, ქართველთა შთამომავლებიც ცხოვრობენ მანდ. უნდა ვთქვათ, რომ ავლანები დიდ პატივს სცემენ ქართველებს და არცთუ უმიზეზოდ. დაახლოებით, სამოცი წლის მანძილზე ამ მხარეს ქართველი ბეგლარბეგები მართავდნენ, რომელთა შორის ქართლის ორი მეფე გიორგი XI და ქაიხოსროც იყო. სამწუხაროდ, ორივე მანდ აღესრულა. აქაც გვყავდნენ ავლანი მეციხოვნეები...“.

ეს წიგნის რედაქტორის, ისტორიკოსი, პროფ. კახა კვაშილავას სარედაქციო წერილიდანაა... და კიდევ ერთი ამონარიდი ამავე წერილიდან: „და ბოლოსკენ: მადლობა მთარგმნელს, ბატონ ამბროსის, რომელმაც იტვირთა ესოდენ რთული შრომა და ეს შესანიშნავი წიგნი აჩუქა ქართველს მკითხველს. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ, სხვათა შორის, ჩვენი მთარგმნელის გვარი, სავარაუდოდ, ავლანეთში არსებულ ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტთან – გირიშკთან – უნდა იყოს დაკავშირებული. იგი ყანდაარის დასავლეთით მდებარეობს. ცნობილმა ქართველმა ისტო-

რიკოსმა, პროფესორმა ნიკო ჯავახიშვილმა გვაცნობა, რომ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი ჯავახიშვილს (1941-2015) სოფელ კურდღელაურში (თელავის რაიონი) მცხოვრები გრიშკაშვილისაგან საგვარეულო გადმოცემა ჩაუნერია: „ჩვენი გვარი სათავეს იღებს მეომრისაგან, რომელიც თან ახლდა ავღანეთში მებრძოლ მეფეს გიორგი XI-ს. ჩვენს წინაპარს თავი გამოიჩინია გირიშკის ალებისას, რის გამოც მისთვის მეტსახელად ამ ავღანური ქალაქის სახელი დაურქმევიათ. ამ მეტსახელით მას სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც იხსენიებდნენ, რაც მის შვილებს გაგვარებიათ. თავდაპირველად ისინი იწოდებოდნენ გირიშკაშვილებად, რომელიც მოგვიანებით გადაქცეულა - გრიშკაშვილად“.

თქვენთვის კი, ძვირფასო მკითხველო, მოვიშველიებ ბატონ გურამ დოჩანაშვილის უკვე, ლამის, აფორიზმად ქცეულ გამოთქმას: „...ბედნიერი კაცი ყოფილხართ, ბედნიერი... ისეთი დიდი სიამოვნება გელით... პირველად ნაკითხვის“ („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“).



## ამბროსი გრიშკაშვილი მილოში

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, გამოსაცემად მომზადებული მაქვს პოეტების: ჩესლავ მილოშის, ზბიგნეჲ ჰერბერტის და კონსტანტი ილდეფონეს გალჩინსკის ბიოგრაფიები.

მილოშის ბიოგრაფიის წერისას ძალიან დიდი დახმარება გამინია ანდრეი ფრანაშკის თითქმის 1000გვერდიანმა ნაშრომმა „მილოში“. ავტორი ამ წიგნს 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში წერდა, მასალების მოსაძიებლად მუშაობდა რამდენიმე ქვეყნის არქივსა და მუზეუმში. ვფიქრობ, წიგნი საინტერესო გამოვიდა.

აი, მილოშის ბიოგრაფიის მოკლე შესავალი:

ნაწარმოები ეხება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარის უდიდეს პოლონელ პოეტს, მწერალსა და მთარგმნელს, უამრავი ჯილდოსა და პრემიის, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატს, ჩესლავ

მილოში. ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნის აზრით, მილოში პოლონეთისათვის მეორე ადამ მიცკევიჩია.

მილოში თავის ნაწარმოებებს მშობლიური ენის გარდა, წერდა ფრანგულად და ინგლისურად. წერდა ამ სამ ენაზე, თორემ გაცილებით მეტი ენა იცოდა. მისი ბიოგრაფიაც პოლონურ, ინგლისურ თუ სხვა ენებზე დაწერილ უამრავი წიგნს მოიცავს. ამასთან, მისი ზოგიერთი ბიოგრაფია, მაგალითად, მისი ბიოგრაფის, ანჟეი ფრანაშეკის, წიგნი, თითქმის 1000 გვერდს აღწევს. ჩვენ შევეცადეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროების გამოყენებით პოეტის მოკლე ბიოგრაფია გაგვეცნო ქართველი მკითხველისათვის.

უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული კაცი იყო. როცა მის ცხოვრებას ადევნებ თვალს, ხედავ, რომ თითქმის არა ყოფილა პერიოდი მის ცხოვრებაში, როდესაც თავი ბედნიერად ეგრძნო. ახალგაზრდობაში ომიანობა, მისი მშობლიური ლიტვის ხან გერმანული და ხან რუსული ოკუპაცია, შემდეგ მისთვის აუტანელი საბჭოთა რეჟიმი და უცხოეთში გაქცევა, ახალ საცხოვრებელ ადგილას დამკვიდრების სიძნელეები, მეუღლისა და ვაჟიშვილის განუკურნებელი ავადობა და გარდაცვალება და ბოლოს, თავად მისი ასაკობრივი დაუძლურება.

1911 წლის გაზაფხულზე, ქმართან ორი წლის ბედნიერი ოჯახური ცხოვრების შემდეგ, ვერონიკა მილოში რიგიდან ლიტვაში, შეტეინში, მდინარე ნევიასას ნაპირას, თავის მამა-პაპურ მამულში დაბრუნდა. მცირე ხნის შემდეგ, 30 ივნისს, მას ვაჟიშვილი შეეძინა. ბავშვი მონათლეს და სახელად ჩესლავი დაარქვეს.

თავისი სახელის შერჩევის თაობაზე მილოში შემდეგს წერს: „ბატონი ჩესლავ ნეკრაში (პირველი დიდი ომის შემდეგ თავი მოიკლა... ტყვია დაიხალა) თავის დროზე დედაჩემზე იყო შეყვარებული, ამიტომ დამარქვეს ეს სახელი“.

„დავიბადე ლიტვის გულისგულში, რის გამოც მე უფრო მეტი უფლება მქონდა მეთქვა „ლიტვავ! სამშობლოვ ჩემო, შენ ხარ ჩემი სიცოცხლე“, ვიდრე მიცკევიჩს“ - დაწერს მოგვიანებით მილოში.

ლიტვაში, ვილნიუსში თავისი დაბადების შესახებ მილოში სანობელო სიტყვაშიც, პრემიის მიღების ტრადიციულ ცერემონიაზე, 1980 წელს, იტყვის:

„რამხელა ბედნიერებაა დაიბადო პატარა ქვეყანაში, სადაც ბუნება არ თრგუნავს ადამიანს, სადაც საუკუნეების განმავლო-



ბაში გვერდი-გვერდ ცხოვრობენ სხვადასხვა ენები და რელიგიები! ვგულისხმობ ლიტვას, პოეზიისა და მითების ქვეყანას. ჩემი წინაპრები უკვე XVII საუკუნიდან ლაპარაკობდნენ პოლონურად, ისევე, როგორც ბევრი ოჯახი ლაპარაკობს ფინეთში შვედურად, ირლანდიაში – ინგლისურად და ამიტომ პოლონელი პოეტი ვარ და არა ლიტველი, თუმცა ლიტვის პეიზაჟი და სული სამარადისოდ ჩარჩა ჩემში. რამხელა ბედნიერებაა ბავშვობიდანვე გესმოდეს ლიტურგია ლათინურად, სკოლაშივე თარგმნიდე ოვიდიუსს, სწავლობდე კათოლიკურ დოგმატიკასა და აპოლოგეტიკას. ჭეშმარიტად ბედის წყალობაა სწავლობდე ისეთ ქალაქში, როგორიც ვილნოა!“.

## ამბროსი გრიშკაშვილი კონსტანტინე ილდეფონს გალჩინსკი

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი ზბ. ჰერბერტზე, ამიტომ აქ მასზე უკვე აღარ შევჩერდებით. ახლა გვსურს თავისი დროის ფრიად პოპულარული პოეტი, ქართველების სიძე კონსტანტინე ილდეფონს გალჩინსკი გავაცნოთ მკითხველს.



### სიყვარულით ქორწინება

კ. გალჩინსკიმ 1930 წელს იქორწინა ქართველი ემიგრანტის, თავად კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ავალიშვილის ასულ ნატალიაზე (Natalie Awalów). ოჯახი თავდაპირველად ბერლინში (1931-33 წწ.), ხოლო შემდეგ ვილნიუსში (1934-36 წწ.) ცხოვრობდა. ამ ქალაქში მათ გაუჩნდათ ქალიშვილი - კირა.

საბჭოთა კავშირის პოლონეთში შეჭრისას გალჩინსკი ჯერ საბჭოთა, ხოლო შემდეგ გერმანელთა ტყვეობაში ვარდება და ვიდრე 1946 წელს პოლონეთში დაბრუნდება, რამდენიმე საკონცენტრაციო ბანაკის გამოცვლა მოეწვეს.

გალჩინსკი: „რომ არა სიყვარული, ჩვენი ცოლ-ქმრობა არ შედგებოდა“.

1928 წლის ბოლოს ვარშავის ერთ-ერთ გაზეთში მატრიმონიალური ანონიმური განცხადება დაიბეჭდა. მასში გამოცხადებული საკონკურსო პირობებიდან ირკვეოდა, რომ ტალანტიან ლიტერატორს, პუბლიცისტს, პოეტს, 22 წლის, კარგადანაგსა და ინტელიგენტურს, კონკურსის ჯილდოს მფლობელს, მკითხველთა ფართო წრისათვის ცნობილს, ოჯახის შექმნის მიზნით, სურს გაიცნოს კარგი გარეგნობის ინტელიგენტური, მხიარული, თუნდაც ონავრული ხასიათის ქალბატონი, რომელიც ქმარს ლიტერატურული საქმიანობის საშუალებას მისცემდა, მისი მუზა იქნებოდა, დიდად არ შეანუხებდა მატერიალური პრობლემებით, შთააგონებდა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, გაუმხიარულებდა, ზღაპრად უქცევდა ცხოვრებას.

გალჩინსკის მეგობართა გასაკვირად, 1929 წლის გაზაფხულს მართლაც გამოჩნდა კანდიდატი, რომელიც პოეტის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. აქამდე გალჩინსკი ქალიშვილებში სიარულს არ იკლებდა, მაგრამ ამას არა ჰქონია სერიოზული ხასიათი. ეს მოკლევადიანი რომანები იყო. მაგალითად, მეგობრები იხსენებენ ჰანა ბ.-ს, რომელიც მათ სრულიადაც არ მოსწონდათ. განსაკუთრებით იმის გამო, რომ უხასიათო, ნერვიული იყო და ეჭვიანობის გამო ხშირად ერხუბებოდა გალჩინსკის. იყვნენ სხვებიც. მაგალითად, მარია ვეპჰო. როგორც მეგობრები იხსენებენ, ის მართალია გალჩინსკის მეგობრებს ძალიან შეუყვარდათ, მაგრამ კონსტანტინესათვის გარეგნულად შეუფერებელი იყო, უფრო თავისი სიმალლის გამო. იყვნენ სხვებიც. თუმცა, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე უფრო სერიოზულად გამოიყურებოდა. მას განსაკუთრებით ეგზოტიკურ ელფერს ის გარემოება სძენდა, რომ ქალბატონი კანდიდატი ქართველი თავადის ასული გახლდათ.

ნატალიას გაცნობის შემდეგ, როგორც პოეტის მეგობრები იხსენებენ, გალჩინსკი ერთი კვირა აღარავის უნახავს, „გაუჩინა-

რდა“. ბოლოს გამოჩნდა, მაგრამ სრულიად შეცვლილი, მხიარული, ოპტიმისტური.

ისინი იმასაც იხსენებენ, რომ ნატალია ულამაზესი ქალი იყო, ნამდვილი ეგზოტიკური მადონა, მოხდენილად ჩაცმული. მისი ნახვის შემდეგ, წერს მარია სალინსკი, რომელსაც ერთი პერიოდი გალჩინსკი უყვარდა, ყველაფერი ვაპატიე კონსტანტინეს; ისიც, რომ გვლალატობდა, რადგან გარდა სილამაზისა, ჩანდა, რომ ეს ქალი მისი ხასიათის შესაფერისი იყო.

მართლაც, სკოლის წლების დროინდელი ნატალიას ფოტოებიდან შემოგვცქერის ლამაზი და ცქრიალა ქალიშვილი, დიდი, მშვიდი, კეთილი თვალებით.

ნატალიას უჩვეულო სილამაზის თაობაზე წერენ პოეტის სხვა ნაცნობი ქალებიც. მაგალითად, გალჩინსკის მეგობარი ქალი, საბინა სებილოვა: „ნატალია უმშვენიერესია. ის მამაკაცების ოცნების საგანია. საოცრად უშუალო ხასიათი აქვს და მეტად უბრალოა ურთიერთობაში. მისი საუბარი ჩიტის ღულუნსა ჰგავს. მის შესახებ კონსტანტინე ხშირად ასე ამბობდა: Krasna holka (ჩეხურად, ლამაზი გოგო).

ნატალიას სიმშვენიერეს დრომაც ვერაფერი დააკლო. ცნობილ პოლონელ პოეტს, იან კოტს თუ ვერწმუნებით, ნატალია „ბოშურად ან კავკასიურად მშვენიერი იყო“. თუმცა ასაკში შესული ნატალია უფრო დასერიოზულდა, დაკარგა ძველებური სიმხიარულე, ჩაიკეტა თავისთავში, უცხო გახდა.

1929 წლის მაისში, როდესაც ნატალია პოეტს გააცნეს, ეს უკანასკნელი ნაცვლად ფორმალური გამომცნაურებისა, იმით დაინტერესდა, თუ კავკასიაში რა ხდებოდა. როგორც ჩანს, გალჩინსკის ბოლო ხანს მიღებული ინფორმაციის დაზუსტება სურდა.

ნატალიამ თავის წინაპრების სამშობლოს მხოლოდ თანამემამულეთა მონაყოლით იცნობდა. მისი სრული ქართული გვარი „ავალიშვილი“ იყო. მამამისი, კონსტანტინე, დრაგუნთა პოლკში ოფიცრად მსახურობდა. როგორც ჩანს, პოლონეთში, მან ერთ-ერთ ვახშამზე ვერა სნაქსარევა გაიცნო და 1904 წელს იქორწინა კიდეც მასზე. ახალი ოჯახი ქალის მამულში დასახლდა. იქ 1905 წელს მათ გაუჩნდათ ვაჟი, ნიკოლოზი, ხოლო სამი წლის შემდეგ კი - ნატალია.

როგორც ჩანს, ნატალიას ქართული წარმომავლობა საყოველთაოდ ცნობილი იყო, რადგან 1946 წელს ცნობილი მწერალი კაზიმეჟ ვიკა წერდა მილოშს: იქ (საქართველოს გულისხმობდა) ყოველი მწყემსი თავადიაო (საინტერესოა, ვიკას ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ ხომ არ ჰქონდა გაგებულება, რომელიც მწყემსიც იყო, ცხოვრების ერთი პერიოდი და თავადიც).

გალჩინსკი ხშირად ჰპირდებოდა ხოლმე ნატალიას: „შენს შესახებ დავწერ, რომ კავკასიიდან გრძელი ფანტასტიური გზა შავი ცხენით გამოიარე, რადგან იცოდი, რომ პოლონეთში მე გელოდებოდი და დაგხვდებოდი“.

გალჩინსკის ლექსებში ნატალია აღმოსავლური სტიქიის განსახიერებად იქცა. ნამდვილად ცოლზე ფიქრობდა, როდესაც 1934 წელს რუსეთის იდილიური სახე დახატა, სადაც ციყვები დედოფლები არიან, ხოლო დათვები - მეფეები.

ერთხელ, როდესაც გალჩინსკი ნატალიას ძალზე დაკვირვებით უცქერდა, ქალმა გაკვირვება ვერ დამალა, რაზედაც პოეტმა უთხრა: „მინდა სამუდამოდ დავიმახსოვრო შენი ლამაზი, პატარა სახე, ასეთი ფართო თვალები და ემალივით თეთრ-ცისფერი სახის კანი“. გასაკვირი არაა, თუ რა დიდი შთაბეჭდილების ქვეშ იქნებოდა ნატალია კონსტანტინესთან ასეთი ურთიერთობის გამო.

გაცნობიდან რამდენიმე დღის შემდეგ გალჩინსკიმ ნატალია ვარშავის ქუჩებში სახეტილოდ წაიყვანა; „მახსოვს, სიმღერას მიმღეროდა მანდარინზე და შემყავებული რძე დავლიეთ თეატრალურ მოედანზე. საღამომ პონიატოვსკის ხიდზე მოგვისწრო. ვისლას ნაპირას გაზის ნათურების შუქზე დავდიოდით. საკუთარი ლექსის ნაკითხვა ვთხოვე, იმის, რომელიც მას ყველაზე მეტად უყვარდა. „თაღლითების ქუჩა“ წამიკითხა“.


კონსტანტინემ შეყვარებული თავის პოეტურ სამყაროში შეიყვანა: ახალ ნაწარმოებებს უკითხავდა და რჩევას თხოვდა. აღსანიშნავია, ნატალიამ თავისი ქმრის თითქმის ყველა ლექსი ზეპირად იცოდა, ხოლო როდესაც კონსტანტინე ავადმყოფობდა, ის ქმრის მაგიერ გამომცემლობებში დადიოდა და წიგნების გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებს აგვარებდა.

შეუღლების პირველსავე დღეებში გალჩინსკი შეჰპირდა ცოლს, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მასზე ლექსების წერას არ შეწყვეტდა. პოეტს მართლაც არ დაურღვევია პირობა და უამრავი

ლექსი აქვს. ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები, რომელიც გალჩინსკიმ მეუღლეს მიუძღვნა, კუფერლინი (Küferlin) იყო.

კონსტანტინე გალჩინსკი ხშირად ისხენებდა მათი ცოლ-ქმრული კავშირის სიმყარეს: „რა საოცრად სწრაფად გაირბინა ამდენმა დრომ... ნატალია, მე შენ მთელი ეს წლები მიყვარდი... რამდენი გზა გაგვივლია ერთად“.

კონსტანტინე ილდეფონს გალჩინსკი გარდაიცვალა მესამე ინფრაქტის შედეგად 1953 წლის 6 დეკემბერს, ვარშავაში.



## პეტრე ბორავსკი, თომას ბორავსკი 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი.  
გენეზისი - ისტორია - ეპილოგი.

წინამდებარე წიგნი ვარშავაში 2020 წელს გამოიცა. მისი ავტორები არიან მამა-შვილი პეტრე და თომას ბორავსკები. პეტრე ბორავსკი (დაბ. 1951 წ.) თბილისში პირველად 1992 ჩამოვიდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკოსებთან ერთად. მალევე მან თბილისში დააფუძნა პოლონეთის საელჩო და 4 წელიწადი მასში charge D'affaire-ად მუშაობდა. პარალელურად, პროფესიით ისტორიკოსმა შეძლო საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა და ამ თემაზე მრავალი წერილიც დაბეჭდა პოლონურ პრესაში (ზოგიერთი ქართულშიც, ჩემს მიერ ნათარგმნი). კერძოდ, საქართველოს შესახებ მისი წერილებიდან აღსანიშნავია: 1. „მაჰმადიანი მესხები - კავკასიის ეთნიკური პრობლემა“. წერილი დაიბეჭდა პოლონურ ჟურნალ „პოლონურ ეთნოგრაფიაში“; 2. „საქართველო 1917-1921 წლებში“, დაიბეჭდა ჟურნალ „ეპოქის“ 1998 წლის ნუმერში; 3. „აჭარა - რეგიონალიზმი თუ სეპარატიზმი“, დაიბეჭდა პოლონურ ჟურნალ „პოლიტიკური პრობლემები“, 2002 წლის დეკემბრის ნუმერში, 4. „ხევსურების რელიგიური რწმენა“ - პოლონური ჟურნალი „პოლონურ ეთნოგრაფია“, „რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში“ და ა.შ.

თომაშ ბორავსკი (დაბ.1987 წ.) პროფესიით ისტორიკოსი და სამართალმცოდნეა. მისი ნერილები საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ რამდენიმე პოლონურ ჟურნალში დაიბეჭდა.

რაც შეეხება წინამდებარე ნიგნს, მასში წარმოდგენილია შემდეგი თავები:

შესავალი - 3

I. აფხაზეთი უძველეს დროსა და შუა საუკუნეებში - 23

II. აფხაზეთი რუსეთის უღელქვეშ - 47

III. აფხაზეთი სსრკ-ში - 70

IV. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დროს - 101

V. საქართველოს დამოუკიდებლობის ბოხოქარი პერიოდი - 123

VI. შეიარაღებული კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის 1992-93 წლებში /- 153

VII. აფხაზეთი 1994-2008 წლებში - 231

VIII. აფხაზეთის ფრონტი 2008 წლის საქართველო-რუსეთს შორის ომში - 255

IX. აფხაზეთი 2008 წლის საქართველო-რუსეთს შორის ომის შემდეგ /- 264

დასასრული. აფხაზეთის დამოუკიდებლობის პერსპექტივები - 272

წინამდებარე წიგნი, როგორც ავტორები აცხადებენ, პირველი ცდაა პოლონურ ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლები სიზუსტითა, ობიექტურობითა და სრულყოფით წარმოჩინდეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, მისი გენეზისი და მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები. ავტორების აზრით, აფხაზეთის კონფლიქტი ყველაზე ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უყურებს მოსკოვი საქართველოს. როგორც მეფის რუსეთისათვის, ისე საბჭოთა ლიდერებისათვის, ქართული ეთნოსი, თავისი მაღალი ინტელექტით და თავისუფლების სიყვარულით, ბევრი პრობლემის შემქმნელი იყო. საფრთხეს უქმნიდა და აფერხებდა მის იმპერიულ მისწრაფებებს. ამიტომ იყო, რომ კრემლი ათასგვარ მეთოდებსა და ხრიკებს იგონებდა ქართველთა დასასუსტებლად, დასაკნინებლად, მათი რაოდენობის შესამცირებლად. ის ისტორიულ ქართულ მიწებზე ასახლებდა სომხებს, რუსებს, ოსებსა და აზერებს. იმავდროულად საქართველოდან (მესხეთიდან, აჭარიდან) გაჰყავდა მუსლიმანი ქართველები; რუსები ქართველების წინააღმდეგ იყენებდნენ ასევე აფხაზებს. მათი ხელშეწყობით აფხაზებმა აფხაზეთში ისეთი ვითარება შექმნეს, რომ ქართველებს აქ თავი მეორე კატეგორიის ხალხად მიაჩნდა.

შესავალ ნაწილში ავტორები სამართლიანად აკრიტიკებენ იმ ექსპერტებსა და პოლიტოლოგებს, რომლებიც აფხაზეთში ომის გამომწვევ ძირითად მიზეზად რელიგიურ მოტივებს ასახელებენ. ისინი თავიანთი დებულების დასამტკიცებლად იშველიებენ ცნობილი ამერიკელი მეცნიერის სამუელ ჰანტინგტონის პოპულარულ თეორიას ცივილიზაციათა დაპირისპირებისა და ბრძოლის შესახებ. მათი აზრით, აფხაზეთში ქართველებსა და აფხაზებს შორის დაპირისპირება წარმოშვა აფხაზების მუსლიმანობამ და ქართველების ქრისტიანობამ (მართლმადიდებლობამ). სინამდვილეში, როგორც ავტორები წერენ, თანამედროვე აფხაზეთში მუსლიმანობას მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს. მოსახლეობა ძირითადად, უძველეს წარმართულ წეს-ჩვეულებებს მისდევს, ოღონდ თავი ქრისტიანობის მიმდევრებად მოაქვს. აფხაზეთში მუსლიმანთა რაოდენობა განსაკუთრებით მას შემდეგ შემცირდა, რაც ათასობით მუსლიმანი აფხაზი მეცხრამეტე საუკუნეში, რუსების მიერ დევნის გამო, ოსმალეთში გადასახლდა.

ავტორები აკრიტიკებენ ასევე იმ მეცნიერებს, რომელთა განცხადებით, თითქოს რუსეთს კავკასიური პოლიტიკა დამუშავებული არა ჰქონდეთ. ავტორების აზრით, მაშინაც კი, როდესაც ბ. ელცინის პრეზიდენტობისას, რუსეთი მძიმე პოლიტიკურსა და ეკონომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა, კავკასია და განსაკუთრებით, საქართველო მათი მხედველობის არედან არ გასულა და კინალამ არ შესრულდა მათი დამუშავებულ-ნალოლიავეები მიზანი - საქართველოს ორ ნაწილად დაყოფის შესახებ, როდესაც დასავლეთ საქართველოში ზ. გამსახურდია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ე. შევარდნაძე გაპრეზიდენტდებოდა.

თავიანთ წიგნში ავტორები დიდ ადგილს უთმობენ აფხაზი და რუსი ისტორიკოსების ვერსიების ანალიზს აფხაზი ხალხის წარმოშობის შესახებ. ამ ვერსიათაგან, რომელთა მიზანსაც აფხაზების ეთნოგენეზის ავტობიოგრაფიის დასაბუთება შეადგენს, ზოგიერთი უფრო ზღაპარს ჰგავს, ვიდრე სერიოზულ მეცნიერულ ვარაუდს. მაგალითად, ისტორიკოსი დ. ინალ-იფა აზრით, აფხაზი ხალხი უძველესი ეგვიპტელებისა და აბისინიელებისაგან წარმოსდგება.

ავტორების აზრით, მეცნიერულ არგუმენტებს არაა მოკლებული იმის მტკიცება, რომ რომ აფხაზეთში არაქართული ტომები ჩრდილოეთ კავკასიიდან იყვნენ სამხრეთ კავკასიაში ჩამოსული, როგორც ეს მეცხამეტე საუკუნის ქართველ ისტორიკოსს პავლე ინგოროყვას მიაჩნდა. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად წიგნის ავტორები, ისტორიული წყაროების გარდა მიმართავენ აფხაზურ ფოლკლორსაც. მაგალითად, ერთი აფხაზური ლეგენდის თანახმად, აფხაზი ხალხი ჯერ მდინარე ყუბანის ნაპირებზე სახლობდა, ხოლო შემდეგ ჩამოვიდა აფხაზეთში. ამ ვერსიის გამორიცხვა რომ არ შეიძლება, ამის საილუსტრაციოდ ავტორები ოსების მაგალითს იშველიებენ, რომლებიც ასევე ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან შიდა ქართლში ჩამოსულ-დასახლებული.

აქვე უნდა ითქვას ავტორთა ობიექტურობის შესახებაც. კერძოდ, მათი განცხადებით, დიოსკურიამდე, ანუ იმ ანტიკურ ქალაქამდე, რომელიც კოლხეთის სამეფოს შავი ზღვის სანაპიროზე დააარსეს ბერძნებმა მოახალშენებმა, ტერიტორიაზე, სადაც დასავლეთქართული ტომები იყვნენ დასახლებული, შესაძლებელია ცხოვრობდნენ ასევე ადიღეულ- აფხაზური ტომებიც.



მეტად ანგარიშგასაწევია წიგნის ერთი ადგილი, სადაც ლაპარაკია უცხოელი მოგზაურების რელაციების შესახებ. კერძოდ, სოხუმის კათოლიკურ ეპისკოპოსი პეტრო გერალდი თავის 1330 წლის კორესპონდენციაში ამბობს, რომ სოხუმში სახლობენ ქართველები, მუსლიმანები და ებრაელები. მის მიერ აფხაზი (აფსუა) ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები. ავტორების მტკიცებით, თუნდაც დავუშვათ, რომ ამ ეპოქაში აფხაზები სოხუმში ცხოვრობდნენ, ჩანს, ისინი კულტურულად ქართველებისაგან არ განსხვავდებოდნენ.

სხვათაშორის, როგორც ამავე წიგნიდან ვგებულობთ, სოხუმში მოსახლეობა შემდეგ საუკუნეებშიც მცირე იყო. კერძოდ, 1853 წელს სოხუმში, რომელიც მანამდე ჯერ კიდევ ერთადერთ ქალაქად რჩებოდა აფხაზეთში, მხოლოდ 300 ადამიანი რჩებოდა. მხოლოდ შემდგომ წლებში დაიწყო სოხუმის მოსახლეობამ მატება. კერძოდ, 1893 წელს გახდა 7 ათასი, ხოლო 1913 წელს - 24 ათასი.

უფრო მოგვიანებით, კერძოდ კი 1615 წელს, ფრანგი მოგზაური ლუი გრანჟა წერს, აფხაზეთი სამეგრელოს შემადგენლობაში შედისო.

ამ თემაზე ავტორების დასკვნა ასეთია: მართალია შემონახული წყაროები არ გვაძლევენ საშუალებას დიდი სიზუსტით დავადგინოთ შუასაუკუნეების აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობა, მაგრამ ბევრი რამ გვაფიქრებინებს, რომ კულტურულათა და პოლიტიკურად აფხაზეთის სამთავრო ქართული ცივილიზაციის ნაწილი იყო. ასევე ქართული ენა იყო აქ როგორც კანცელარის, ასევე წირვა-ლოცვის ენა.

წიგნიდან ვიგებთ ასევე, რომ ისტორიკოს პ. ინგოროყვას თეზას იმის შესახებ, რომ აფხაზები მთიდან ჩამოსული და აფხაზეთში შემდგომ დასახლებული ტომებია, იზიარებს 19 საუკუნის ზოგიერთი რუსი ისტორიკოსიც. მაგალითად, ა. დიაჩკოვ-ტარასოვის მიხედვით, „აფხაზები ყოველთვის არა მკვიდრობდნენ იქ, სადაც ისინი დღეს ცხოვრობენ. მათი წეს-ჩვეულებები და ტრადიცია იმის მიმანიშნებელია, რომ ისინი ჩრდილოეთიდან ჩამოსული ხალხია, რომლებმაც ქართული ტომები თითქმის მდ. ენგურამდე გარეკეს“.

როგორც ისტორიკოსთა კვლევებით ირკვევა, მიუთითებენ ნიგნის ავტორები, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში აფხაზებმა შეძლეს სამეგრელოს ტერიტორიის (მდ. ენგურამდე), მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავება. მხოლოდ მას შემდეგ წარმოიშვა აფხაზური ტოპონომიკა სოხუმიდან ენგურამდე. შესაბამისად, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის თითქმის ნახევარი სამეგრელოს ისტორიული მიწებია, ზემოთ აღნიშნულ პერიოდში დაკავებული.

აფხაზთა ლიდერები თანამემამულეებს უკიჟინებენ, თითქოს კულტურის სფეროში არავითარი საერთო არ იყოს ქართველთა და აფხაზთა შორის. მაგალითად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბამ, 1993 წლის 26 დეკემბერს სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, თითქოს ეს ორი ერი სრულია უცხო იყოს ერთმანეთისათვის და რომ აფხაზებთან ეთნიკო-კულტურულად და ენობრივად უფრო ახლოს არიან ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ადიღეელები, ჩერქეზები, აბაზინები, ყაბარდოელები და სხვა მთის ხალხები.

ნიგნის იმ თავში, რომელიც ეხება აფხაზთა ცხოვრებას რუსეთის ცარიზმის ბატონობის პერიოდში, ვკითხულობთ იმის შესახებ, თუ როგორ გადასახლდა ათი ათასობით აფხაზი რუსული მმართველობის პროტესტის ნიშნად თურქეთში. შემდგომ ამას სპეციალური ტერმინი „მუჰაჯირობა“ (არაბ. სიტყვა, რომელიც რელიგიურ ემიგრანტს ნიშნავს). მათ ადგილას რუსეთის მთავრობა ასახლებდა მისადმი ლოიალურად განწყობილ ხალხს - სომხებს, რუსებს, კაზაკებს, ოსებს და ა.შ. ზოგიერთი აფხაზი ავტორის განცხადებით, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თითქმის 300 ათასმა აფხაზმაც კი დატოვა თავისი მშობლიური საცხოვრებელი. ამ აზრს იზიარებდა აფხაზთა ლიდერი ვლ. არძინბაც.

ქართული ინტელიგენცია, კერძოდ, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, შეენიანააღმდეგნენ რუსეთის ამ პოლიტიკას აფხაზების მიმართ, მაგრამ ამაოდ. შემდგომში გადასახლებული აფხაზების ადგილას, კრემლი შეეცადა რუსების, უკრაინელების, კაზაკების ჩასახლებას, მაგრამ რადგანაც ამ ხალხმა ვერ აიტანა მაშინდელი აფხაზეთის კლიმატი, აქ გაბატონებული მაღარია, ვერ შეძლეს აქ დამკვიდრება. ამიტომ დაიკავეს, ასევე კრემლის თანადგომით, აფხაზეთი რომელთაც აქ

დასახლებაში მართალია მეფის მთავრობა ხელს არ უწყობდა, მაგრამ არც ხელს უშლიდა.

ყოველივე ამის შემდეგ, სამართლიან კითხვას სვამენ ნიგნის ავტორები, რატომ იცავენ რუსულ პოლიტიკას აფხაზები, რომელთაც მათ ასეთი არნახული ტრაგედია დაატყვებეს თავს და გამშაგებით ესხმიან თავს ქართველებს? მათთვის ეს გაუგებარია.

ავტორები საინტერესოდ აღწერენ ასევე პოლიტიკურ ვითარებას აფხაზეთში 1917-1921 წლებში (საქართველოში მენშევიკების მმართველობისას). სიზუსტით გადმოსცემენ სოხუმში მენშევიკებისა და ბოლშევიკებს შორის წინააღმდეგობებსა და ბრძოლას. მაგალითად, 1918 წლის 8 აპრილს ბოლშევიკებმა, ადგილობრივი კომუნისტების, ძირითადად, რუსებისა და სომხების დახმარებით, აჯანყება მოაწყეს და სოხუმი დაიკავეს. აფხაზეთის დედაქალაქში ბოლშევიკების ბატონობამ 40 დღე გასტანა. ეს ამბავი თანამედროვე სეპარატისტებისათვის, რატომღაც, სიამაყის საგანია: კერძოდ, 1989 წლის 18 მარტს მათ აფხაზეთისადმი ლიხნის მიმართვაში ჩაწერეს: „ბაქოს კომუნის მსგავსად საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიაში, აფხაზეთშიც დამყარდა 1918 წელს და 40 დღე იარსება; სამწუხაროდ, ის ხელისუფლება მენშევიკებმა ჩაახშეს“.

ავტორების თანახმად, მენშევიკური მთავრობა მეტად სათუთად ეპყრობოდა აფხაზეთის პრობლემებს. მაგალითად, მათ მიერ შემოღებული იქნა საგანგებო თანამდებობა მინისტრისა აფხაზეთის საქმეების მოსაგვარებლად. ავტორების მტკიცებით ტყუილია აფხაზებს შორის გავრცელებული აზრიც იმის შესახებ, რომ მათ 1918-1921 წლებში აფხაზებს ავტონომია არ მისცეს. რაც შეეხება აფხაზების გულისტკივილს იმის თაობაზე, რომ აფხაზების აჯანყება მენშევიკებმა ჩაახშეს, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ აჯანყების მოთავე ბოლშევიკებს აფხაზეთის რუსეთისათვის მიერთება ჰქონდათ განზრახული.

ქართული საბჭოთა ხელისუფლება კოკას საითაც აწყობდა, იქიდან აბამდა სახელურს. გასაგებიცაა: ეშინოდა კრემლის. აი, მაგალითად, ნიგნში მოტანილია სერგო ორჯონიკიძისა და კიროვის 1921 წლის 2 იანვრის წერილი, რომელიც პირადად მე მხოლოდ ახლალა წავიკითხე; წერილი კრემლშია გაგზავნილი: „არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ საქართველოში რაიმე სერიოზ-

ზული აჯანყება მოხდება... ჩვენი ჩარევის გარეშე საქართველოს გასაბჭოება გამორიცხებულია... ახლა არის სერიოზული მიზეზი, რათა ჩავერიოთ საქართველოს საქმეებში. ამისათვის საჭიროა აშკარა აგრესია. გვაქვს საშუალება დავინწყოთ მოქმედებებ აფხაზეთში და აჭარაში...“.

რატომ არის ხაზგასმით გამოყოფილი აფხაზეთი და აჭარა? მიზეზი გასაგებია: ბოლშევიკებს იმედი ჰქონდათ, რომ აჭარაში რელიგიურ ნიადაგზე გააღვივებდნენ მართლმადიდებელი ქართველებთან შულს, ხოლო აფხაზეთში უფრო აფხაზთა სეპარატისტული გრძნობების გაღვივება ეიმედებოდათ. თუმცა, არც აფხაზი სეპარატისტები ფიქრობდნენ ხალხზე. ამის მაგალითია ნიგში მოტანილი აფხაზი ბოლშევიკის, მ. თარნავას წერილი: „არ ვეთანხმებოდი საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით. ამიტომ მივატოვე მენშევიკური პარტია... ჩვენ ჩვენი ინტერნაციონალისტური პარტია შევქმენით.. ფაქტობრივად პარტია შედგებოდა ჩემგან, ალანია, მარლანია, ჭანბასაგან, ანუ იმ ადამიანებისაგან, რომელთაც სურდათ აფხაზეთის მიერთება საბჭოთა რუსეთისათვის...“.

როგორც მოტანილი ამონარიდიდან ჩანს, აფხაზი ბოლშევიკები არა ეროვნული ინტერესით, არამედ ვინრო პარტიული მოტივით ხელმძღვანელობდნენ. მათ კარგად უწყობდნენ, რომ აფხაზ ხალხს დემოკრატიული საქართველოს პირობებში გაცილებით მეტი თავისუფლება და კეთილდღეობა ექნებოდა, მაგრამ თანამემამულეთა კეთილდღეობა როდი იყო მათი მიზანი. აფხაზმა ბოლშევიკმა პარტიულმა მუშაკებმა კარგად იცოდნენ, რომ აფხაზეთი საქართველოს დაპყრობის გზაზე აუცილებლად გასავლელი ეტაპი იყო.

რაც შეეხება უკვე საქართველოს გასაბჭოების შემდგომ აფხაზეთისათვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მიცემას, ეს მოხდა გასაგები მიზეზების გამო, უფრო იმიტომ, რომ ბოლშევიკებს საქართველოსათვის ევნოთ და არა აფხაზებისათვის სარგებლობა მოეტანათ; რუსები, როგორც მეფის დროს, ისე საბჭოთა ეპოქაში ქართველებს არ ენდობოდნენ. მათ ქართული ელიტის ინდივიდუალიზმი აფიქრებდათ, აღიზიანებდათ ქართველების პატივისცემა ტრადიციების მიმართ, რომელიც მათში ერთგვარ ქედმაღლობასაც კი ესაზღვრებოდა. ამასთან, აფხაზები-

სათვის ბოძებულ ამ სტატუსს დიდი პოლიტიკურ მნიშვნელობა არც ენიჭებოდა. ამის ცხადმყოფია თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში აფხაზეთის ბიუჯეტი თბილისში დგებოდა; აფხაზეთი, განსხვავებით საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან, არასოდეს არა ყოფილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და ა.შ. შესაბამისად, ავტორთა აზრით, მცდარია აფხაზი ისტორიკოსების შეფასება, თითქოს აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკისათვის სტატუსის შეცვლა ავტონომიური რესპუბლიკით მისი მნიშვნელობის დამაკნინებელი იყო. აფხაზეთი რეალურად არასოდეს არა ყოფილა დამოუკიდებელი; უბრალოდ, ამ აქტით, მისი სამართლებრივ-პოლიტიკური სტატუსი რეალური, სინამდვილეში არსებული სტატუსით შეიცვალა.

აფხაზეთის ნამდვილ სახეს ეპოქაში, როდესაც მას მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი ჰქონდა (1921 წლის 16 დეკემბრიდან, 1931 წლამდე), კარგად ასახავს წიგნის ამ თავის ბოლოს მოტანილი ამონარიდი ერთი აფხაზი კომუნისტის წერილიდან: „ისეთი რესპუბლიკების, როგორც აფხაზეთია, დამოუკიდებლობა ... იყო უმნიშვნელო აბრა, ბავშვების გასართობი ქაღალდის სახლი“.

აფხაზეთში საბჭოთა კავშირის არსებობისას, განსაკუთრებით გასული საუკუნის 30-ან, 40-ან წლებში ისეთსავე მრავალრიცხოვანსა და ტრაგიკულ რეპრესიებს ჰქონდა ადგილი, როგორც მთლიანად საქართველოში. ეს განსაკუთრებით ადგილობრივ ელიტას შეეხო. სტალინური რეპრესიები მხოლოდ აფხაზური კულტურის განადგურებით (სკოლებში აფხაზური ენის შესწავლის აკრძალვა და ა.შ.) არ შემოფარგლულა ამ პერიოდში უამრავი აფხაზი ფიზიკურად გაანადგურეს.

თანამედროვე სეპარატისტები ამ ყველაფერს ზოგადად, ქართველებს აბრალებენ. და მომხდარ დრამატულ ფაქტებს სტალინისა და ბერიას ქართველობას, მათ ნაციონალისტობას აწერენ. მათ ავინწყებათ, უფრო სწორედ, უგულველებყოფენ იმ ამბავს, რომ ამ ადამიანებმა საქართველოს დანარჩენ კუთხეებს კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენეს. ივინყებენ, მაგალითად იმას, რომ მათ მიერ გამხორციელებულ რეპრესიებს შეეწირა რამდენიმე ათეული ათასი ქართველი, ხოლო მრავალი კავკასიიდან გადაასახლებს. არც ისაა დასავინწყებელი, რომ სტალინის მმართველო-

ბის პერიოდში საქართველოს ძირძველი ისტორიული კუთხეები აზერბაიჯანსა და სომხეთს შეუერთეს.

ავტორები იხსენებენ ამერიკელ ისტორიკოსს ჩარლზ კინგს, რომლის განცხადებითაც „სტალინი რომ კარგი ქართველი ყოფილიყო, რომლისთვისაც ძვირფასი იყო თავისი კავკასიური სამშობლოს ინტერესები... მეოცე საუკუნე ასეთი სისხლიანი არ იქნებოდა“. და რომ არ შეიძლება ქართველები იყვნენ პასუხისმგებელი სტალინის მიერ ჩადენილი დანაშაულებებისათვის, მხოლოდ იმის გამო, რომ ის მათ სამშობლოში დაიბადა. აფხაზეთში, განსაკუთრებით 30-იან წლებში დატრიალებული ტრაგედიის გამო, აფხაზი სეპარატისტების აზრისაგან განსხვავებით, პასუხისმგებელია არა ქართველი ხალხი, არამედ პირადად იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.

აფხაზეთის ქართველთა მიმართ წამოყენებული პრეტენზიები ეხება დემოგრაფიულ თემასაც. ვითომ სტალინის ეპოქაში ქართველი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ჰპოვა მუდმივი საცხოვრებელი აფხაზეთში და მათ აფხაზები შეავიწროვეს. სინამდვილეში, როგორც წიგნის ავტორები აცხადებენ, ხალხების გადასახლება, მათთვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა დამონებული ხალხის მორჩილების ერთ-ერთი ბერკეტი იყო. კრემლი იმ პატარა ეთნოსსაც უცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, რომელსაც ნამდვილად არ შეეძლო სახელმწიფოში მღელვარება გამოეწვია. სტალინის ბრძანებით, სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მუსლიმანი ქართველები აზერბაიჯანელებად მიიჩნიეს და მეოცე საუკუნის 40-იან წლებში შუა აზიაში გადაასახლეს როგორც საბჭოთა კავშირის მტრები. თურქი-მესხები იყვნენ თურქების მიერ მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში ძალით გამუსლიმანებული ქართველები, ეჭვგარეშეა, რომ ეს გადაწყვეტილება მოსკოვში მიიღეს ქართველთა დასუსტების მიზნით.

აფხაზები განგებ ზრდიან აფხაზეთში ჩასახლებული ქართველების რაოდენობას. ზოგიერთი ავტორი თითქმის 100 ათასამდე. სინამდვილეში 1939-1951 წლებში აქ ჩასახლდა 10 ათასი ადამიანი. ისინი ჩასახლეს იმ ადგილებში, რომლებიც მუსლიმანმა აფხაზებმა დატოვეს მუხაჯირობის დროს. ამასთან, მეფის რუსეთი ცდილობდა იქ რუსების, უკრაინელების, გერმანელებისა და კაზაკების ჩასახლებას. მაგრამ მათ დიდად არ მოისურვეს

აფხაზეთში ცხოვრება, რადგან ევროპელები შეუჩვეველი იყვნენ იქაურ კლიმატს (მათ განსაკუთრებით მაღარია აშინებდათ). ამის გამო მოხდა ამ ტერიტორიის ქართველების მიერ ინტენსიური ათვისება. ამ უკანასკნელთ მეფის რუსეთი ხელს არ უწყობდა, თუმცა, ეგუებოდა მათ ჩასახლებას. ამასთან, აფხაზეთში ჩასახლებულ რუსებს, უკრაინელებს, გერმანელებს და კაზაკებს ეძლეოდათ ორჯერ უფრო მეტი მიწის ნაკვეთი, ვიდრე ქართველს (ძირითადად, მეგრელს).

ძნელია გაამტყუნო მეგრელი გლეხი, რომელიც აფხაზეთში სტალინამდე დასახლდა. ეს პროცესი, ანუ აფხაზეთის კოლონიზაცია მეგრელების მიერ, სტალინის მმართველობამდე რამდენიმე ათეული წლით ადრეა დაწყებული და იგი მთელი საუკუნე უწყვეტლივ გრძელდებოდა.

აფხაზები ნაწყენები არიან იმაზეც, რომ მათ ძალით ერეკებოდნენ კოლმეურნეობაში, ხოლო ვინც ამაზე თანახმა არ იყო, დევნიდნენ, აღნიშნულის გამო უამრავმა აფხაზმა მოისურვა თურქეთში გადასახლება. ისინი თავიანთ ბელად ნ. ლაკობას სტალინთან შუამავლობას თხოვდნენ, რომ მათთვის გადასახლების უფლება მიეცათ. ცხადია, სტალინი ამის წინააღმდეგ წავიდა, რადგან მისი თანხმობა მრავალი აფხაზის მიერ კომუნისტური სამოთხის დატოვებას მოასწავებდა.

თუ რა განწყობა იყო 30-იანი წლების აფხაზეთის მოსახლეობაში, ამაზე საუკეთესოდ მეტყველებს ნ. ლაკობასადმი აფხაზების მიერ მიწერილი ზოგიერთი წერილი:

მაგალითად, ერთი აფხაზი წერდა „გთხოვთ, აფხაზ გლეხებს თურქეთში გადასახლების ნება მოსცეთ, სადაც ისინი კარგად იცხოვრებენ თავიანთ ძმა - თურქეთში, 1878 წელს გადასახლებულ მუსლიმებთან ერთად“.

სხვა წერილში ვკითხულობთ: „ვტოვებთ მთელ ჩვენ ქონებას, ვტოვებთ ჩვენს სახლებსა და ბაღებს, ვტოვებთ ყველაფერს. მიგვაქვს მხოლოდ რამდენიმე აუცილებელი ნივთი, ყველაფერ სხვა დანარჩენს ჩვენი ნებით ვუტოვებთ საბჭოთა სახელმწიფოს“.

სურდა რა აფხაზეთის დაშოშმინება, სტალინმა აფხაზეთის ხელისუფლებას მოსთხოვა კულაკების შერჩევა მათი ციმბირში გადასახლებლად.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, აფხაზეთის ეკონომიკა მზარდი ტემპებით ვითარდებოდა. თუ ამ პერიოდში ზოგადად საქართველოს ბიუჯეტი საშუალოდ 3%-ით გაიზარდა, ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპი აფხაზეთისათვის ბევრად უფრო მაღალი იყო. შესაბამისად, აფხაზეთა შემოსავალი ბევრად სჭარბობდა ქვეყნის სხვა კუთხეებში მცხოვრებთა შემოსავალს. აფხაზეთი ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა იყო მთელ საბჭოთა კავშირში, რომლის კონსტიტუციაშიც ეწერა, რომ აფხაზეთის სახელმწიფო ენა იყო - აფხაზური.

აფხაზეთი იყო პრვილიგირებული ფენა. მათ ეძლეოდათ სხვადასხვა სახის სტიპენდია, ფონდები სამეცნიერო სამუშაოებისათვის და ა.შ. საგულისხმოა ისიც, რომ მოსკოვისა და თბილისის ჩუმი თანხმობით აქ დაშვებული იყო ისეთი სამეურნეო საქმიანობა, როგორიც სხვაგან ყველგან იკრძალებოდა, რომელსაც „შავ სფეროს“ ვუნოდებთ.

სავარაუდოა, რომ აფხაზეთში დემონსტრაციების მოწყობა ინსპირირებული იყო რუსეთის სპეცსამსახურების მიერ. ამას წიგნის ავტორებს ის აფიქრებინებთ, რომ მსგავსი დემონსტრაციები მთელ საბჭოთა კავშირში იკრძალებოდა და მხოლოდ აფხაზეთში შეიძლებოდა მათი ორგანიზება. ყველა სხვაგან ის საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების მიერ ითრგუნებოდა. მაშასადამე, აფხაზეთში ამგვარი ღონისძიებები მოსკოვის „ჩუმი“ ნებართვით იყო დაშვებულ-ნაქეზებული. ამასთან, ისიც საყურადღებოა, რომ ყველა ამ სახის დემონსტრაცია აფხაზეთში იმართებოდა მაშინ, როდესაც თბილისსა და მოსკოვს შორის ვითარება იძაბებოდა.

აფხაზეთში მიზანმიმართული პროვოკაციები უკვე 1988 წლიდან დაიწყო. მისი მიზანი ამ კუთხეში მკვიდრი აფხაზეთისა და ქართველების შეიარაღებული დაპირისპირება იყო. 14 ივლისის ღამეს სოხუმში ჩამოაგდეს 9 აპრილისადმი მიძღვნილი დაფა. ამან სოხუმელი ქართველები ძალიან აღაშფოთა. ამის მომხრე აფხაზებმა მიტინგზე საქართველოდან გამოყოფა მოითხოვეს. ორი დღის შემდეგ მოძრაობა „აიდგილას“ ნევრებმა სოხუმში მრავალათასიანი დემონსტრაცია მოაწყეს. სხვა მოთხოვნებთან ერთად მის ინიციატორებს სოხუმში აფხაზური უნივერსიტეტის დაარსებაც ჰქონდათ წამოყენებული. მათი სურვილით აქ სწავლა რუსულად უნდა ყოფილიყო. ყოველივე ამას ქართველებსა და



აფხაზებს შორის რამდენიმედღიანი სისხლიანი შეტაკება მოჰყვა. მაშინ დაილოპა 70 ადამიანი, დაიჭრა 488. აქციის მიზანი - აფხაზეთში სამოქალაქო ომის გაჩაღება, კიდევ უფრო გაცხადდა.

წიგნის ავტორები დარწმუნებული არიან იმაში, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი რუსული სპეცსამსახურების მიერ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან არის დაწყებული. მისი დასაწყისი ემთხვევა პერიოდს, როდესაც ქართულ ინტელიგენციაში გაღვივდა დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი. საქართველოსაგან მისი ძირძველი მიწების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოგლეჯის მუქარით კრემლს სურდა ქართველთა ეს სურვილი ჩაეცხრო.

1988 წლის ივლისში აფხაზური „ინტელიგენციის“ (ბრჭყალების წიგნის ავტორებს ეკუთვნით) წარმომადგენლებმა მიმართეს საბჭოთა კავშირის კომპარტიას აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნით. 1989 წლის მარტში აფხაზეთის ეროვნულმა ფორუმმა „აიდგილარამ“, გრძნობდა რა ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერას, ლიხნში მრავალათასიანი მიტინგი მოაწყო. მიტინგის მონაწილეებმა კომპარტიის გენმდივან მ.გორბაჩოვს გაუგზავნეს მოთხოვნა აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნის თაობაზე. მიტინგზე გამოსული ორატორები ითხოვდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 17% სურვილის ასრულებას და უგულვებელყოფდნენ დანარჩენი, 300 ათასიანი ქართული მოსახლეობის აზრს ამ საკითხზე, რომლებიც აფხაზეთის გამოყოფის წინააღმდეგი იყვნენ.

საპროტესტო მოძრაობას ძირითადად ვ. არძინბა ედგა სათავეში. აი, მას როგორ ახასიათებენ ავტორები: ვლ. არძინბა დიდ გავლენას ახდენდა აფხაზ სეპარატისტებზე. ის წარმოშობით ადიღური ოჯახიდან იყო, თუმცა ძალზე ცდილობდა ყველას დაჯერებას, რომ წმიდა სისხლის აფხაზია. აფხაზი „ხალხის მტრებთან“ ბრძოლაში გამოჩენილმა იშვიათმა გულმოდგინებამ მას ზოგიერთი ისეთი გადაწყვეტილება მიაღებინა, რომელსაც ცივილიზებულ სამყაროში თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ კანიბალიზმის სახელი.

ის წლების განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა, რის გამოც თითქმის არ იცნობდა ქართველებს. ამის გამო შეძლო და

განახორციელა მან აფხაზეთში ეთნიკური წმენდა; მას სურდა ამ კუთხიდან ეთნიკური უმრავლესობის, ანუ ქართველების მოშორება; მისი მოწოდებითა და ნაქეზებით გააჟლიტეს ათასობით ქართველი, ამ გზით ისწრაფოდა ის აფხაზეთის მონოეთნიკურ რესპუბლიკად გადაქცევას. ამიტომ გააძევეს აფხაზეთიდან 300 ათასი ქართველი. მისი უშუალო ბრძანებით ხოცავდნენ აფხაზი მეომრები ტყვედჩავარდნილ ქართველ სამხედრო ტყვეებს. პირადად არძინბა იყო დაინტერესებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართველი დეპუტატების ლიკვიდაციით.

არძინბა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ზ. გამსახურდიას მომხრე დეპუტატების მხარდაჭერით გავიდა. ეს უკანასკნელნი არც კი დაინტერესებულან მისი წარსულით, მისი უკიდურესად ნაციონალისტური აზრებითა და უპირველეს ყოვლისა, მისი კავშირებით რუსეთის საგანგებო ორგანოებთან. მათ მხედველობაში არ მიიღეს ის ფაქტი, რომ ეს „მორიდებული მეცნიერი“ რუსეთის სპეცსამსახურების ყურმოჭრილი მონა და მათი ნების აღმსრულებელი იქნებოდა. რუსი ჟურნალისტი სვეტლანა ჩერვონაია წერს: „1991 წელი აფხაზი სეპარატისტების სეპარატისტების პოლიტიკურად მომძლავრების წელი იყო; და ეს ხდებოდა საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის აშკარა უმოქმედობითა და გულგრილობით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მან წარმოშვა და მოალონიერა ის საშინელი ძალა, როგორც იყო პროკომუნისტური ორიენტაციის აფხაზური სეპარატიზმი“.

თავისი გეგმების რეალიზაციისას არძინბას გამოუჩნდნენ ისეთი მხარდამჭერები, როგორებიც იყვნენ გარკვეული ძალები რუსეთის ფედერაციაში, პოლიტიკური ბლოკი „სოიუზი“, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობა, რუსეთის მაფიურ-პოლიტიკური პარტიის ლიდერები (ჟირინოვსკი), კავკასიის ხალხთა კონფედერაცია და ასევე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და მისი მხარდამჭერები.

სახელმწიფო გადატრიალებამა და მოსკოვიდან ჩამოსული ედ. შვეარდნაძის გაპრეზიდენტებამაც უარყოფითად იმოქმედა სოხუმსა და თბილისს შორის ურთიერთობაზე.

ნიგნის ავტორები არანაკლებ მკაცრნი და კრიტიკული არიან ზვიადისტების მიმართ. კერძოდ, აღწერენ რა იმ ქმედებებს, რასაც ისინი სჩადიოდნენ დასავლეთ საქართველოში ზვიადის ქვეყნიდან

გაძევების შემდეგ (განსაკუთრებით ჰუმანიტარული ტვირთის დატაცება, რომელიც განკუთვნილი იყო დამშეული მოსახლეობისათვის და ა.შ. სულ 1992 წელს დარეგისტრირდა 1142 მსგავსი ყაჩაღობა-დატაცება, ტერორისტული აქტი), წერენ: ვლ. არძინბასთან მოთანამშრომლე ზვიადისტები, როგორც ჩანს, ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ არძინბას ხელს უწყობდნენ უფრო ადვილად განეხორციელებინა თავისი საბოლოო მიზანი: ამ კუთხის ქართველებისაგან განთავისუფლება. ამის შედეგად აფხაზეთი მართლაც დაიცალა 300 ათასი ქართველისაგან.

თვეობით ემზადებოდნენ რა აფხაზები თავიანთი ქმედებებისათვის, მათ საგულდაგულოდ ჰქონდათ გამზადებული იმ ადამიანების სიები, რომლებიც ლიკვიდაციას უნდა დაქვემდებარებულიყვნენ. და ისინი მხოლოდ ქართველები იყვნენ. მათ რიცხვში იყვნენ ის აფხაზებიც, რომელთაც ბრალად ქართველებთან თანამშრომლობა, შესაბამისად, სამშობლოს ღალატი ედებოდათ. არძინბას განმარტებით ეს ღალატი ორი სახით გამოიხატებოდა: ქართველთან საქორწინო კავშირის დამყარებით და კიდევ იმის აღიარებით, რომ შესაძლებელი იყო ქართველთა და აფხაზთა ერთ სახელმწიფოში ცხოვრება. სეპარატისტებმა გაიმეორეს კავკასიელი ბოლშევიკების პრაქტიკა და საგანგებო ტროიკები შექმნეს თვალში ამოღებული ხალხის დასაჯელად. ისინი განსაკუთრებით იძიებდნენ შურს აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ ინტელიგენციაზე. არძინბას ძალიან მოსწონდა სტალინის მეთოდი და პირადად აკონტროლებდა დასასჯელთა სიებს, თავად მიუთითებდა, თუ ვინ დაეხვრიტათ და ვინ სხვა სახით დაესაჯათ.

აფხაზეთის ომის მონაწილეთა გადმოცემებით ცნობილი ხდება, რომ 1992 წელს არძინბა უკვე საკმარისად იყო ომისათვის მომზადებული. მას ჰქონდა ფული, იარაღი და განრთვნილი მებრძოლები. და რაც ყველაზე მთავარია, რუსეთის დახმარების მყარი იმედი. ის რუსებს არ უმაღავდა, რომ მათ ნიშანს ელოდა, რომ საზიზღარ ქართველებთან ანგარიშის განორება დაეწყო. ის დარწმუნებული იყო იმაშიც, რომ რეალურ დახმარებას გაუნწევდნენ კაზაკები, და ზოგადად ჩრდილო კავკასიის მებრძოლები. თუ საჭირო გახდებოდა რუსი „ინსტრუქტორებიც“.

ამაზე კარგად მეტყველებს ცნობილი რუსი ჟურნალისტის ტატიანა ჩერვონაიას 1993 წელს მოსკოვში გამოცემული ნიგ-

ნის „პოსტკომუნისტური ქართული ვანდეა“ ამონარიდიც. აქ ის იხსენებს სოხუმში შემთხვევით შემხვედრ აფხაზთან გამართულ შემდეგ საუბარს იხსენებს: თქვენ ნურაფრის ნუ გენაღვლებათ, მითხრა მან - წერს ქ-ნი ტატიანა - კარგად ვართ მომზადებული. ნახევარ საათში მთელი ხალხი ფეხზე დადგება. ჩვენი არსენალები სავსეა, სხვათაშორის, თქვენი, რუსული იარაღით. ნებისმიერ დროს ეს მარაგები გაორმაგდება, გასამმაგდება. გვაქვს მჭიდრო კავშირები კაზაკებთან, ამას თქვენ თავად ნახავთ: როგორც კი ომი დაიწყება, მთელი კავკასია ჩვენს დასახმარებლად დაიძვრება, შემდეგ რუსეთიც წამოვა. ემისრები საზღვარგარეთაც გვყავს - თურქეთში. არაბულ ქვეყნებში. მთელი მსოფლიო ჩვენ დაგვიჭერს მხარს. ხოლო ვინც ჩვენს გვერდით არ დადგება, მას, როგორც სამხედრო წესები მოითხოვს, ისე მოვექცევით.

რაც შეეხება ქართველებს, მათ ნაკლებად სჯეროდათ, რომ აფხაზეთში რუსებთან მოუწევდათ ბრძოლა, და არა აფხაზ ჯარისკაცებთან.

ომის დროს ქართველებს არა ჰყავდათ შესაბამისი არმია, არ შეეძლოთ დასავლეთის დახმარების იმედი ჰქონოდათ. ევროპულ საზოგადოებრივ აზრზე დიდი გავლენა იქონია ასევე რუსი დისიდენტის სერგო კოვალიოვის შეფასებამაც, რომლის მიხედვითაც, ევროპელებიც თვალში აფხაზები იყვნენ „თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი“. მსგავსი აზრის იყვნენ პოლონელი „კავკასიოლოგებიც“ (ბრჭყალები ეკუთვნით წიგნის ავტორებს).

წიგნის ავტორები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ობიექტურად აღწერისას განსაკუთრებით აკრიტიკებენ თავიანთ თანამემამულე ისტორიკოსებს, პოლიტიკოსებსა თუ რეპორტიორებს. კერძოდ, ავტორების აზრით, მცდარია მათი აზრი იმის შესახებ, თითქოს ამ კუთხეში ომი მას შემდეგ დაიწყო, რაც იქ ქართული ჯარები შევიდნენ. თუ მაშინ აფხაზეთში სეპარატისტების მიერ გამეფებულ აგრესიულ ატმოსფეროს მივიღებთ მხედველობაში, ეს ძალზე მცდარი შეხედულებაა. ამას ადასტურებს თუნდაც კონფლიქტის დროს სოხუმში მყოფი რუსი ისტორიკოსი ს. ჩერვონნაია თავის წიგნში „პოსტკომუნისტური ვანდეა“. მასში ავტორი ამტკიცებს, რომ ტყუილად აბრალებენ ე. შევარდნაძეს ომის დაწყებას.<sup>14</sup> აგვისტოს, შუადღეს, როდესაც ქართველების მხრიდან ჯერ ერთი ტყვიაც კი არ იყო გავარდნილი და ირგვლივ

სიმშვიდე სუფევდა, რადიოში გამოსვლისას ომის დაწყება გამოაცხადა ვ.არძინბამ. მან თავისი ხალხი უდიდეს დანაშაულსა და ტრაგედიაში გახვია. უსამართლო და იძულებითი მობილიზაცია (მამაკაცები 18-დან 45 წლამდე), აფხაზების უკანონო შეიარაღება რუსული იარაღით, რუსული არსენალებიდან, ამ შეიარაღებული ძალების უკანონო თარეში ამ კუთხის სოფლებსა და ქალაქებში, ქართველთა გატაცება, მათი ტანჯვა-წამება და ხოცვა, სოხუმის პლაჟებზე დამსვენებელი ტურისტებისათვის სროლა, - ეს ყველაფერი დანაშაულია, რომელზეც ჩამდენებმა პასუხი უნდა აგონ. ცნობილია ამ ქმედებების პოლიტიკური მიზნები - საქართველოს დაყოფა, რუსების ამ ომში ჩართვა და ასევე საბჭოთა-კომუნისტური რევანში სსრკ აღდგენის პარალელურად.

## მადლობით მოსახსენიებლნი...

ერთმა ასაკში შესულმა ამერიკელმა ბიზნესმენმა დაიწყო იმ ადამიანების მონახულება და დასაჩუქრება, ვისაც მის წინსვლაში მეტნაკლები წვლილი ჰქონდა შეტანილი. სად არ ჩავიდა ის ამისათვის, ავსტრალიაშიც კი...

მე მასავით მდიდარი არა ვარ, ამიტომ დიდი სურვილი მაქვს აქ მაინც, წერილობით გამოვხატო ჩემი დიდი მადლიერება, ვინც თუნდაც ოდნავი წვლილი შეიტანა ამ წიგნის წარმოქმნაში:

დიმიტრი შველიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

დავით იაკობიძე - ფინანსთა მინისტრი ედ. შევარდნაძის მთავრობაში, ეკონომიკურ მეცნიერებათს დოქტორი, პროფესორი;

თამაზ ჩიკვაძე - ეკონომიკურ მეცნიერებათს დოქტორი, პროფესორი;

ომარ ვაშაკიძე - ეკონომიკურ მეცნიერებათს დოქტორი, პროფესორი;

შოთა ვეშაპიძე - ეკონომიკურ მეცნიერებათს დოქტორი, პროფესორი;

ნანა ასლამაზიშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათს დოქტორი, პროფესორი;

რომან გოცირიძემ - ეკონომიკის დოქტორი, პარლამენტარი;

მიხეილ თოქმაჯიშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათს დოქტორი, პროფესორი;

ავთანდილ სილაგაძე - ეკონომიკურ მეცნიერებათს დოქტორი, აკადემიკოსი;

ვლადიმერ პაპავა - ეკონომიკურ მეცნიერებათს დოქტორი, აკადემიკოსი;

როსტომ ჩხეიძე - მწერალი, მთარგმნელი;

ნიკო ორველაშვილი - საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის მთავარი ექსპერტი, ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე;

ივანე ჩხაიძე - ეკონომისტ-მათემატიკოსი, ეკონომიკის დოქტორი, კომპანია „ვანო და კომპანის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მიქაძე - ევროკავშირის წარმომადგენლობის ორგანიზაციის პრესმდივანი;

კონსტანტინე გამსახურდია - ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, პოლიტიკოსი, მწერალი, მთარგმნელი;

ნასყიდა დარბუაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, გამომც. „ცის ნამის“ დირექტორი;

მზია ხეთაგური - პოეტი;

გურამ ლორთქიფანიძე - ისტორიკოსი, პროფესორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის კულტურის ისტორიის კათედრის გამგე;

ნიკო ჯავახიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

მირიან ხოსიტაშვილი - ეთნოლოგიის დოქტორი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე;

ლია პიტიურიშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი;

ხასო ხანგოშვილი - მწერალი, პანკისის უხუცესთა კავშირის წევრი;

მიხეილ ქურდიანი - ისტორიკოსი, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე;

დავით ყოლბაია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რაულ ჩილაჩავა - პოეტი და დიპლომატი (უკრაინის ელჩი ლატვიაში), საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;

გიორგი ლობჯანიძე - პოეტი, მთარგმნელი, ფილოლოგიის დოქტორი;

ჯაბა სამუშია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალ „ისტორიანის“ მთავარი რედაქტორი, თსუ-ს რექტორი;

გელა გურგენიძე - ჟურნალ „ისტორიანის“ რედაქტორი;

გიორგი ანჩაბაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ბეჟან ხორავა - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

პეტრე ბორავსკი - ისტორიკოსი, პოლონეთის ელჩი საქართველოში;

კახა კვაშილავა - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რაჟდენ ჩიხორია - პოლონისტი;

მარიამ გაჩეჩილაძე - პროექტის ხელმძღვანელი;

კორნელი ბზიავა - პოლონეთის დამსახურებული მეტალურგი;

დიანა დანელიანი - გრაფიკული დიზაინერი, დამკაბადონებელი.